

თბილისის სახელმწიფო სამედიცინო უნივერსიტეტი

სოფიო გოქაძე

ახალი მცენარეული ბიოპოლიმერის საფუძველზე
ჭრილობის შემახორცებელი და დამწვრობის
სამკურნალო თანამედროვე მზა წამალთფორმების
შემუშავება

დისერტაცია ფარმაციის დოქტორის აკადემიური ხარისხის მოსაპოვებლად

თბილისი 2017

ნაშრომი შესრულებულია თბილისის სახელმწიფო სამედიცინო უნივერსიტეტის ფარმაცევტული ტექნოლოგიის დეპარტამენტის და იოველ ქუთათელაძის ფარმაცოქიმიის ინსტიტუტის ბაზებზე.

სამეცნიერო ხელმძღვანელები:

ალიოშა ბაკურიძე – ფარმაციის მეცნიერებათა დოქტორი, პროფესორი.

ვახტანგ ბარბაქაძე – ბიოლოგიის მეცნიერებათა დოქტორი.

ექსპერტები:

დიმიტრი ლაგაზიძე – თსსუ-ის იოველ ქუთათელაძის ფარმაცოქიმიის ინსტიტუტის ფარმაცევტული პროდუქტის, ბიოლოგიურად აქტიური დანამატის და კოსმეტოლოგიური საშუალებების ფორმათა ტექნოლოგიის დეპარტამენტის მეცნიერ თანამშრომელი. აკადემიური დოქტორი ფარმაციაში.

მალხაზ ჯოხაძე – თსსუ-ის ფარმაცოგნოზისა და ბოტანიკის მიმართულების ასოცირებული პროფესორი. აკადემიური დოქტორი ფარმაციაში.

თამაზ ჭუმბურიძე – თსსუ-ის სოციალური და კლინიკური ფარმაციის დეპარტამენტის ასოცირებული პროფესორი. აკადემიური დოქტორი ბიოლოგიაში.

დისერტაციის მასალები მოხსენებული და მხარდაჭერილია საქართველოს ფარმაცევტთა ასოციაციის და თსსუ-ის ფარმაციის ფაკულტეტის პროფილური დეპარტამენტების გაერთიანებულ სხდომაზე.

დისერტაციის გაცნობა შესაძლებელია თბილისის სახელმწიფო სამედიცინო უნივერსიტეტის ბიბლიოთეკაში (ვაჟა-ფშაველას გამზირი N29).

დისერტაციის დაცვა შედგება 2017 წლის სთ-ზე თბილისის სახელმწიფო სამედიცინო უნივერსიტეტის ადმინისტრაციულ კორპუსში (ვაჟა-ფშაველას გამზირი N33, I სართული, საკონფერენციო დარბაზი).

TBILISI STATE MEDICAL UNIVERSITY

Sopio Gokadze

Development of state-of-the-art wound and burn healing
finished dosage forms on the basis of a new plant biopolymer

A Thesis

To Earn Doctoral Degree in Pharmacy

Tbilisi 2016

The research was completed at Tbilisi State Medical University,
Faculty of Pharmacy, Iovel Kutateladze Institute
of Pharmacochimistry.

Scientific supervisors of the Thesis:

Aliosha Bakuridze –Doctor of Science, PhD

Vakhtang Barbakadze- Doctor of Science ,PhD

Experts:

Dimitri Lagazidze-PhD in Pharmacy

Malkhaz Jokhadze- PhD in Pharmacy

Tamaz Chumburidze – PhD in Biology

ს ა რ ჩ ე ვ ი

შესავალი.....	7
აქტუალურობა.....	9
თავი I. ლიტერატურის მიმოხილვა.	14
1.1. მცენარეული ბიოლოგიურად აქტიური ნივთიერებების შემცველი რბილი წამალთფორმების რეცეპტურა, ტექნოლოგია, სტანდარტიზაცია და სამედიცინო პრაქტიკაში გამოყენება.	14
1.1.1. დამხმარე ნივთიერებები რბილ წამალთფორმების წარმოებაში.	22
1.1.2. რბილი წამალთფორმების სტანდარტიზაცია.	30
1.2. დამწვრობის სამკურნალო საშუალებები	34
1.2.1. სამკურნალო ფირფიტების ზოგადი დახასიათება.....	37
1.2.2. სამკურნალო ფირფიტები, როგორც დამწვრობის მკურნალობის პროგრესული საშუალებები.....	39
1.3. ლაშქარას ზოგიერთი სახეობის: <i>Symphytum asperum</i> Lep.-ის, <i>Symphytum caucasicum</i> M.B.-ის, <i>Symphytum grandiflorum</i> D.C.-ის და <i>Symphytum officinale</i> L. (ოჯ. Boraginaceae) ფარმაკოგნოსტული დახასიათება.....	44
1.3.1. <i>Symphytum</i> -ის გვარის მცენარეების ქიმიური შემადგენლობა.....	45
თავი II. კვლევის ობიექტები და მეთოდები.....	51
2.1. კვლევის ობიექტები.....	51
2.2 კვლევის მეთოდები.....	51
თავი III. ლაშქარას მორფო-სტრუქტურული თავისებურებები (Boraginaceae).....	55
3.1. ლაშქარას საკვლევ სახეობათა – <i>Symphytum asperum</i> Lep., <i>Symphytum caucasicum</i> M.Bieb და <i>Symphytum grandiflorum</i> D.C.-ის მორფოლოგიურ ნიშანთა ერთობლიობა	55
3.2. ლაშქარას საკვლევ სახეობათა - <i>Symphytum asperum</i> Lep., <i>Symphytum caucasicum</i> M.Bieb და <i>Symphytum grandiflorum</i> D.C.-ის ღეროს ანატომიური აგებულება.....	57
თავი IV. <i>Symphytum grandiflorum</i> D.C.-ის ღეროების მაღალმოლეკულური ნართების შესწავლა.....	61

თავი V. <i>Symphytum asperum</i> Lep.-დან პოლი[3-(3,4-დიჰიდროქსიფენილ) გლიცერინის მჟავას] სუბსტანციის მიღების ტექნოლოგიის გაუმჯობესება	68
5.1. <i>Symphytum asperum</i> -დან პოლი[3-(3,4-დიჰიდროქსიფენილ) გლიცერინის მჟავას] სუბსტანციის მიღება ნახევრადსაწარმოო პირობებში.....	75
თავი VI. პდფგმ-ის გელის რეცეპტურის განსაზღვრა და ტექნოლოგიის დამუშავება.	79
თავი VII დამწვრობის სამკურნალო პდფგმ-ის ფირფიტების შემადგენლობის განსაზღვრა და ტექნოლოგიის დამუშავება.....	88
7.1. სამკურნალო ფიტოფირფიტის ტექნოლოგია.....	95
თავი VIII. აქტიურისუბსტანციის (პდფგმ-ის), პდფგმ-ის გელის და ფირფიტების წინაკლინიკური შესწავლა.....	102
8.1. სუბსტანციის ტოქსიკურობის განსაზღვრა მწვავე ექსპერიმენტში	102
8.2. სუბსტანციის ტოქსიკურობის განსაზღვრა ქრონიკულ (90-დღიან) ექსპერიმენტში	102
8.3. სუბსტანციის ადგილობრივი გამაღიზიანებელი და მალერგიზებელი მოქმედება	103
8.4. წამალთფორმების სპეციფიკური აქტიურობა მექანიკური ჭრილობის და დამწვრობის მოდელზე.....	104
საერთო დასკვნები.....	110
ლიტერატურა:	112
Summary of PhD Thesis.....	126
დანართი	133
გამოქვეყნებული შრომები	133

შესავალი

სამკურნალწამლო ფორმის და მისი ორგანიზმში შეყვანის გზის შერჩევა – ფარმაკოთერაპიის მნიშვნელოვანი ამოცანაა. არასწორად შერჩეული სამკურნალწამლო ფორმა შეიძლება მომატებული ან შემცირებული აქტიურობის ან მისი სრული არაეფექტურობის მიზეზი გახდეს. ავადმყოფთა 54%-ის მიერ წამლის მიღებაზე უარის თქმა განპირობებულია შეყვანის გზის მოუხერხებლობით. ამჟამად ფარმაცევტული მრეწველობის წინაშე დგას მზა სამკურნალწამლო საშუალებების გამოშვების გამრავალფეროვნების და საჭირო სამკურნალწამლო ფორმების შერჩევაში ექიმების შესაძლებლობების გაზრდის ამოცანა.

თანამედროვე ფარმაცევტული ტექნოლოგიის ერთ-ერთი ყველაზე მნიშვნელოვანი ამოცანა არის ისეთი სამკურნალწამლო ფორმების შექმნა, რომლებიც ხელს შეუწყობს წამლის ბიოლოგიური შეღწევადობის გაზრდას და გვერდითი ეფექტების შემცირებას. ეს მიიღწევა სხვადასხვა გზებით, რომელთა შორის შეიძლება, გამოვყოთ სპეციალური დამხმარე ნივთიერებების გამოყენება და ტექნოლოგიური მიდგომები. გვერდითი რეაქციების შემცირების ერთ-ერთი საშუალება არის მოქმედი ნივთიერების კონტროლირებადი გამონთავისუფლების უზრუნველყოფა სამიზნე ორგანოში, უჯრედში ან დაზიანებულ უბანზე. კონტროლირებული/მდგრადი მიწოდება ხორციელდება მედიკამენტის გადამტანი პოლიმერების გამოყენებით. მედიკამენტის მიწოდებისას პოლიმერები კონტროლირებული ტემპით ათავისუფლებენ მოქმედ ნივთიერებას, პოლიმერში დიფუზიის პროცესის მეშვეობით, ან პოლიმერის დეგრადაციის გზით, რაც დროთა განმავლობაში ხდება. ეს ყოველივე მოწმობს იმაზე, რომ მიზანმიმართული მიწოდების სამკურნალწამლო ფორმების შექმნის მეთოდოლოგიის შემუშავება არის ფარმაცევტული მეცნიერებისა და პრაქტიკის აქტუალური პრობლემა. მისი გადაწყვეტა საშუალებას მოგვცემს სამედიცინო პრაქტიკაში დავნერგოთ თანამედროვე მაღალეფექტური სამკურნალწამლო ფორმები და მნიშვნელოვნად გავზარდოთ მათი ნომენკლატურა.

მეცნიერულ-ტექნიკური პროგრესის საუკუნეში არა მხოლოდ სამკურნალწამლო ნივთიერებების ფართო ასორტიმენტი, არამედ სამკურნალწამლო ფორმების მრავალფეროვნება საშუალებას მოგვცემს წარმატებით ვუმკურნალოთ სხვადასხვა დაავადებების მქონე პაციენტებს.

მექანიზაციის, ტრანსპორტისა და ქიმიური მრეწველობის განვითარებამ, ელექტრული და ატომური ენერჯის ფართო გამოყენებამ განაპირობა თანამედროვე პირობებში ჭრილობების და დამწვრობების რიცხვის ზრდა. ამას ხელი შეუწყო აგრეთვე ბოლო წლებში ბუნებრივმა და ტექნოგენურმა კატასტროფებმა, მსოფლიოს რიგ ქვეყნებში მიმდინარე საომარი ოპერაციების და ტერორისტული აქტების გახშირებამ.

ჭრილობის და დამწვრობის მკურნალობის ისტორია მრავალ საუკუნეს ითვლის. ჯერ კიდევ პირველყოფილი ადამიანები ცდილობდნენ ემკურნალათ ჭრილობების და დამწვრობებისათვის ბუნებრივი საშუალებებით.

ფიტოპრეპარატები შეიცავენ ბიოლოგიურად აქტიურ ნივთიერებებს, რომლებიც ხშირ შემთხვევაში არარიან ტოქსიკურები, არ მოქმედებენ გამაღიზიანებლად კანზე, არ იწვევენ ალერგიულ რეაქციებს, რაც მთავარია მოქმედებენ მიკროორგანიზმების და ვირუსების შტამებზე, რომლებსაც გამომუშავებული აქვთ გამძლეობა ანტიბიოტიკებისა და სინთეზური პრეპარატებისმიმართ.

დღეისათვის უპირატესობა ენიჭება ჭრილობის შემახორცებელ და დამწვრობის სამკურნალო ისეთ პრეპარატებს, რომლებსაც მაღალ სპეციფიკურ ეფექტთან ერთად გააჩნიათ ტკივილგამაყუჩებელი, ანთების საწინააღმდეგო, და ანტიმიკრობული მოქმედება, ამასთანავე არ ახდენენ გამაღიზიანებელ ზემოქმედებას ქსოვილებზე. სწორედ აღნიშნული თვისებების მატარებელია ლაშქარას გვარის ზოგიერთი სახეობიდან გამოყოფილი, ახალი მცენარეული ფენოლური ბიოპოლიმერი პოლი[3-(3,4-დიჰიდროქსიფენილ) გლიცერინისმჟავა] (პდფგმ).

წარმოდგენილი სადისერტაციო ნაშრომი ეძღვნება პდფგმ-ის საფუძველზე ჭრილობის შემახორცებელი და დამწვრობის სამკურნალო თანამედროვე მზა წამალთფორმების: გელის და ფირფიტების შემუშავებას.

აქტუალურობა

თანამედროვე მსოფლიოს ცივილიზაციის თანმდევი პრობლემებია ტექნოკატასტროფები, შედეგად ადამიანის კანის მასიური დაზიანებები: ჭრილობა, დამწვრობა და ა.შ. ეტიოპათოგენუზის მიუხედავად ისინი ხასიათდებიან ტკივილის სინდრომის არსებობით, პათოგენური მიკროფლორით, ჩირქოვანი ექსუდატით, ჭარბი ჰიდრატაციით და ა.შ.

ჭრილობის შეხორცება და დამწვრობის მკურნალობა წარმოადგენს ერთ-ერთ რთულ პრობლემას თანამედროვე მედიცინისათვის. იგი დაკავშირებულია ანტიბიოტიკებისადმი მდგრადი მიკროფლორის ზრდით და ტოქსიკურ-ალერგიული რეაქციების გახშირებით. ამავე დროს, მედიცინაში ამ მიზნით გამოყენებული სამკურნალო საშუალებები არცთუ იშვიათად არ პასუხობენ თანამედროვე მოთხოვნებს, გააჩნიათ ჭრილობის შეხორცების ცალკეულ ფაზებზე გავლენის და არა კომპლექსური მოქმედებისუნარი. უნდა აღინიშნოს, რომ ხშირ შემთხვევაში სწორად არ არის შერჩეული ჭრილობის შემახორცებელი და დამწვრობის სამკურნალო მზა წამლის ფორმა, რაც უარყოფითად მოქმედებს თერაპიულ ეფექტზე.

ჭრილობის დროს გამოყენებულ რბილ წამალთფორმებს შორის უპირატესობას გელებს ანიჭებენ. მალამოებთან შედარებით გელი პერსპექტიული წამლის ფორმაა. მათი pH ახლოსაა კანის pH-თან, მომზადებისათვის საჭიროა დროის და მატერიალური რესურსების ნაკლები დანახარჯები, კანზე და ლორწოვან გარსზე სწრაფად და თანაბრად ნაწილდებიან.

დამწვრობის დროს ტრადიციულად გამოყენებულ სამკურნალო ფორმებს, როგორცაა მალამოები, აეროზოლები და სხვა გააჩნიათ მნიშვნელოვანი ხარვეზები. ისინი ვერ უზრუნველყოფენ სამკურნალო ნივთიერებების ზუსტ დოზირებას. დატანის ადგილას ვერ ინარჩუნებენ მოქმედი ნივთიერების მუდმივ კონცენტრაციას, მათი ჭრილობის ექსუდატით გაჯერების და სამკურნალო საშუალების ქსოვილთან არათანაბარი კონტაქტის გამო.

დამწვრობის მკურნალობის ახალ ეტაპს წარმოადგენს სამედიცინო დანიშნულების პოლიმერების საფუძველზე შექმნილი სამკურნალო ფირფიტების გამოყენება, მათში ჩართული ბუნებრივი სუბსტანციებით, რომლებიც აჩქარებენ შეხორცების პროცესს და წინააღმდეგობას უწევენ დამწვრობის ადგილებში ანთებით პროცესებს.

სამკურნალო მცენარეებს შორის, რომლებიც ავლენენ აღნიშნულ ფარმაკოლოგიურ მოქმედებებს გამოვყოფთ ხაოიან ლაშქარას (*Symphytum asperum* Lep.ოჯ. Boraginaceae).

ხაოიანი ლაშქარა (*Symphytum asperum* Lep .ოჯ. Boraginaceae) არის მრავალწლიანი მცენარე(12), რომელიც 2000-ზე მეტი წლის განმავლობაში გამოიყენება როგორც მცენარეული სამკურნალო საშუალება. ლაშქარა გამოიყენება ძვლის მოტეხილობების, მყესების დაზიანების, გასტროინტესტინალური ტრაქტის წყლულოვანი წარმონაქმნების მკურნალობისათვის. ხელს უწყობს, ჭრილობის შეხორცებას, ფილტვებში ექსუდატის გაწოვას და ამცირებს ანთებით პროცესებს სახსრებში(147). ქართულ ხალხურ მედიცინაში ლაშქარას (*S.asperum* Lep.) გალენური პრეპარატები გამოიყენება, როგორც რეგენერაციის პროცესების დამაჩქარებელი საშუალებები(17). ლაშქარა შეიცავს ცილებს, ანტიოქსიდანტურ ვიტამინებს, პოლისაქარიდებს, ტანინებს, პიროლიზიდინის ალკალოიდებს და ალანტონს. ტრადიციულად ლაშქარა გამოიყენებოდა, როგორც გარეგანი ისე შინაგანი მიზნებისათვის, მაგრამ ამჟამად ლაშქარას პრეპარატების შინაგანი გამოყენება მკაცრად შეზღუდულია ჰეპატოტოქსიკური და კარცენოგენული პიროლიზიდინის ალკალოიდების შემცველობისგამო.

Symphytum Asperum Lep.–ის და *Symphytum caucasicum* M.B. (ოჯ.Boraginaceae)-ის ფესვებიდან, ღეროებიდან და ფოთლებიდან მოწოდებულია წყალში ხსნადი პოლისაქარიდების ჯამის და მაღალმოლეკულური (>1000 kDa) ფრაქციის გამოყოფის სქემა, რომელიც საშუალებას იძლევა მთლიანად იქნას მოცილებული ტოქსიკური პიროლიზიდინის ალკალოიდები(102).

ლაშქარას კავკასიური სახეობების (*S. Asperum* Lep., *S. Caucasicum* M.B.) ფესვებიდან და ღეროებიდან გამოყოფილია ფენოლური პოლიმერი პოლი[3-(3,4-დიჰიდროქსიფენილ) გლიცერინისმჟავა] (პდფგმ) ანუ პოლი[ოქსი-1-კარბოქსი-2-(3,4-დიჰიდროქსიფენილ) ეთილენი]. ასეთი ბიოპოლიმერი ცნობილი არ იყო ბუნებაში და პირველად იქნა გამოყოფილი და იდენტიფიცირებული ბიოლოგიის მეცნიერებათა დოქტორის, ვახტანგ ბარბაქაძის და თანაავტორთა მიერ. ამ ფენოლურ პოლიმერს, განსხვავებით პოლისაქარიდებისაგან, აღმოაჩნდა მაღალი იმუნომოდულატორული (ანტიკომპლემენტარული), ანტიოქსიდანტური, ანტილიპოპეროქსიდანტური, ანთების საწინააღმდეგო და ჭრილობის შემახორცებელი მოქმედება (100,109,110).

კვლევის მიზანია კომპლექსური: ბიოფარმაცევტული, ტექნოლოგიური, ფიზიკურ-ქიმიური, ქიმიური და ფარმაკოლოგიური კვლევების საფუძველზე ახალი მცენარეული ფენოლური ბიოპოლიმერის (პდფგმ-ის) საფუძველზე ეფექტური, პოლიფაქტორული

მოქმედების, ჭრილობის შემახორცებელი და დამწვრობის სამკურნალო თანამედროვე მზა წამალთფორმების შემუშავება.

მიზნის მისაღწევად უნდა გადაწყდეს შემდეგი სახის ამოცანები:

- *Symphytum asperum* Lep.-ის, *Symphytum caucasicum* M.B. -ის და *Symphytum grandiflorum* D.C. -ის (ოჯახი Boraginaceae) ღეროების მიკროსტრუქტურული სადიაგნოსტიკო მახასიათებლების დადგენა;

- *Symphytum grandiflorum* D.C. -ის ღეროების მაღალმოლეკულური ნართების შესწავლა;

- *Symphytum asperum* Lep.-ის ღეროებიდან პდფგმ-ის მიღების ტექნოლოგიის დამუშავება;

- ბიოფარმაცევტული კვლევების საფუძველზე პდფგმ-ის შემცველი სამკურნალწამლო ფორმების შემადგენლობების განსაზღვრა და ტექნოლოგიების დამუშავება;

- მოწოდებული მზა წამალთფორმებიდან მოქმედი ნივთიერების გამოთავისუფლებაზე მოქმედი ფაქტორების დადგენა;

- მოწოდებული მზა წამალთფორმების ხარისხის მაჩვენებლების განსაზღვრა და მათი განსაზღვრის მეთოდების მოდიფიცირება;

- მოწოდებული მზა წამალთფორმების სტაბილურობის შესწავლა შენახვისას და ვარგისიანობის ვადების დადგენა;

- სუბსტანციის და მოწოდებული მზა წამალთფორმების სპეციფიკური ბიოლოგიური აქტიურობის განსაზღვრა და უსაფრთხოების დადგენა;

- სუბსტანციაზე და მოწოდებულ მზა წამალთფორმებზე ნორმატიულ-ტექნიკური დოკუმენტაციის შედგენა.

ნაშრომის მეცნიერული სიახლე. საქართველოს ენდემის – თეთრყვავილა ლაშქარას (*Symphytum grandiflorum* D.C.) ღეროებიდან პირველადაა გამოყოფილი ფენოლური პოლიმერი პოლი[3-(3,4-დიჰიდროქსიფენილ)გლიცერინის მჟავა] (პდფგმ) ანუ პოლი[ოქსი-1-კარბოქსი-2-(3,4-დიჰიდროქსიფენილ)ეთილენი].

ფიზიკურ-ქიმიური მეთოდების (იწ, ¹H ბმრ, COSY, gHSQC სპექტრები) გამოყენებით დადგენილია თეთრყვავილა ლაშქარას ღეროებიდან გამოყოფილი სუბსტანციის იდენტობა მაღალმოლეკულურ ფენოლურ ბიოპოლიმერთან – პდფგმ-თან.

მეთოდოლოგიურად დასაბუთებულია და დამუშავებულია ლაშქარას ზოგიერთი სახეობის *Symphytum asperum* Lep., *Symphytum caucasicum* M.B., *Symphytum*

grandiflorum D.C. მიკროსკოპული აღწერის ერთიანი სისტემა. მოცემულია ღეროების ანატომიური სადიაგნოზო ნიშანთა ერთობლიობა, რომლის გათვალისწინებით ფარმაკოგნოსტულ ანალიზში უფრო სარწმუნო ხდება ნედლეულის ნამდვილობის დადგენა.

შესწავლილია პდფგმ-ის გამოთავისუფლების დინამიკა გელწარმომქმნელზე დამოკიდებულებით. პდფგმ მაქსიმალურად გამოთავისუფლდება გელიდან, რომელიც მომზადებულია ნატრიუმის ალგინატის ფუძეზე 1% ქსანტანის გომიზის შემცველობით.

პდფგმ-ის გელის რეოლოგიური მახასიათებლების შესწავლისას ადგილი აქვს უკუპროპორციულ დამოკიდებულებას სიბლანტის ეფექტურობის მნიშვნელობასა და გადანაცვლების სიჩქარეს შორის. პდფგმ-ის გელის რეოლოგიური მახასიათებლები, რბილი წამალთფორმების ტექნოლოგიური ოპტიმუმის ფარგლებშია.

შესწავლილია აპკწარმომქმნელის გავლენა ფიტოფირფიტის ხარისხზე, ადჰეზი-აზე და ტენშთანტქმაზე. დადგენილია ფიტოფირფიტის ტენიანობის ოპტიმალური ხარისხი, რომელიც უზრუნველყოფს მის მაღალ ადგეზიურ შესაძლებლობას. ადგეზიის ყველაზე დიდი ძალა გააჩნია ფირფიტას, რომელიც მომზადებულია ნატრიუმის ალგინატის ფუძე-მატარებელზე, ტენშემცველობით – 30,4%.

პდფგმ-ის გამოთავისუფლების შესწავლისას სხვადასხვა ფუძე-მატარებლებიდან ოპტიმალური აღმოჩნდა ჰიდროფილური ფუძეები: ნატრიუმის კარბოქსი მეთილცელულოზას (69,2%) და ნატრიუმის ალგინატის (78,65%) ბაზაზე.

პდფგმ-ის გელი და ფირფიტები ხელს უწყობს გრანულაციური ქსოვილის რეგენერაციას კანის უჯრედების პროლიფერაციის და რეპიტელიზაციის პროცესის აჩქარების ხარჯზე.

ნაშრომის პრაქტიკული მნიშვნელობა. ტექნოლოგიური კვლევების საფუძველზე მოწოდებულია ხაოიანი ლაშქარას ღეროებიდან ჰეპატოტოქსიკური, პიროლიზიდინის ალკალოიდების ექსტრაქციის ეფექტური, რაციონალური და რენტაბელური ხერხი – ცირკულაციური ექსტრაქცია გათხევადებული აირების გამოყენებით. იგი უზრუნველყოფს დიდი რაოდენობით ორგანული გამხსნელების დანახარჯების გარეშე ნედლეულის მაქსიმალურ გამოფიტვას.

მოწოდებულია პიროლიზიდინის ალკალოიდებისაგან გათავისუფლებული ხაოიანი ლაშქარას ღეროებიდან პდფგმ-ის ექსტრაქციის ოპტიმალური პირობები. დადგენილია, რომ ოპტიმალური ექსტრაგენტია წყალი, ნედლეულისა და ექსტრაგენტის თანაფარდობა 1:15, ექსტრაქციის დრო 2,5 სთ, პირველჯერადი – 90 წთ, მეორეჯერადი – 60 წთ.

ხაოიანი ლაშქარას ღეროებიდან მოწოდებულია პდფგმ-ის მიღების ტექნოლოგიური სქემა, რომელიც აპრობირებულია შპს „ნეოფარმის“ ბაზაზე.

ბიოფარმაცევტული კვლევების საფუძველზე მოწოდებულია პდფგმ-ის გელის და ფირფიტების შემადგენლობები და ტექნოლოგიები.

ჩატარებული კვლევების შედეგად დადგენილია, რომ კეთილხარისხოვნების ძირითადი მაჩვენებლების მიხედვით პდფგმ-ისგელი და ფირფიტები სტაბილურობას ინარჩუნებენ 2 წლის განმავლობაში.

პდფგმ-ის გელი და ფირფიტა შესაძლებელია გამოყენებული იქნას როგორც მექანიკური ჭრილობის, ასევე დამწვრობის სამკურნალოდ.

შედგენილია ნორმატიულ ტექნიკური დოკუმენტაცია (დროებითი ფარმაცოპეის სტატიები და ტექნოლოგიური რეგლამენტები) სუბსტანციაზე, პდფგმ-ის გელზე და ფირფიტებზე.

კვლევის შედეგების აპრობაცია. სადისერტაციო ნაშრომის მასალები მოხსენებულია: Second International Conference of Young Scientists „Chemistry Today”, Tbilisi, 2012; 3-rd International Conference of Young Scientists „Chemistry Today”, Tbilisi, 2013; V International Conference Health and Ecology, Rabati, Georgia, 2013; საერთაშორისო სამეცნიერო კონფერენცია „ეკოლოგიის თანამედროვე პრობლემები”, ქუთაისი, 2013; 3-rd International conference on pharmaceutical sciences, Tbilisi, 2015; მე-3 მსოფლიო კონგრესი ფარმაცოლოგიაში, ბირმინგემი, 2016.

კვლევის შედეგების პუბლიკაცია. სადისერტაციო მასალების ძირითადი შედეგები გამოქვეყნებულია 6 სამეცნიერო ნაშრომში

დისერტაციის მოცულობა და სტრუქტურა. დისერტაციის ტექსტი მოიცავს კომპიუტერულ ნაბეჭდ 132 გვერდს და შედგება შესავლის, ლიტერატურის მიმოხილვის, გამოკვლევის მასალებისა და მეთოდების, საკუთარი გამოკვლევის შედეგების, დასკვნების და გამოყენებული ლიტერატურის სიისაგან(155).

ნაშრომი ილუსტრირებულია 41 სურათით და 11 ცხრილით.

თავი I. ლიტერატურის მიმოხილვა.

1.1. მცენარეული ბიოლოგიურად აქტიური ნივთიერებების შემცველი რბილი წამალთფორმების რეცეპტურა, ტექნოლოგია, სტანდარტიზაცია და სამედიცინო პრაქტიკაში გამოყენება.

ჭრილობების და დამწვრობების მკურნალობისათვის ფართოდ გამოიყენება ბუნებრივი ნედლეულიდან და სინთეზური სუბსტანციებიდან მიღებული პრეპარატები. ბოლო პერიოდში განსაკუთრებული პოპულარობით სარგებლობენ მცენარეული წარმოშობის სამკურნალო საშუალებები (127, 132, 136, 139, 140, 141, 144, 145, 154).

ფიტოპრეპარატები შეიცავენ ბიოლოგიურად აქტიურ ნივთიერებებს, რომლებიც ხშირ შემთხვევაში არ არიან ტოქსიკურები, არ მოქმედებენ გამაღიზიანებლად კანზე, არ იწვევენ ალერგიულ რეაქციებს, რაც მთავარია მოქმედებენ მიკროორგანიზმების და ვირუსების შტამებზე, რომლებსაც გამომუშავებული აქვთ რეზისტენტობა ანტიბიოტიკებისა და სინთეზური სამკურნალო წამლო საშუალებების მიმართ (67).

მცენარეული პრეპარატების სხვადასხვა დამხმარე ნივთიერებებთან რაციონალური შეთავსება, აგრეთვე ოპტიმალური სქემების გამოყენება გარეგანი და შინაგანი გამოყენების სამკურნალო წამლო საშუალებების დამზადებისას, მნიშვნელოვნად აფართოებს ფიტოპრეპარატების გამოყენების სპექტრს დაავადებების მკურნალობაში.

ფიტოთერაპია გამოიყენება ბულგარეთის, ჩეხეთის, პოლონეთის, საფრანგეთის, ჩინეთის და ინდოეთის მედიცინაში. გაიზარდა ინტერესი ფიტოთერაპიისადმი აშშ-ში, კანადაში, გერმანიაში, იაპონიაში და რატემა უნდა საქართველოში. მიზეზები ჩვენს ქვეყანაში გაზრდილი ინტერესისა ფიტოპრეპარატებისადმი გამოწვეულია ობიექტური ფაქტორებით: მრავალი რთული დაავადების მკურნალობის ჩიხში შესვლა და მკურნალობის ახალი მეთოდების ძიება; უარყოფითი გამოცდილება სინთეზური პრეპარატების გამოყენებისას-გართულებები, არასაკმარისი ეფექტურობა, მკურნალობის ხანგრძლივი კურსი; პროფილაქტიკური და რეაბილიტაციური მედიცინის განვითარება; იმპორტული წამლების გაზრდილი ფასი; დადებითი გამოცდილების დაგროვება ფიტოპრეპარატების გამოყენებისდროს და ა.შ.

დერმატოლოგიურ პრაქტიკაში ფართოდ გამოიყენება გულყვითელას, გვირილას, არყის, მურყანის, არონიის, ძირტკბილას, ევკალიპტის, ძიძოს, ბარამბოს და ა.შ

სამკურნალო მცენარეული ნედლეული. გვირილას ყვავილის ექსტრაქტით დამზადებულ მაღამოს, რომელიც შეიცავს ეთერზეთებს, სტერინებს, ფლავონოიდებს, მთრიმლავ ნივთიერებებს, პოლისაქარიდებს, აქვს გამოხატული ანთების საწინააღმდეგო და ანტიმიკრობული თვისებები, რის გამოც ის ეფექტურია ეგზემის, დერმატიტების (მათ შორის ინფექციურის) მკურნალობისას (118,119). იგი გამოიყენება ეგზემის შემანარჩუნებელი თერაპიისთვის, წვივის წყლულების და ნაწოლების სამკურნალოდ, ბუასილის დროს, სასქესო ორგანოების, კანის და ლორწოვანის ანთებითი პროცესების დროს. ბავშვებში საფენებით გამოწვეული დერმატიტის დროს გამოიყენება 1%-იანი მაღამო „კამილოზანი“ (Asta Medica). მაღამოს შემადგენლობაში შედის გვირილას ყვავილის ექსტრაქტი, ლანოლინი, ვაზელინი და გამობდილი წყალი.

ვ.ფ. ოხოტნიკოვას ხელმძღვანელობით შემუშავებულია შემადგენლობა და ტექნოლოგია 0,5% და 1%-იანი სანგვირიტინის ლინიმენტის, (სანგვირიტინი გამოყოფილია ყაყაჩოსებრთა გვარიდან-მაკლეა – *Macleaya cordatata*, *M. microcarpa*). ლინიმენტის შემადგენლობაში შედის სანგვირიტინი, ტვინ-80, სორბინის მჟავა და სხვა ინგრედიენტები. არის რა ნარევი სულფატებისა და ორი ალკალოიდის-სანგვინარინის და ხელერიტინის, პრეპარატ სანგვირიტრინს აქვს ანტიმიკრობული აქტიურობა, თრგუნავს გრამდადებითი და გრამუარყოფითი ბაქტერიების აგრეთვე საფუარის და მიცელური სოკოების ზრდას. სანგვირიტრინი გამოიყენება კანის და ლორწოვანის ინფექციურ-ანთებითი დაავადებების სამკურნალოდ, ჭრილობების და დამწვრობების ინფიცირებისას, შეუხორცებელი ჭრილობების და წყლულების, პიოდერმიების, ვაგინიტის, საშვილოსნოს ყელის ეროზიებისას, პაროდონტიტის, სტომატიტის, დერმატომიკოზების, კანდიდომიკოზების, ონიქომიკოზების და სხვა დაავადებების დროს. დამტკიცებულია, რომ სანგვირიტინის 1% -იანი ლინიმენტი თავისი სამკურნალო ეფექტით აღემატება ლევორინის 2%-იან მაღამოს, რომელიც გამოიყენება კანდიდოზის თერაპიისთვის (14).

კანის სხვადასხვა დაავადებების სამკურნალოდ (თავის თმიანი ნაწილის სეზორეა, ფსორიაზი, ბუდობრივი ალოპეცია); დერმატოფიტების (რუბროფიტია, მიკროსპორია, ტრიქოფიტია და ა.შ); აგრეთვე ზედაპირული, კანის, ფრჩხილების და ლორწოვანის კანდიდოზისას ფართოდ გამოიყენება ანმარინის 1%-იანი ლინიმენტი. ლინიმენტი და ლოსიონი თვითონ წარმოადგენს ნარევს, ფსორალენის ორი იზომერის, რომლებიც გამოყოფილია დიდი ამის თესლებიდან, აქვს სოკოს საწინააღმდეგო მოქმედება დერმატოფიტების მიმართ: *Trichophytum rubrum* , *T. Interdigitale*, *M. Canis*, *Candida albicans*

და საშუალო სიძლიერის ბაქტერიოსტატიკური მოქმედება გრამდადებით ბაქტერიებზე. ანტიმიკოზური მოქმედებით ანმარინის ლინიმენტი არ ჩამოუვარდება კლოტრიმაზოლს, აგრეთვე გააჩნია კერატო და ეპითელიომასტიმულირებელი ეფექტი, ასტიმულირებს თმის ზრდას (15).

მაღალი ანტივირუსული აქტივობა, ჰერპესის ვირუსის კერატოგენული და დერმატოტროპული შტამების მიმართ, გამოავლინა ალპიზარინმა-ქსანტონური ბუნების გლიკოზიდმა, რომელიც გამოყოფილია კრიალოსანის გვარის-(პარკოსნების ოჯახი) რამდენიმე მცენარისგან. ალპიზარინის 2%-იანი და 5%-იანი მალამოს გამოყენება რეკომენდირებულია კანის სხვადასხვა ვირუსული დაავადებების დროს.

სეჩენოვის სახელობის მოსკოვის სახელმწიფო სამედიცინო უნივერსიტეტის ფარმაცევტული ტექნოლოგიის კათედრაზე მკვლევართა ჯგუფის მიერ ჩატარდა ექსპერიმენტული სამუშაო ტიკვეოლის რექტალური მალამოსათვის დამხმარე ნივთიერებების კომპოზიციის დასადგენად. დადგინდა, რომ პოლიეთილენგლიკოლის შეყვანა მალამოს კომპოზიციაში ზრდის ტიქსოტროპულობას და ამცირებს კოლოიდურ სტაბილურობას. აღნიშნული მახასიათებლები უმჯობესდება 5%-მდე ემულგატორის დამატებისას, შედარებით ოპტიმალურია ტვინ-80. ტიკვეოლის ძირითადი ბიოლოგიურად აქტიური ნივთიერებები უფრო ინტენსიურად გამოთავისუფლდება მალამოს ჰიდროფილური ფუძიდან, ამავე დროს გამოკვლეული დიფილური კომპოზიციები უზრუნველყოფს მათ მაღალ ტექნოლოგიურ და სამომხმარებლო თვისებებს(83).

სამკურნალო ნაკრებების შექმნამ, ანთების საწინააღმდეგო, რეპარაციული და ანტიალერგიული მოქმედებით, საშუალება მისცა ბაშკირის სახელმწიფო სამედიცინო უნივერსიტეტის მეცნიერთა ჯგუფს შეემუშავებინათ ეფექტური სამკურნალო პრეპარატი დერმატოლოგიური პრაქტიკისთვის.

ნაკრები „ეკზოფიტი“ რომელიც შეიცავს სამკურნალო მცენარეული ნედლეულის ოთხ სახეობას, გამოიყენება არა მხოლოდ სავლებად, არამედ ზეთიანი ექსტრაქტის მისაღებად, როგორც კაროტოლინის ანალოგი. ექსტრაქტი გამოიყენება „ალბინას“ და „სუდარინას“ კოსმეტოლოგიურ კრემებში, რომელთაც აქვთ რეგენერაციული და ანტიალერგიული მოქმედება. ემულსიურმა მალამომ („ეკზოფიტის“ 25%-იანი ზეთიანი ექსტრაქტის შემცველობით) გამოავლინა მაღალი შეხორცებითი, დეჰიდრატაციული, რეგენერაციის უნარი და წარმატებით გამოიყენება პედიატრიაში პოსტოპერაციული ჰემანგიომების და ლიმფანგიომების მკურნალობისას, ასევე რეკომენდირებულია

ნეიროდერმატიტების და ფსორიაზის სამკურნალოდ. აღსანიშნავია ქავილის, ანთებითი მოვლენების, ნეიროდერმატიტების დროს ექსუდაციის შემცირება, აგრეთვე პაპულების და ქერცლის შემცირება ფსორიაზის დროს. 50%-იანი მალამო ეფექტურია ალერგიული დერმატოზების დროს.

პიატიგორსკის სახელმწიფო ფარმაცევტულ აკადემიაში შეიმუშავეს მალამო, რომელიც შეიცავს ტრიტერპენოიდულ კომპლექსს გამოყოფილს არყის ხის ქერქისგან. მალამომ აჩვენა მაღალი ეფექტურობა ჰერპესული გამოვლინების, ასევე სხვადასხვა ეტიოლოგიის დერმატოზების მკურნალობის დროს.

შესწავლილია ანთების საწინააღმდეგო და ჭრილობის შემახორცებელი მოქმედება სელის, ბალბის და ჭინჭრის ექსტრაქტების შემცველი მალამოების. მალამოების დამზადებისას ითვალისწინებდნენ ფუძეში სამკურნალო ნივთიერებების ხსნადობას ჰომოგენური ან სუსპენზიური სისტემების მიღებისას. დამტკიცებულია მათი გამოხატული ანტიმიკრობული აქტიურობა სტაფილოკოკების და სპოროვანი მიკროფლორის წინააღმდეგ (51).

პიტიაგორსკის სახელმწიფო ფარმაცევტული აკადემიის თანამშრომლების მიერ ექსპერიმენტულად დასაბუთებულია შემადგენლობა და ტექნოლოგია ცირცელის ნაყოფის ლიპოფილური ფრაქციის (მიღებულია ნ-ჰექსანით ექსტრაქციით) ფუძეზე დამზადებული მალამოსი. მას გააჩნია ჭრილობის შემახორცებელი მოქმედება (62).

ფიტოქიმიის ინსტიტუტში (ყაზახეთი) ტარდება კვლევები ანტიმიკრობული და ანთების საწინააღმდეგო თვისებების ფიტოკომპოზიციების შესამუშავებლად, შემდგომში მათ ბაზაზე რბილი წამალთფორმების შემუშავების მიზნით. მათ მიერ შემუშავებულ ფიტოკომპოზიციებს აღმოაჩნდათ ანტიმიკრობული მოქმედება შემდეგი შტამების მიმართ: *St.aureus*, *Ps.aureginosa*, *C.albicans*, *E.coli*, *B.subtilis*, *S.agalactiae*(39).

ულან-უდეს ბიოლოგიის ინსტიტუტის თანამშრომლები: ე.ა.ბატოევი; ლ.ბ ბურაევი, ა.ვ.ცირენჟაპოვი, იკვლევენ *Orthilia secunda* ექსტრაქტის ზემოქმედებას ანთებით პროცესზე. შედეგად დამტკიცებულია მისი ანთების საწინააღმდეგო და ანტიმიკრობული თვისებები, რაც განპირობებულია ბიოლოგიურად აქტიური ნივთიერებების მაღალი შემცველობით; გარკვეულია ფიტოექსტრაქტის ბაზაზე რბილი წამალთფორმის შექმნის პერსპექტივა(11).

სალბისაგან მიღებულია პრეპარატი დონელვინი. დონელვინი შეიცავს ქინონების გასუფთავებულ ჯამს. დონელვინის 0,5%-იან და 1%-იან მალამოს გააჩნია ანტიმიკრობული, ანთების და ქავილის საწინააღმდეგო მოქმედება ეგზემის, ნეიროდერმიტების

და კანის სხვა დაავადებების დროს. კვლევების შედეგად დადგინდა სალბის მიწისზედა ნაწილებიდან დამზადებული მაღამოს მაღალი ანტიმიკრობული მოქმედება *St.aureus*; *B.subtilis*, *Ps.aureginosa* შტამების მიმართ (81).

ვილარის თანამშრომლებმა (ტ.ვ.ფატაევა, ნ.მ კრუტიკოვა და ლ.დ შიპულინა) ბიოტექნოლოგიური მეთოდით, *Macrotomia euchroma*-ს ფესვისგან მიიღეს ნაფტოქინონი შიკონინი. შიკონინის 0,5%-იანი მაღამოს ქიმიოთერაპევტული ეფექტურობა გამოიკვლიეს ზღვის გოჭებზე, რომელებიც დააინფიცირეს *microsporum canis*-ით. შესადარებელ პრეპარატად გამოიყენეს კლოტრიმაზოლის 1%-იანი კრემი. დადგინდა, რომ შიკონინის 0,5%-იანი მაღამო ავლენს მაღალ ფუნგისტატურ ეფექტს, ცხოველების გამოჯანმრთელების პერიოდის მნიშვნელოვანი შემცირებით. ამასთან დაადგინეს, რომ შიკონინი აინჰიბირებს არა მარტო გრამდადებითი და გრამუარყოფითი ბაქტერიების ლაბორატორიული შტამების ზრდას, არამედ მოქმედებს პათოლოგიური შტამების ახლადგამოყოფილ სახეებზე, რომელთაც აქვთ რეზისტენტობა თანამედროვე ქიმიოპრეპარატებისადმი, მათ შორის ანტიბიოტიკებისადმი (76).

სეჩენოვის სახელობის მოსკოვის სამედიცინო უნივერსიტეტის თანამშრომლებმა ამრანტის ზეთის გამოყენებით შექმნეს მაღამო ტროფიკული წყლულების და დამწვრობის სამკურნალოდ. მაღამოს კომპოზიციის შემადგენელი კომპონენტები შეარჩიეს მათი რეპარაციული, ოსმოსური და ანტისეპტიკური ეფექტის გათვალისწინებით. კვლევის მიმდინარეობისას გამოიკვლიეს შესაძლო კომბინაციები ამრანტის ზეთისა სხვადასხვა მოლეკულური მასის პოლიეთილენ ოქსიდებთან,ემულგატორებთან და სხვა დამხმარე ნივთიერებებთან. შედეგად დაადგინეს ოპტიმალური რეცეპტურა და დაამუშავეს მაღამოს მომზადების ტექნოლოგია.

ტაჯიკეთის ბენტონიტის თიხის ფუძეზე შემუშავდა მაღამო „სუბინაკი“, რომელიც შეიცავს თავშავას ეთერზეთს. მას გააჩნია ანტიმიკრობული მოქმედება. ჩატარებული ექსპერიმენტის შედეგებმა აჩვენეს, რომ მაღამო „სუბინაკი“ ანტიმიკრობული აქტიურობით ბევრად აღემატება ცნობილ პრეპარატებს (ტეტრაციკლინი და ერითრომიცინი) (82).

პიატიგორსკის ფარმაცევტული აკადემიის თანამშრომლებმა: რომანცევი ნ.ა, შატალოვი ტ.ა, და სხვ. შეიმუშავეს ცირცელის ყვავილიდან ექსტრაქტის მიღების და მათ ბაზაზე მაღამოების დამზადების ტექნოლოგია. თხევადი ექსტრაქტის მიღების ტექნოლოგიის შემუშავებისას გამოიყენეს რეპერკოლაციის მეთოდი. ფლავონოიდების შემცველობას ნედლეულში საზღვრავდნენ დიფერენციალური სპექტროფოტომეტრიის მეთოდით.

ალტაის სახელმწიფო სამედიცინო უნივერსიტეტის თანამშრომლებმა (ფედოსეევა ლ.მ., ზონდიუკი მ.ა.) შეიმუშავეს რბილი სამკურნალწამლო ფორმა მალამო, ოროვანდის ფოთლების ექსტრაქტის, პიტნის და ქაცვის ზეთის ბაზაზე. მალამო განკუთვნილია სტომატოლოგიურ პრაქტიკაში გამოსაყენებლად. მალამოს შემადგენლობაში შედის: მეთილცელულოზა (მც), ნატრიუმის კარბოქსი მეთილცელულოზა (Naკმც), პოლივინილის სპირტი (პვს), პოლივინილპიროლიდინი (პვპ), გასუფთავებული წყალი და გლიცერინი (41).

პეტერბურგის ფარმაცევტულ აკადემიაში შეიმუშავდა მალამო ოფის კვირტების ექსტრაქტით. ოფის კვირტებიდან ღებულობდნენ ორფაზიან ექსტრაქტს -მცენარეული ნედლეულის გამოწვლილვით სხვადასვა პოლარობის გამხსნელთა სისტემით, რომლებიც ერთმანეთს არ ერეოდნენ. მიღებული ექსტრაქტი გამოიყენეს მალამოს დასამზადებლად. მალამოს გააჩნია ანტიმიკრობული, ჭრილობის შემახორცებელი და ანთების საწინააღმდეგო მოქმედება, რაც დადასტურდა ცხოველებზე ჩატარებული ექსპერიმენტებით(77).

„დენტოლიფტის“ კრემი შეიცავს მიხაკის და ევკალიპტი, CO₂-ექსტრაქტებს. ბიოფარმაცევტული კვლევების შედეგად ფუძედ შერჩეულია აკრილური პოლიმერი (40).

შემუშავდა ემულსიური მალამო *Astragalus falcatus* ექსტრაქტით, რომელიც შეიძლება გამოყენებულ იქნას ლპობითი ჭრილობის მეორე და მესამე რეპარაციული და აღდგენითი ფაზების, აგრეთვე კანის დაზიანების დროს, სხვადასხვა დერმატოლოგიური დაავადებისას (21,22).

შეისწავლეს ოსმოსური აქტივობა მუხის სქელი ექსტრაქტის ბაზაზე დამზადებული მალამოსი. მალამოს გამოყენება რეკომენდირებულია ჭრილობის მკურნალობის მეორე ფაზის დროს, მას აქვს საშუალო ოსმოსური თვისებები, რის გამოც იქმნება ხელსაყრელი პირობები ჭრილობის შეხორცებისათვის (65).

შეისწავლეს ყურძნის ზეთის გამოთავისუფლება სხვადასხვა სახის მალამოებიდან. აქტიური ნივთიერების გამოთავისუფლებას მალამოდან აწარმოებდნენ დიალიზით ნახევრადგამტარ მემბრანაზე, ხოლო ნიმუშებში ძირითადი კომპონენტის შემცველობას(ყურძნის ზეთის ცხიმოვანი მჟავების), საზღვრავდნენ მაღალეფექტური სითხური ქრომატოგრაფიის მეთოდით. შედარებით ინტენსიური გამოთავისუფლება ყურძნის ზეთის ცხიმოვანი მჟავებისა ხდებოდა ემულსიური ფუძის გამოყენებისას, ემულგატორ T-2-ის 9%-ის რაოდენობით დამატებისას (65,66).

სამეცნიერო ლიტერატურაში განსაკუთრებით მრავალრიცხოვნად გვხვდება კვლევები, რომლებიც ეძღვნება მცენარეული სუბსტანციების შემცველი გელების რეცეპტურასა და ტექნოლოგიას (31,32,33,59,75,152).

ელექტრული განმუხტვებით მიღებული მცენარეული ექსტრაქტების გამოყენებით შემუშავდა სტომატოლოგიური გელი. გელი დამზადებულია პოლიეთილენოქსიდის 1500 და 400-ის გამოყენებით, 1:3–თანთანაფარდობით (23).

Lamium album–ის ექსტრაქტის გამოყენებით შემუშავდა გელის შემადგენლობა და ტექნოლოგია. ექსტრაქტს იღებდნენ ცირკულაციური ექსტრაქციით „სოქსლეტის“ ტიპის აპარატზე. გელის მისაღებად გამოიყენეს სინთეზური გელწარმომქმელი „კარბოპოლ 974-ნფ“. ნეიტრალიზაციას აწარმოებდნენ ტუტე აგენტით–ტრიეთანოლამინით. პლასტიფიკატორად აირჩიეს კრემოფორი RH (64).

შემუშავდა ანტივირუსული მოქმედების ჰიპორამინის გელისა და ლინიმენტის შემადგენლობა, ტექნოლოგია და სტანდარტიზაციის მეთოდები. ექსპერიმენტულად დასაბუთებულია დამხმარე ნივთიერებების შერჩევა. ჩატარდა კომპლექსური გამოკვლევა გელის და ლინიმენტის სტანდარტიზაციის და ვარგისიანობის ვადების დასადგენად (27).

ფიტოქიმიური, სტრუქტურულ-მექანიკური და მიკრობიოლოგიური კვლევების შედეგად შემუშავდა ანტიმიკრობული და ანთებისსაწინააღმდეგო ევკალიმინის გელის და კრემის შემადგენლობა და ტექნოლოგია. გელის ფუძის კომპონენტების შერჩევას დასაბუთებულია აკრილური პოლიმერების და პეგ–400-ის გამოყენების მიზანშეწონილობა(52); ევკალიმინის კრემისთვის გამოიყენება–ემულსიური ცვილი, დისტილირებული მონოგლიცერიდები დაპეგ–400. როტაციული ვისკოზიმეტრის გამოყენებით გამოიკვლიეს კარბოპოლის და არესპოლის ფუძეებზე დამზადებული გელების სტრუქტურულ-მექანიკური თვისებების დამოკიდებულება პოლიმერის კონცენტრაციაზე, ნეიტრალიზაციის ხარისხზე, მანეიტრალიზებელი აგენტის ტიპზე და დამხმარე ნივთიერებების რაოდენობაზე.

ჩატარებული ტექნოლოგიური კვლევების საფუძველზე დადგინდა ანთების საწინააღმდეგო ქლოროფილიპტის გელის შემადგენლობა. ქლოროფილიტი არის სქელი ექსტრაქტი, რომელიც მიღებულია ევკალიპტის მშრალი ფოთლებისაგან. ოპტიმალური ფუძის შესრჩევად ჩატარდა ბიოფარმაცევტული კვლევა მოდელირებულ ნიმუშებზე in vitro ცდაში დიფუზიის მეთოდით (72,73).

პეტერბურგის ფარმაცევტული აკადემიის თანამშრომლებმა შეისწავლეს სტომატოლოგიური გელის რეოლოგიური თვისებები. გელი შეიცავს: ჭინჭრის წვენს, კალახოს წვენს, გლუკოზამინის ჰიდროქლორიდს და დიმეთილსულფოქსიდს. გელის ფუძედ გამოიყენეს პოლიეთილენოქსიდები და გლიცერინი (35).

შემუშავდა ანთების საწინააღმდეგო გელი ძიძოს ექსტრაქტით. კვლევის პროცესში შეიქმნა შვიდი ნიმუში კრემის სხვადასხვა შემადგენლობით (ემულსიური ფუძე, ლანოლინი, ვაზელინი, მეთილცელულოზა, ფლოკარი, პოლიეთილენგლიკოლი და კარბოპოლი). ბიოფარმაცევტული შეფასების შედეგად შეირჩა კარბოპოლის ფუძე (71).

ჩატარდა რეოლოგიური და ბიოფარმაცევტული კვლევა არგალიბინის გელის ლიპოსომური ფორმის. არგალიბინი, სესქვიტერპენული ლაქტონი, გამოყოფილია აზინდას ენდემური ნედლეულისგან. გელის ფუძედ გამოიყენეს პოლიეთილენოქსიდი მოლეკულური მასით 400 და 1500, 3:2-თანთანაფარდობით (74).

მოწოდებულია რეცეპტურა აკნეს სამკურნალო ანტიბაქტერიული ემულგელისა, რომელიც მოქმედი ნივთიერებების სახით შეიცავს პაჩულის ფოთლების ეთერზეთებს. (151).

სამეცნიერო ლიტერატურაში ასევე გვხვდება საინტერესო მონაცემები მცენარეული ეთერზეთების შემცველი ემულგელების რეცეპტურისა და ტექნოლოგიის შესახებ (92).

ბიოფარმაცევტული კვლევების საფუძველზე მოწოდებულია ფლუკონაზოლის ემულგელის რეცეპტურა და ტექნოლოგია (112,128,129).

ნატრიუმის კარბოქსი მეთილცელულოზას გამოყენებით შემუშავებულია გახანგრძლივებული მოქმედების პოლიკომპლექსური გელი (34).

შედარებით ასპექტში შესწავლილია ჰიდროქსი პროპილ მეთილცელულოზას და კარბოპოლის გამოყენებით მომზადებული კეტოპროფენის ემულგელების ფიზიკურ ქიმიური და ტექნოლოგიური მახასიათებლები. დადგენილია კარბოპოლის ფუძეზე მომზადებული გელის უპირატესი სამომხმარებლო თვისებები (146).

ბიოფარმაცევტული კვლევების საფუძველზე შერჩეულია ლევზეას ექსტრაქტის გელის ფუძე-მატარებელი (36).

წარმოდგენილი სამეცნიერო მონაცემები შეიძლება გამოყენებულ იქნას შემდეგი კვლევებისთვის, კერძოდ: მცენარეული ბიოლოგიურად აქტიური ნივთიერებების შემცველი რბილი წამალთფორმების შესაქმნელად.

1.1.1. დამხმარე ნივთიერებები რბილ წამალთფორმების წარმოებაში.

გარეგან მკურნალობას ოდითგანვე ფართოდ იყენებდნენ დერმატოლოგიაში. ეტიოლოგიური, პათოგენეტიკური ან სიმპტომატიკური ზემოქმედება მიიღწევა გარეგანი ფარმაცოთერაპიული საშუალებების გამოყენებით სხვადასხვა სამკურნალო ფორმით: ხსნარი, ფხვნილები (პუდრები), გელი, პასტა, აეროზოლი, მალამო, კრემი, ლაქი, ემპლასტრო. კარგადაა ასევე ცნობილი, რომ სამკურნალწამლო ფორმა ფარმაცოლოგიური საშუალებების დამატების გარეშეც ახდენს ზემოქმედებას კანში მიმდინარე ანთებით პროცესზე(6,37). კლასიკურ დერმატოლოგიაში ესა თუ ის ფორმა შედგებოდა კარგად ცნობილი ინდიფერენტული საშუალებებისგან, რომლებიც მხოლოდ თავისი ფიზიკური თვისებებით მოქმედებდნენ. ასეთ საშუალებებს მიაკუთვნებდნენ წყალს, ქიმიურად ნეიტრალურ ფხვნილისებურ ნივთიერებებს, ზეთებს, ცხიმებს, ცხიმისებურ ნივთიერებებს, გელებს და კოლოიდებს (8,9,37,79).

რბილი წამალთფორმების წარმოებაში სამკურნალო ფორმების შემადგენლობა სხვა მრავალი კომპონენტით შეივსო. ამან შესაძლებელი გახადა პრეპარატების ფიზიკური მოქმედების ოპტიმიზირება, ფუძის შეწოვის გაუმჯობესება, ნივთიერების კანზე დაფიქსირება ან ღრმად გადატანა, ასევე პრეპარატების შენახვის ვადის გაზრდა(9,1-3). გარეგანი სამკურნალო საშუალებების მომზადებაში ტექნოლოგიების გამოყენების განვითარებასთან ერთად ფუძის კომპონენტების სია მუდმივად იზრდებოდა. ეს ეხება თანამედროვე დერმატოლოგიური პრეპარატების ფუძეებს. დღეისათვის, ფუძეებისადმი მოთხოვნები მუდმივად იზრდება. ფუძე უნდა იყოს ფარმაცოლოგიურად ინდიფერენტული, ქიმიურად სტაბილური და არ უნდა შეიცავდეს პოტენციურად გამაღიზიანებელ და მასენსიბილიზირებელი ეფექტების მქონე ნივთიერებებს(95,150). გარეგანი საშუალებების დანიშვნის მაღალი სიხშირის გათვალისწინებით, პოლივალენტური სენსიბილიზაციის მქონე პირებისთვის სასურველია შემადგენლობაში ინგრედიენტების მინიმალური ეფექტური რაოდენობის ჩართვა. ფუძე ასევე კარგად უნდა შეიწოვებოდეს კანში, არ იწვევდეს ცხიმოვან პრიალს, მოსახერხებელი უნდა იყოს გამოყენების დროს და შეესაბამებოდეს წყლიან-ლიპიდური მანტიის pH-ს (7,79,80,121).

კრემი – სქელი ან თხევადი ემულსიური სამკურნალწამლო ფორმაა, რომელიც მიიღება ცხიმის ან ცხიმის მსგავსი ნივთიერების წყალთან შერევით 2:1–თან ან ნაკლები თანაფარდობით(9,37). კრემის შემადგენლობაში შემავალი წყალი აორთქლებისას

კანს აგრილებს, იწვევს სისხლძარღვების შევიწროვებას და განაპირობებს ანთების სა-
წინააღმდეგო მოქმედებას. ეს სამკურნალწამლო ფორმა ფიზიკურ-ქიმიური თვისებე-
ბით ჰგავს წყლიან-ლიპიდურ მანტიას კანის ზედაპირზე და კარგად შეიწოვება(37,150).

მაღამო დერმატოლოგიაში ყველაზე ხშირად გამოყენებადი სამკურნალწამლო
ფორმაა, რომლის ფუძედ ხშირ შემთხვევაში იყენებენ ცხიმებს და ცხიმისებურ ნივთი-
ერებებს.ცხიმოვანი ფუძეები არბილებენ და ატენიანებენ მშრალ კანს, აუმჯობესებენ
მის ელასტიკურობას, არბილებენ საფარს, ხელს უშლიან აორთქლებას. სწორედ ამი-
ტომ ისინი ამლიერებენ ანთებას, ხელს უწყობენ კანის ინფილტრაციას და კანის სიღრ-
მეში ფუძეში ჩართული ფარმაცოლოგიური ნივთიერებების შეღწევას (142).

მაღამოებს, კრემებს, ლოსიონებს აქვთ მრავალი უარყოფითი თვისებები, ზოგა-
დად ახასიათებთ წებოვნება, რაც პაციენტს უქმნის დისკომფორტს მათი დატანისას.
ასევე შემცირებული აქვთ გავრცელების კოეფიციენტი და აქვთ პრობლემა სტაბილუ-
რობისა. ამ ფაქტორების გამო გელის გამოყენება გაზრდილია როგორც კოსმეტოლო-
გიურ ასევე სამედიცინო პრაქტიკაში (16,130). გელი არის კოლოიდური, როგორც წესი
99%-ით, თხევადი, რომელიც იმოხილიზებულია მაღალმოლეკულური უჯრედული
სტრუქტურის ბოჭკოებით. მიუხედავად გელის უპირატესობისა ძირითადი შეზღუდ-
ვა არის მათი უუნარობა ჰიდროფობური პრეპარატების მიწოდებისას დანიშნულების
ადგილზე. აღნიშნული პრობლემის გადასაჭრელად გამოიყენება ემულსიები, იმისათ-
ვის, რომ ჰიდროფობური მოლეკულის ფრაგმენტები ნაყოფიერად იქნას ჩართული და
დატანილი გელის საშუალებით. როდესაც გელი და ემულსია გამოყენებულია ერთია-
ნი ფორმის სახით მოხსენიებულია როგორც ემულგელი.

გელების კლასიფიკაციას ახდენენ დისპერსულ სისტემებზე კუთვნილების
(ჰიდროფილური და ჰიდროფობური), მიღების გზის (ჭრილობის, თვალის, დენტალუ-
რი, ნაზალური, კანის, ვაგინალური, რექტალური, ორალური, პერორალური, ურეთ-
რალური და ენდოცერვიკალური), მიღების ხერხის (აპლიკაციური, საინჰალაციო და
წასაცხები) და სხვა ნიშნების მიხედვით (ჰომეოპათიური, ლიპოსომური და მოდიფი-
ცირებული გამოთავისუფლებით).

ჰიდროფილური გელები (ჰიდროგელები) მზადდება ფუძეებზე, რომლებიც შედ-
გება წყლის ან არაწყლიანი გამხსნელების (გლიცერინი, პროპილენგლიკოლი, ეთილის
სპირტი და იზოპროპილის სპირტი) და ჰიდროფილური გელწარმოქმნელებისაგან
(აკრილის მჟავას წარმოებულები – კარბომერები, ცელულოზას ნაწარმები და სხვა).

ჰიდროგელები, 95-99% წყლის შემცველობით, მიდრეკილნი არიან გამოშრობისაკენ, ამიტომაც ჰიდროგელებს ამატებენ გლიცერინს, სორბიტს, პროპილენგლიკოლს, პოლიეთილენგლიკოლს. აღნიშნული ნივთიერებები უზრუნველყოფენ გამოშრობისაგან დაცვას, ამასთან დამატებით ასრულებენ პლასტიფიკატორის ფუნქციას სტრუქტურულ წარმომქმნელი პოლიმერისათვის.

გელწარმომქმნელის საწყის კონცენტრაციასთან ერთად, გელის სიბლანტე განსაზღვრავს ტენის სტაბილურობის სახეს და რაოდენობას. პოლიოლები ან სხვა დაბალმოლეკულური სპირტები იცავენ წყლის მაღალი შემცველობის მქონე ჰიდროგელებს მიკრობული კონტამინაციისგან.

თერმოდინამიკური სტაბილურობა და პრინციპულად მარტივი რეცეპტურა შესაძლებლობას იძლევა, რომ ჰიდროგელი გამოყენებული იქნას როგორც სამკურნალ-წამლო ნივთიერებების ფუძე.

ჰიდროგელების ფუძეზე მომზადებულ შემადგენლობებს გააჩნია გამოხატული გამაგრებელი მოქმედება, რომლის გაძლიერება შესაძლებელია სპირტების შეტანით. გელების რეცეპტურის შედგენის დროს სპირტიანი კომპონენტებიდან უპირატესობას ანიჭებენ იზოპროპილის ან ეთილის სპირტს.

გელები წარმოადგენენ ერთ-, ორ- ან მრავალფაზიან დისპერსულ სისტემებს თხევადი დისპერსული არით, რომელთა რეოლოგიური თვისებები განპირობებულია გელწარმომქმნელის არსებობით. გელწარმომქმნელებს შეუძლიათ დამატებით შეასრულონ დისპერსული სისტემების: სუსპენზიების ან ემულსიების სტაბილიზატორის როლი. ასეთ გელებს ეწოდებათ სუსპენზიური გელები ან ემულგელები.

ჰიდროფობურ გელებს (ოლეოგელებს) ამზადებენ ფუძეებზე, რომლებიც შედგებიან ჰიდროფობური გამხსნელების (ვაზელინი ან მცენარეული ზეთები და სხვა) და ლიპოფილური გელწარმომქმნელისაგან (პოლიეთილენი, კოლოიდური სილიციუმის ორჟანგი და სხვა).

აპარატურული გელები – არის მალამოების სახესხვაობა, რომლებიც გამოიყენება სადიაგნოსტიკო და ფიზიოთერაპევტულ აპარატურაში საკონტაქტო არის სახით. მათ იყენებენ აგრეთვე კოსმეტიკური პროცედურების დროს (აპარატურული კოსმეტოლოგია).

მიკროემულსიური გელები (გამჭვირვალე, ზედაპირულად აქტიური მიკროემულსიური, კრეპიტაციული გელებია) წარმოადგენენ გამჭვირვალე, იზოტროპულ, თერმოდინამიკურად სტაბილურ გელებს, რომლებიც შედგებიან შესაბამისი ემულგატორის,

აგრეთვე ჰიდროფილური და ლიპოფილური კომპონენტებისაგან. ემულგატორებად შეიძლება გამოყენებული იყოს პოლოქსამერები და უმაღლესი ცხიმოვანი მჟავების ეთოქსილირებული რთული ეთერები.

ლიპიდური და წყლის შემცველი, გარეგნულად გამჭვირვალე, გელები შეიძლება მიღებული იქნას ზედაპირულად აქტიური ნივთიერების 20%-ზე მეტი შემცველობის შემთხვევაში. უპირატესად ლიპიდურ ფაზას წარმოადგენენ არაპოლარული ზეთები.

პოლოქსამერების მიერ წარმოქმნილი გამჭვირვალე იზოტროპული გელები-სათვის დამახასიათებელი სტრუქტურა წარმოდგენილია მჭიდროდ დაკავშირებული სფერული ნაწილაკებით. ასეთი მიკროსტრუქტურა შედგება ზედაპირულად აქტიური ნივთიერებების ჰიდრატული სფერული აგრეგატებისაგან (მიცელები), რომლებიც შეიძლება განვიხილოთ, როგორც გელის სტრუქტურის ელემენტები, ლიპოფილური ფაზის სოლუბილიზებულ ფორმაში შემცველობით. ჰიდროფობური ბირთვები აგრეგატის სახით შეერთებულია ერთმანეთთან ურთიერთქმედებით მათ ზედაპირზე არსებული პოლიოქსიეთილენის რგოლების ხარჯზე. სფერული მიცელები განლაგებულია მჭიდროდ შეკავშირებული კუბური ფორმის თხევადკრისტალური ფაზის სახით.

ლიპოფილური კომპონენტის ჭარბი რაოდენობით დამატების შემთხვევაში, ისინი კი არ სოლუბილიზირდებიან, არამედ დისპერგირდებიან წვეთების სახით. ამ შემთხვევაში შემადგენლობა აშკარად ემულსიური ხასიათისაა. მიკროემულსიური გელები კარბოპოლის გელებთან და ემულსიურ მალამოებთან შედარებით ნაკლებ მგრძობიარეა მჟავა რეაქციის მქონე მარილების ზემოქმედების მიმართ.

თანამედროვე ფუძეები, როგორც კრემების, ასევე მალამოების და გელების, შეიძლება შეიცავდნენ ქიმიური ნივთიერებების რამდენიმე ჯგუფს: ცხიმები და ცხიმისებური ნივთიერებები, ემულგატორები, დამატენიანებლები (ჰუმექტანტები), კანის სიღრმეში ნივთიერებების უფრო ღრმად შეღწევის ხელის შემწყობი ნივთიერებები, კონსერვანტები და გამხსნელები.

ტრადიციულ ცხიმოვან და ცხიმისებურ ნივთიერებებს წარმოადგენენ ლანოლინი, ვაზელინი, სხვადასხვა ცვილი, ცხოველური ცხიმები, მცენარეული და მინერალური ზეთები, ჰიდროგენიზებული ზეთები და სხვ. ბოლო დროს მათ წარმატებით ცვლიან სინთეზური ფუძეები: პოლიეთილენგლიკოლები, ცელულოზები, ფოსფოლიპიდები და სხვ. მათ კარგად იტანს კანი, ადვილად აღწევენ მასში, ადვილად ცილდებიან ზედაპირიდან, არ მჟავდებიან და არ იშლებიან. სინთეზური ფუძეები არ აცხიმინებენ კანს, სუსტად ეწინააღმდეგებიან ტენის აორთქლებას და კარგად ემულგირდებიან.

ლანოლინი, ტრადიციულად კრემების და მალამოების წარმოებაში გამოიყენება. ლანოლინი კრემების წარმოებაში იშვიათად გამოიყენება, ცოტა უფრო ხშირად – კი მალამოების წარმოებაში. არსებობს ერთეული პუბლიკაციები, რომლებიც მიუთითებენ ლანოლინის შესაძლებელ სენსიბილიზაციის უნარზე (8,37) თუმცა, საჭიროა ამ საკითხის შემდგომი შესწავლა.

დღესდღეისობით ფართოდ გამოიყენება მინერალური ცხიმოვანი და ცხიმისებური ფუძეები მყარი და თხევადი კონსისტენციით. მყარ ფუძეებს მიაკუთვნებენ ვაზელინს და მყარ პარაფინს, ხოლო თხევადს – ვაზელინის ზეთს (თხევადი პარაფინი), მინერალურ ზეთებს და პროპილენგლიკოლს(37).

ვაზელინი მყარი და თხევადი ნახშირწყალბადების ნარევიანია, რომელიც მიღებულია ნავთობის ფრაქციული დისტილაციით და წარმოადგენს თეთრ, ბლანტ, წებოვან ზეთისებურ, სუნის არმქონე ნივთიერებას. ეს ნივთიერება დაბალ ალერგიულია, კარგად არბილებს და ატენიანებს კანს აპკისწარმომქმნელი ეფექტის ხარჯზე(8,37). ოკლუზიური ეფექტის გამოხატულობის მხრივ ვაზელინი, სხვა ნივთიერებებთან შედარებით „ოქროს სტანდარტად“ ითვლება. ცნობილია, რომ იგი ამცირებს წყლის ტრანსეპიდერმალურ დაკარგვას 170-ჯერ მეტად, ვიდრე ზეთუნის ზეთი(9). დერმატოკოსმეტოლოგიაში უმეტესად გამოიყენება თეთრი ვაზელინი, რომელიც ყვითელისგან გამოირჩევა გასუფთავების მაღალი ხარისხით(37). ვაზელინის უარყოფით თვისებებს შეიძლება მიეკუთვნოს დატანის შემდეგ კანზე ცხიმოვანი პრიალი, სწორედ ამიტომ სუფთა სახით ის იშვიათად გამოიყენება (9,37).

პარაფინები წარმოადგენენ ნავთობის გასუფთავებულ ფრაქციას. ხელოვნური ვაზელინი მყარი პარაფინის, თხევადი პარაფინის და ცერეზინის (ცვილი) ნარევიანია. ეს ნარევი გამოიყენება როგორც გამასქელებელი, ცვილისთვის დამახასიათებელი ემულგირების თვისებების გარეშე (19,37).

ცვილები – შემადგენლობით და წარმოშობით სხვადასხვა ამორფული ცხიმისებური ნივთიერებების ჯგუფია. განასხვავებენ ცხოველურ (ფუტკრის, ლანოლინი, სპერმაცეტი და სხვ.), მცენარეულ (იაპონური, კარნაუბური, კანდელილური და სხვ.), წიაღისეულ (იზოკერიტი, ცერეზინი, მონთან-ცვილი და სხვ.) და ხელოვნურ ცვილებს. მცენარეული და ცხოველური ცვილები ძირითადად შედგებიან ცხიმოვანი მჟავების რთული ეთერებისგან და ერთატომიანი სპირტებისგან. წიაღისეული ცვილები წარმოადგენენ ლიმიტირებული ნახშირწყალბადების ნარევს. ხელოვნურ ცვილებს იღებენ

ნავთობის გადამუშავების პროდუქტებისგან (პარაფინი, დაბალმოლეკულური პოლიეთილენი), მათ ასევე ცვილის მსგავს ნივთიერებებსაც უწოდებენ (65,67,95). ცვილები ხასიათდებიან ქიმიური მდგრადობით, არ არიან მიდრეკილნი ამჟავებისკენ, წყალგამძლენი არიან, აქვთ საკმარისი სიმყარე და ლღობის მაღალი ტემპერატურა. მისი განსაკუთრებულობა იმაში მდგომარეობს, რომ კარგად შეიწოვება კანში და ანიჭებს მას ელასტიკურობას (8,37 ,87).

სტეარინის (ოქტადეკანური) მჟავა – ბუნებაში ერთ-ერთი ყველაზე გავრცელებული გაჯერებული ცხიმოვანი მჟავაა (ბერძ. Steatos – ცხიმი). სტეარინის მჟავას იღებენ მცენარეული ზეთებიდან, ხოლო წარმოებაში შესაძლებელია ცხოველური ცხიმებიდან მიღებაც. მას გამოიყენებენ კოსმეტიკისა და საკვები პროდუქტების წარმოებაში ემულგატორად, ემულსიების სტაბილიზაციისთვის. სტეარინის მჟავის წარმოებულებს სტეარანებს (მაგალითად, გლიცერილსტეარატი და სხვ.) უწოდებენ. ისინი გამოიყენებიან დამარბილებელი აგენტებისა და ემულგატორების სახით. კერძოდ, გლიცერილსტეარატი წარმოადგენს გლიცერინის სამატომიანი სპირტისა და სტეარინის მჟავის ეთერს. გლიცერილსტეარატის წყაროს წარმოადგენს მცენარეული ნედლეული (შესაძლებელია, ასევე, ბიოქიმიური სინთეზიც). გლიცერილსტეარატი გამოიყენება ემულსიის სტაბილიზატორად კოსმეტიკურ კრემებში და სხვა რბილ წამალთფორმებში (19,63).

ცეტილის და სტეარილის სპირტების ნარევი (ცეტეარილის სპირტი) – ცვილების და ცხიმების წარმოებულაა. გამოიყენება როგორც ცხიმისებური ფუძე, ასევე როგორც ემულგატორი და გამხსნელი (63).

მცენარეული ცხიმები (ზეთები) ძირითად შედგებიან ტრიგლიცერიდებისა და ცხიმოვანი მჟავებისგან. ჩვეულებრივ, ისინი მცირე რაოდენობით შეაქვთ სამკურნალწამლო და კოსმეტიკურ პრეპარატებში. მაგალითად, აბუსალათინის ზეთი, რომელიც შედის „ადვანტანის“ ცხიმოვან მაღამოში, არბილებს კანს, იცავს მას ზედმეტი გამოშრობისგან. ცნობილია, რომ აბუსალათინის ზეთი წარმოადგენს კარგ გამხსნელს, ადვილად ჩამოიბანება და არ აჭუჭყიანებს ტანსაცმელს. სუფთა სახით ცხიმოვანი მჟავები წარმოებაში პრაქტიკულად არ გამოიყენება მათი ამჟავებისადმი მაღალიმიდრეკილების გამო(95,150).

აუცილებელია, ასევე, გვახსოვდეს, რომ ნივთიერებები, რომლებიც მიეკუთვნებიან მოკლე ჯაჭვის მქონე ლიპიდურ პოლიეთერებს (ქოქოსის ზეთი, ტრიგლიცერიდები, ლანოლინის ეთერები, სორბიტოლ ოლეატისა და ლანოლინის ლინოლეატის სახის უჯერი ცხიმოვანი მჟავების სინთეზური ეთერები), ადვილად აღწევენ თმის ცხიმოვან

აპარატში და შეიძლება ხელი შეუწყონ კომედოგენეზს. ამით შეიძლება ნაწილობრივ აიხსნას ზოგიერთი გარეგანი პრეპარატის კომედონური ეფექტი(37, 95).

აუცილებელია ხაზი გავუსვათ ასევე, რომ მალამოების აორთქლების საწინააღმდეგო თვისება უკუპროპორციულია მათი ემულგირების უნარისა. წყალთან პრაქტიკულად არაემულგირებადი ვაზელინი გაცილებით ძლიერად ეწინააღმდეგება აორთქლებას, ვიდრე უფრო ჰიდროფილური ლანოლინი, პოლიეთილენგლიკოლები და ფოსფოლიპიდური ფუძეები. ტრადიციული ცხიმოვანი ფუძეები ამჟღავნებენ უფრო მეტად გამოხატულ ოკლუზიურ ეფექტს, ვიდრე სინთეზური წყალში ხსნადები (37).

ამა თუ იმ საშუალების, კანის სიღრმეში შეღწევის გაძლიერება შეუძლიათ სხვადასხვა ნივთიერება-აქტივატორებს: პროპილენგლიკოლი, სალიცილის მჟავა, შარდოვანა, დიმეთილსულფოქსიდი (დმსო) და სხვ. ანალოგიური ეფექტი შეიძლება მოგვცეს ზოგიერთმა კერატოლიტმა, მაგალითად, სალიცილის მჟავა (პრეპარატები „ელოკომი“, „დიპროსალიკი“ და სხვ.).

ემულგატორები აუცილებელია ორი ან რამდენიმე უხსნადი სუბსტანციის სტაბილიზაციისთვის. როგორც წესი, გამოიყენებიან კრემის ფუძეების მოსამზადებლად. ეს როლი შეიძლება შეასრულონ ფუძის ცხიმოვანმა ან ცხიმისებურმა კომპონენტებმა (მაგალითად, ლანოლინი და მისი წარმოებულები), პროპილენგლიკოლმა. ამას გარდა, როგორც ზემოთ იქნა აღნიშნული, ემულგატორებს მიაკუთვნებენ ცეტილის და სტეარილის სპირტებს (ან ცეტეარილის სპირტი). ემულგატორული თვისებები აქვთ ასევე ფოსფორის მჟავას ეთერებს, გლიცერინის მონოსტეარატს და სხვა ნივთიერებებს. ცნობილია, რომ სხვადასხვა სახის ემულსიებისთვის საჭიროა სხვადასხვა სახის ემულგატორები. ასე, ზეთი/წყალში ტიპის ემულსიისთვის უფრო ხშირად იყენებენ პროპილენგლიკოლს და ცეტეარილის სპირტს, ხოლო წყალი/ზეთში სახის ემულსიისთვის – სხვადასხვა სტეარატებს(37,95,150).

დამატენიანებლები (ჰუმიკანტები) კანის სიღრმეში წყლის შეყვანის საშუალებას იძლევიან. თანამედროვე ჰუმიკანტებს მიეკუთვნებიან:

1. ნატურალური დამატენიანებელი ფაქტორები (Natural moisturizing factors, ან MNF): პიროლიდონკარბოლის მჟავა, შარდოვანა (10%-მდე კონცენტრაციით) და რძის მჟავა (5-10% კონცენტრაციით);

2. პოლიოლები – დაბალმოლეკულური ჰიგროსკოპული შენაერთები. მათ მიაკუთვნებენ გლიცერინს და მის წარმოებულებს, პროპილენგლიკოლს, სორბიტოლს და მის წარმოებულებს;

3. მაკრომოლეკულები (გლიკოზოამინოგლიკანები, კოლაგენი, ელასტინი) და ლიპოსომები (95).

სხვადასხვა ტოპიკური კრემების ფუძეების ანალიზმა აჩვენა, რომ მათ შემადგენლობაში ყველაზე ხშირად შედის პროპილენგლიკოლი და მისი წარმოებულები (მაგალითად, პროპილენგლიკოლის სტეარატი: „ელოკომის“, კრემი და მალამო, „ელოკომი C-ს“ მალამო).

პროპილენგლიკოლი (PG) – ქიმიური სტრუქტურით წარმოადგენს ორატომიან სპირტს. ყველა სხვა სპირტის მსგავსად, გააჩნია წყლის კარგად შენარჩუნების უნარი, ამიტომაც ფართოდ გამოიყენება გარეგანი საშუალებებისა და კოსმეტიკური პროდუქციის მწარმოებლების მიერ როგორც ჰიგროსკოპული დამატენიანებელი ინგრედიენტი. პროპილენგლიკოლი გამოიყენება როგორც ჰიგროსკოპული ნივთიერება და როგორც „მატარებელი ელემენტი“, ან გამხსნელი, ხსნარებში (ლოსიონებში), კრემებში და მალამოებში. პროპილენგლიკოლის სამედიცინო მიზნებისთვის გამოყენებისას გასათვალისწინებელია მისი კონსერვაციის, სტერილიზაციის, ბაქტერიციდული, სტაბილიზაციის, გახსნის და შემზეთავი უნარები, ასევე მისი არატოქსიკურობა(95,150). ზედაპირულად აქტიურ ნივთიერებებს, რომლებიც პროპილენგლიკოლის ეთილენის ოქსიდთან კონდენსაციის პროდუქტებია, იყენებენ სხვადასხვა მიზნებისთვის: შეშუპების შესამცირებლად, როგორც გარეგანი სამკურნალო ფორმების დამატენიანებელს და სხვა(19,63).

მალამოების შემადგენლობაში კონსერვანტების ჩართვა აუცილებელი არ არის. ამასთან ერთად, მათი არსებობა აუცილებელია წყლის შემცველ ფუძეებში მათი ბაქტერიებიტა და საფუარის სოკოებით კონტამინაციის რისკის გამო(95,150). კონსერვანტები ასევე ხელს უშლიან ცხიმოვანი ფუძეების ადვილად ამჟავებადი კომპონენტების ამძაღებას. ითვლება, რომ „იდეალური“ კონსერვანტები არატოქსიკურები უნდა იყვნენ, არ უნდა აღიზიანებდნენ კანს, არ უნდა სენსიბილიზებოდეს, არ უნდა ჰქონდეს სუნი და ფერი და ეფექტური უნდა იყოს დაბალი კონცენტრაციების შემთხვევაშიც. ამას გარდა, კონსერვანტი არ უნდა ურთიერთქმედებდეს მოქმედ ნივთიერებასთან და ფუძის კომპონენტებთან (95). ყურადღებას იქცევენ ის ფუძეები, რომლებშიც კონსერვანტად გამოყენებულია მხოლოდ პროპილენგლიკოლი, რომელსაც სხვა თვისებებიც გააჩნია. ეს ინგრედიენტების რაოდენობის მინიმიზირების საშუალებას იძლევა (მაგალითად, „ელოკომის“ კრემი და მალამო). კერძოდ, „ელოკომის“ კრემისა და მალამოს შემადგენლობაში შემავალ პროპილენგლიკოლს გააჩნია დამატენიანებელი, ანტიოქსიდანტური და მსუბუქი ანტიბაქტერიული მოქმედება.

გამხსნელად იყენებენ წყალს, იზოპროპილის სპირტს, პროპილენგლიკოლს, გლიცერინს, ეთანოლს, ეთერს, აცეტონს, ქლოროფორმს, მეთანოლს. ნაჩვენებია, რომ უფრო დიდი გამაღიზიანებელი მოქმედება შეიძლება ჰქონდეს ეთერს, აცეტონს, ქლოროფორმს და მეთანოლს (95).

ბოლო დროს განსაკუთრებულ ყურადღებას იპყრობს გარეგანი საშუალების pH-ის შესაბამისობა კანის ზედაპირის მჟავიანობასთან. სწორედ სუსტი მჟავა pH-ის დროს უზრუნველყოფს კანი უმეტესი ბაქტერიების, სოკოებისა და ზოგიერთი ვირუსისაგან დაცვას (8,37,95).

საბოლოოდ კიდევ ერთხელ უნდა აღინიშნოს, რომ გარეგანი თერაპიისთვის სამკურნალო ფორმის სწორი შერჩევა ბევრად განსაზღვრავს მის ეფექტურობას.

1.1.2. რბილი წამალთფორმების სტანდარტიზაცია.

რბილი წამალთფორმების სტანდარტიზაციას ახდენენ შემდეგი მაჩვენებლების მიხედვით:

1) იგივეობის განსაზღვრა. ხორციელდება ვიზუალურად გარეგანი სახისა და ორგანოლეპტიკური ნიშნების მიხედვით (სუნი და სხვ.), რაც დამოკიდებულია მალამოში შემავალი სამკურნალწამლო ნივთიერებებისა და გამოყენებული ფუძეების თვისებებზე.

2) ერთგვაროვნების განსაზღვრა. იღებენ ოთხ სინჯს, თითოეულს 0,2-0,3გ-ის რაოდენობით. ორ-ორ სინჯს ათავსებენ სასაგნე მინაზე, დააფარებენ მეორე სასაგნე მინას და შეამჭიდროებენ დაახლოებით 2 სმ დიამეტრის ლაქების მიღებამდე. მიღებული ლაქების შეუიარაღებელი თვალთ დათვალიერებისას (თვალიდან 30 სმ-ის მოშორებით) ოთხიდან სამ ნიმუშში არ უნდა ჩანდეს თვალთ შესამჩნევი ნაწილაკები.

ერთგვაროვნებას საზღვრავენ ბიოლოგიური მიკროსკოპის გამოყენებითაც მყარი ფაზის ნაწილაკების ზომების მიხედვით.

3) ნაწილაკების დისპერსიულობის განსაზღვრა. არსებობს მიკროსკოპული და ლაზერული მეთოდები. დისპერსიულობის ხარისხის ნორმები თითოეული მალამოსათვის ინდივიდუალურია და მოცემულია სფ, კერძო სტატიებში და სხვა ნტდ-ში.

4) სამკურნალწამლო ნივთიერებების შემცველობის განსაზღვრა. მალამოში სამკურნალწამლო ნივთიერებების შემცველობას განსაზღვრავენ კერძო ფარმაცევტულ სტატიებში გამოსაკვლევი მალამოსთვის მითითებული მეთოდიკების მიხედვით.

5) სტაბილურობა. იგი განისაზღვრება სამკურნალწამლო ნივთიერებების შემცველობის უცვლელიობით, სტრუქტურული თვისებებით და სამკურნალწამლო ნივთიერებების გამოთავისუფლების სიჩქარით.

6) მალამოს pH-ის განსაზღვრა. ამ პარამეტრის განსაზღვრა აუცილებელია სამკურნალწამლო ნივთიერებებისა და ფუძის შენახვისას კონტროლისათვის. pH-ის ცვლილება მეტყველებს ფიზიკო-ქიმიური თვისებების შეცვლაზე.

7) სტრუქტურულ-მექანიკური (კონსისტენცია)თვისებების განსაზღვრა. მალამოებისა და ფუძეების კონსისტენცია ობიექტურად უნდა იყოს შეფასებული, რადგანაც ის გავლენას ახდენს მომზადებისა და დაფასოების პროცესებზე, მალამოების წაცხებისა და მათგან სამკურნალწამლო ნივთიერებების გამოთავისუფლების უნარზე.

ერთ-ერთი მნიშვნელოვანი ფაქტორი, რომელზეც დამოკიდებულია კონსისტენცია – ეს არის გადანაცვლების დამაბულობა, რომელიც ახასიათებს მალამოს გარკვეული წინააღმდეგობის უნარს წაცხების დროს და ტუბიდან გადმოტანის შესაძლებლობას.

რეოლოგიამ და რეოლოგიურმა მეთოდებმა ფართო გავრცელება ჰპოვეს სახალხო მეურნეობის ყველა დარგში, მათ შორის მედიცინაშიც. ეს მეთოდები ეფუძნება სხვადასხვა მასალების სტრუქტურულ-მექანიკური თვისებების განსაზღვრას იმ პირობით, რომ ისინი მიეკუთვნებიან დისპერსიულ სისტემებს, რომლებსაც გააჩნიათ დეფორმაციის (ფორმისა და ზომის შეცვლის) და დინების (მატერიალური სხეულის ნაწილაკების შეფარდებითი გადანაცვლება მისი უწყვეტობის დაურღვევლად) უნარი. მალამოების მნიშვნელოვან რეოლოგიურ მახასიათებლებს წარმოადგენენ პლასტიკური სიბლანტე, რომელიც შეიძლება განისაზღვროს როტაციულ ვისკოზიმეტრზე, ასევე პლასტიკური სიმკვრივე, რომელიც განისაზღვრება პლასტომეტრზე.

რეოლოგიის ანუ დეფორმაციისა და დინების შესახებ მეცნიერების კონცეფციის მიხედვით, მალამოების ძირითად რეოლოგიურ (ან სტრუქტურულ-მექანიკურ) თვისებებს მიეკუთვნება: პლასტიკურობა, ელასტიკურობა, სტრუქტურული სიბლანტე, ტიქსოტროპულობა და სხვ., რომელთა განსაზღვრა ემსახურება მალამოების ხარისხის ობიექტურ და ეფექტურ კონტროლს მათი წარმოებისა და შენახვის დროს.

რეოლოგიური მახასიათებლები მნიშვნელოვნად განსაზღვრავენ მალამოს ხარისხს და უნდა მოწმდებოდეს მალამოს მომზადების მთელი პროცესის განმავლობაში (შემადგენლობის შემუშავებიდან გამოყენებამდე), განსაკუთრებით ისეთ მნიშვნელოვან ეტაპზე, როგორცაა ტექნოლოგიური პროცესი (40,42,53-56,61,74,84).

მალამოს ხარისხი განისაზღვრება მრავალი ნიშნით, მათ შორის მალამოს მიერ სამკურნალწამლო ნივთიერების გამოთავისუფლების უნარით და სამკურნალწამლო ნივთიერების შეწოვის სიჩქარით.

მალამოს ხარისხის შეფასება სამკურნალწამლო ნივთიერებების გამოთავისუფლების ხარისხის განსაზღვრით, ძირითადია მალამოების სტანდარტიზაციისას. მოწოდებულია განსაზღვრის *in vitro* და *in vivo* მეთოდები (38,111,137).

In vitro ექსპერიმენტების ტექნიკური შესრულება შეიძლება განსხვავდებოდეს და ძირითადად განისაზღვრება შემავალი პრეპარატების თვისებების მიხედვით.

პირდაპირი დიფუზია. ამ შემთხვევაში მალამოს ნიმუში უნდა იყოს უშუალო კონტაქტში გარემოსთან, რომელშიც დიფუნდირებს სამკურნალწამლო ნივთიერება.

დიფუზია მემბრანის გავლით. მეთოდის არსი იმაში მდგომარეობს, რომ საკვლევი მალამო წყლიანი გარემოსგან გამოყოფილია ნახევრადგამტარი მემბრანით. ეს შეიძლება იყოს ცელოფანი ან ცხოველური წარმოშობის ლიპიდური მემბრანები, მაგალითად კვერცხის გარსი, ნაწლავის ანათალი, ცხოველის კანი. დიალიზის არე იგივეა, რაც პირველ შემთხვევაში, ანუ წყლიანი ხსნარები ან წყალი.

ამ კვლევების აპარატურული გაფორმება შეიძლება სხვადასხვანაირი იყოს. ბოლო დროს გამოჩნდა მრავალი მოწყობილობა, რომლებიც მაქსიმალურად აახლოვებენ ცდის პირობებს ცოცხალი ორგანიზმის პირობებთან. ხშირად ესენია ორგანოფილებიანი მოწყობილობები, რომლებიც ერთმანეთისაგან გამოყოფილნი არიან მემბრანებით ან მემბრანული სისტემებით. ერთ განყოფილებაში მოთავსებულია მალამო, მეორეში – დიალიზის არე. კონსტრუქციული სხვაობის მიუხედავად, მოწყობილობები ექვემდებარებიან ერთ და იმავე პრინციპს და გამოხატავენ ერთი და იგივე დამოკიდებულებებს.

სამკურნალწამლო ნივთიერებების მალამოდან გამოთავისუფლებაზე ფარმაცევტული ფაქტორების გავლენის კვლევას ახდენენ მალამო-მოდელზე, რომლებიც სხვადასხვა ფუძეზე არიან დამზადებულები. დიალიზის არე შეირჩევა სამკურნალწამლო პრეპარატების ფიზიკურ-ქიმიური თვისებების გათვალისწინებით. 2,0 გ მალამო დაიტანება ცელოფანზე, რომელიც შემდეგ უძრავად მაგრდება სადიალიზო მილის ბოლოზე რეზინით. ცდა ტარდება ერთი მალამოს ნიმუშის სამჯერადი გამეორებით.

in vivo მეთოდები *in vitro* მეთოდებისაგან განასხვავებით საშუალებას იძლევა შეფასდეს ერთდროულად ორი პროცესი: მალამოს ფუძის უნარი გამოათავისუფლოს აქტიური კომპონენტები და ამ უკანასკნელების კანიდან რეზორბციის ხარისხი.

In vivo მეთოდები შეიძლება კლასიფიცირებული იქნას შემდეგნაირად:

1. პრეპარატის რეზორბციული რაოდენობის განსაზღვრა დატანილი ნიმუშისა და არ შეწოვილ რაოდენობებს შორის სხვაობით. ასეთი შეფასება დასაშვებია როგორც ცხოველის, ასევე ადამიანი კანზე. მალამოს გარკვეულ რაოდენობას დაიტანენ და თანაბრად შეაზელენ კანის მკაცრად განსაზღვრულ ფართობზე შაბლონის გამოყენებით. ამ ფართზე ახდენენ დაწოლას 100 მმ ვწყს ტოლი ძალით. ცდას იმეორებენ მანამდე, სანამ გამოსაკვლევ არეზე დადებული გასაფილტრი ქაღალდის დისკები შეწყვეტენ მალამოს მიღებას. მათში განსაზღვრავენ არარეზორბციული პრეპარატის რაოდენობას. კანში გადაუსვლელი პრეპარატის რაოდენობას განსაზღვრავენ სხვაობის მიხედვით.

2. ჰისტოლოგიური კვლევები საშუალებას იძლევიან მიკროსკოპის დახმარებით განისაზღვროს, თუ კანის რომელ ფენას მიაღწია პრეპარატმა. მალამოს დაიტანენ ცხოველის კანის დეპილირებულ ფართობზე, შემდეგ კი იღებენ ჰისტოლოგიურ ანათალს. ის შეიძლება იყოს გრძივი (შელწევის სიღრმის განსასაზღვრად) ან განივი (მალამოს გავრცელების არის განსასაზღვრად).

3. ლოკალური დატანის შემდეგ სისხლში, ორგანოებში და ქსოვილებში რეზორბციული პრეპარატების განსაზღვრა გამონაყოფებში ან ამოსუნთქულ ჰაერში.

4. მოცემული პრეპარატის მიერ გამოწვეული ბიოლოგიური ან ტოქსიკური რეაქციების რეგისტრაცია (თვალის გუგის რეაქცია, მტკივნეული შეგრძნებების, გულის რითმის შეცვლა, კრუნჩხვები ან ლეტალური შედეგი და ა. შ.).

5. რადიოიზოტოპური მეთოდი – მონიშნული პრეპარატების გამოყენებით.

როგორც *in vitro*, ასევე *in vivo* მეთოდები იძლევიან შედარებით შედეგებს. მართალია, *in vitro*-ს შეიძლება მივუდგეთ კრიტიკულად, რადგანაც ის არ ითვალისწინებენ კანის ფიზიოლოგიურ ფუნქციებს, მაგრამ *in vivo*-ც მიახლოებით შედეგებს იძლევა. ადამიანის კანი, როგორც ფუნქციურად, ისევე სტრუქტურით, მნიშვნელოვნად განსხვავდება ცხოველის კანისგან. მალამოს საბოლოო შეფასების მიღება მხოლოდ კლინიკის პირობებშია შესაძლებელი.

1.2. დამწვრობის სამკურნალო საშუალებები

დამწვრობა- ეს არის კანის, ლორწოვანი გარსების და უფრო ღრმად მდებარე ქსოვილების მძიმე დაზიანება, რომელიც გამოწვეულია საგანგებო ზემოქმედებით: მაღალი ტემპერატურით, ქიმიური ნივთიერებებით, დენით და სხივური ენერგიით.

თერმული დამწვრობის მიზეზებს წარმოადგენს ცეცხლი, ორთქლი, ცხელი სითხეები, გამლღვალი მეტალები, გახურებული ნივთები(20).

დამწვრობა ხშირად იწვევს დროებით შრომის უუნარობას, ინვალიდობას, და ზოგჯერ პაციენტის სიკვდილს. დამწვრობას უკავია ერთ-ერთი პირველი ადგილი სიკვდილიანობასა და ტრავმატიზმის მხრივ სხვა დაზიანებებს შორის (28).

დამწვრობის მკურნალობის პრობლემის გადაწყვეტაში მიღწეულია მნიშვნელოვანი შედეგები. დამწვრობის დროს დაზიანებული კანის სამკურნალო საუკეთესო საშუალებად მიიჩნევა კანის ტრანსპლანტაცია ამავე პაციენტის სხეულის სხვა ადგილებიდან. თუმცა ცხოველების და ადამიანის დაკონსერვებულ კანს, რომელიც ყველაზე ხშირად გამოიყენება დაზიანებული ნაწილის შესაცვლელად, გააჩნია გარკვეული ხარვეზები რომელთაგანაც ყველაზე მნიშვნელოვანია მათი სიძვირე (30).

ყველაზე შესწავლილი მასალების ჯგუფს, რომლებიც გამოიყენება დაზიანებული კანის სამკურნალოდ წარმოადგენს ქსოვილოვანი გადასახვევი მასალები. მიზანშეწონილია გამოყენებულ იქნას სახვევები, რომლებიც შეიცავს სამკურნალო ხსნარებით, ლინიმენტებით, მალამოებით და სხვა გაჟღენთილ სახვევ მასალას. დამწვრობის ანტისეპტიკური საშუალების კლასიკურ მაგალითს წარმოადგენს ფურაცილინით (1:5000) გაჟღენთილი სახვევი. გარდა აღნიშნულისა სახვევი მასალის გასაჟღენტად ხსნარისა და მალამოს სახით გამოიყენება ვერცხლის ნიტრატი, ცერიუმის ნიტრატი, მაფენიდის აცეტატი და სხვა.

ქსოვილოვანი სახვევები პირველ რიგში გამოიყენება პირველადი დახმარების აღმოჩენისას. ამავე დროს ტრადიციული ქსოვილოვანი სახვევი საშუალებები ვერ პასუხობენ თანამედროვე მოთხოვნებს. თუმცა ისინი შთანთქავენ ექსუდატს, რომელიც კოაგულირებისას ხელს უშლის წყლის ზედმეტად აორთქლებას.

სახვევების გამოყენებამ შეიძლება გამოიწვიოს აირის და მასის ცვლის შეწყვეტა სახვევზე არსებული მშრალი ექსუდატის გამო, რაც იწვევს სახვევის ქვეშ მიკროფლორის განვითარებას. გარდა ამისა ამ მასალების ჭრილობისადმი მაღალი ადჰეზია, განსაკუთრებით გრანულაციის სტადიაში არა თუ არ ქმნის შეხორცების პირობებს, არამედ

შეუძლია დაამუხრუჭოს კიდევაც ის. ბამბა, მარლის მასალის მოცილება შეხორცების პროცეში მყოფი ჭრილობიდან იწვევს მის დაზიანებას. ჭრილობებისა და დამწვრობების სამკურნალოდ პერსპექტიულია ნახშირსორბირებული მასალები. ნახშირბადული აპლიკანტები შთანთქავენ ჭრილობებიდან და დამწვრობებიდან მიკროფლორას. გარდა ამისა აშრობენ ჭრილობას და ამცირებენ შეშუპებას.

მიუხედავად იმისა, რომ არსებობს გრანულირებული გააქტივირებული ნახშირით ჭრილობის დამუშავების დადებითი შედეგები, სორბენტების გამოყენება მაინც გამწვანებულია, ვინაიდან გრანულები აღწევენ ცოცხალი ქსოვილის სიღრმეში და ისინი ძნელი მოსაშორებელია. გარდა ამისა გრანულირებული სორბენტები ვერ უზრუნველყოფენ ჭრილობიდან სითხის ნაკადების რეგულირებულ გამოყოფას.

დამწვრობის ადგილობრივად სამკურნალოდ ყველაზე ხშირად გამოიყენება ანტიბიოტიკები და ანტიბიოტიკები. ზოგიერთ კვლევებში აღნიშნულია რომ დამწვრობითი ჭრილობის ინფექციურ განვითარებაში წამყვანი როლი ეკუთვნის პათოგენურ ოქროსფერ სტაფილოკოკს და ლურჯ-მწვანე ჩირქის ჩხირს. ყველაზე მაღალი ანტიბაქტერიული აქტივობა ამ მიკროორგანიზმების წინააღმდეგ გააჩნია ამინოგლიკოზიდური ანტიბიოტიკების ჯგუფს, კერძოდ: გენტამიცინის, ტობრამიცინის, ნეომიცინის სულფატებს და სხვა მარილებს. ალმა-ატის მეოთხე საავადმყოფოში დაგროვილია დიდი ბრიტანეთის კომპანიის «ClaxoSmithKline» პრეპარატის ცეპტაზიდიმის (ფორტუმი) გამოყენების დადებითი გამოცდილება. ფორტუმი მესამე თაობის ცეფალოსპორინების ჯგუფის ანტიბიოტიკია, რომელსაც გააჩნია მოქმედების ფართო სპექტრი და ბაქტერიოციდული ზემოქმედება. პრეპარატი შეყავდათ ვენაში წვეთოვანი იმფუზიის სახით (2). მაგრამ ანტიბიოტიკის გამოყენებამ გამოავლინა მთელი რიგი უარყოფითი გვერდითი მოვლენები, რომლებიც გამოიხატებოდა ალერგიულ რეაქციებში, შიდა ჰოსპიტალური ინფექციების გამოვლენაში და ა.შ.

დამწვრობის სამკურნალოდ შემოთავაზებულ იქნა ბიოლოგიურად აქტიური დანამატი – ბალზამი „Возрождение“. ის შეიცავს კრისტალურ იოდს, კალიუმის იოდიდს, სახამებელს, რძის და ასკორბინის მჟავას, ანტიოქსიდანტების კომპლექსს, აგრეთვე ვაშლის ძმარს. პრეპარატს გააჩნდა კარგი ბაქტერიოციდული და ბაქტერიოსტატიკური ზემოქმედება (70).

ცნობილია დამწვრობის სამკურნალო გელისებური წამლის ფორმები(113): ბიშკეკის სამეცნიერო კვლევით ცენტრში გამოყენებულ იქნა აქტოვეგენის 20%-იანი გელი

მე-2 და მე-3 ხარისხის დამწვრობის მქონე პაციენტების სამკურნალოდ. აღნიშნული პრეპარატი ზემოქმედებს დაზიანებულ ზედაპირზე, რეგულირებას უწევს უჯრედოვან მექანიზმს, ააქტიურებს ჟანგვით პროცესს ჭრილობაში. აქტოვეგენის მასტიმულირებელი ეფექტი ჭრილობის შეხორცებისას განპირობებულია მასში შემავალი ოლიგოსაქარიდების ინსულინმსგავსი აქტივობით. აქტოვეგენი გამოიყენება პაციენტების მკურნალობის სქემაში გარეგანი ფორმით (30).

იზოლირებული დაფარვის მაგალითს წარმოადგენს აპკწარმომქმნელი სისტემა “Lifuzol”, რომელიც დაიტანება ჭრილობაზე აეროზოლური მეთოდით. ლიფუზოლი მზადდება პოლი-ბუტილმეტაკრილატის მატარებელზე, რომელიც შეიცავს ბიოლოგიურად აქტიური დანამატს – ქაცვის ზეთს. ამ მასალის დადებითი მახასიათებელია ფირფიტების კარგი ადჰეზია ტენიანი ზედაპირისადმი და მედეგობა წყლის მიმართ. მაგრამ საფარმა რომელიც იქმნება ჭრილობის ზედაპირზე მონომერების პოლიმერიზაციის შემდეგ ვერ პოვა დიდი გამოყენება. ცნობილია მხოლოდ ცალკეული შემთხვევები, როდესაც ჭრილობაზე წარმოიქმნა საფარი, მასზე დატანილი პოლიმერის ფხვნილისაგან.

ბოლო დროს ყურადღება მიიპყრო ჭრილობის ზედაპირზე ფხვნილისებური პოლი-(2-ჰიდროქსიეთილ)მეტაკრილატის და თხევადი პოლიეთილენგლიკოლის ნარევის საფუძველზე ფირფიტების წარმოქმნის შესაძლებლობამ. ამ შემთხვევაში ჭრილობაზე დაიტანდნენ პოლიეთილენგლიკოლს და შემდეგ აფრქვევდნენ პოლიმერების ფხვნილს. ამ ოპერაციის რამდენიმეჯერ განმეორების შემდეგ გაჯირჯვებული და შეწებებული პოლიმერული ნაწილაკები წარმოქმნიდნენ ჭრილობის დამფარავ ფირფიტას. ეს სისტემა განიხილებოდა, როგორც დამწვრობის სამკურნალო საშუალება. ასეთი ფირფიტა წყალში ჯირჯვდება, ამიტომ მისი მოცილება შეცვლისას უმტკივნეულოა, გარდა ამისა, მის უპირატესობად ითვლება ორთქლგამტარობა, რაც თავიდან გვაცილებს დამწვრობის ზედაპირზე წყლის ბუშტუკების წარმოქმნას. ასეთი დაფარვის გამოყენება იძლეოდა კარგ შედეგებს დაბალი ხარისხის დამწვრობის დამუშავებისას. ამ მასალის გამოყენება შეზღუდული იყო დატანის სირთულით და სველი ჭრილობების მიმართ ცუდი ადგეზიით (85).

დამწვრობის სამკურნალო მასალების სწორი შერჩევა და გამოყენება უზრუნველყოფს ტკივილის, მკურნალობის ვადების და დამწვრობით გამოწვეული შედეგების შემცირებას.

1.2.1. სამკურნალო ფირფიტების ზოგადი დახასიათება.

აპლიკაციური წამლის ფორმებს აქვთ დიდი ისტორია. ჩვენს წელთაღრიცხვამდე მე-5, მე-4 საუკუნეებში, მედიცინაში გამოიყენებოდა ღვინოსთან ან ზეთთან ერთად დაქუცმაცებული ნედლი და მოხარშული მცენარეების ცხელი საფენები; მალამოები სხვადასხვა მცენარეული, ცხოველური და მინერალური წარმოშობის კომპონენტებით, თაფლის, კარაქის, ღორის ქონის, შედედებული წველების და მცენარეების წყალში ან ღვინოში შესქელებული ნახარშის საფუძველზე. შემდეგ გაჩნდნენ საფენები და ემპლასტროები. ყველა ისინი გათვლილი იყო ორგანიზმზე ხანგრძლივი სამკურნალო მოქმედებისათვის.

პრაქტიკულად ყველა დასახელებულმა წამლის ფორმამ ჩვენამდე მოაღწია. ოღონდ, დღეს ისინი ვერ პასუხობენ წამლის ფორმებისადმი წაყენებულ თანამედროვე მოთხოვნებს, უპირველესად, ვერ არეგულირებენ ორგანიზმში ბიოლოგიურად აქტიური ნივთიერებების გამოთავისუფლების სიჩქარეს. ფარმაცევტული ტექნოლოგიის ერთ-ერთ ამოცანას წარმოადგენს შექმნას ტრანსდერმალური თერაპიული სისტემები – განსაკუთრებული მოწყობილობები გარკვეული კონსტრუქციული თავისებურებებით, რომლებიც იძლევა მოქმედი ნივთიერების მოცემულ ინტერვალში ხანგრძლივად დოზირების საშუალებას. ეს შესაძლებელი გახდა ფარმაცოტექნოლოგიურ პრაქტიკაში განსაკუთრებული ფუნქციონალური თვისებების მქონე ახალი კლასის პოლიმერების დანერგვით (122,131).

დღეისათვის სხვადასხვა ბუნების პოლიმერების გამოყენებით მზადდება და კლინიკურ დარგებში დიდი წარმატებით გამოიყენება ფირფიტები.

ფარმაცევტული ტექნოლოგიების თანამედროვე მიღწევები საშუალება გვაძლევს სამკურნალო ფირფიტები დავაჯგუფოთ და მოვახდინოთ მათი კლასიფიკაცია მატრიცული მატარებლის ბუნების მიხედვით: ცხოველური (კოლაგენი, ჟელატინი, ელასტინი, ქიტოზანი); მცენარეული (ალგინატები); მიკრობული (აგარ-აგარი,დექსტრინი); ნახევრად სინთეზური (მეთილცელულოზა, ნატრიუმ-კარბოქსიმეთილ-ცელულოზა, ოქსიპროპილეთილცელულოზა);სინთეზური(პოლივინილპიროლიდონი, პოლივინილის სპირტი, პოლიეთილენოქსიდი, პოლიაკრილამიდი).

ამჟამად, ფართო პოპულარობით სარგებლობენ მცენარეული ბიოლოგიურად აქტიური ნივთიერებების შემცველი ფირფიტები ანუ ფიტოფირფიტები. ასხვავებენ 2 სახის ფიტოფირფიტებს: ფიტოფირფიტები, რომლებიც თავის შემადგენლობაში შეიცავენ გალენურ პრეპარატებს (ნაყენები, ექსტრაქტები, წვენები, მცენარეული ზეთები);ფიტოფირფიტები,

რომლებიც თავის შემადგენლობაში შეიცავენ სამკურნალო მცენარეული ნედლეულიდან მიღებულ მაქსიმალურად გასუფთავებულ ჯამურ და ინდივიდუალურ მოქმედ ნივთიერებებს (ფლავონოიდები; სანგვირიტრინი – (ალკალოიდების: სანგვინარინის ბისულფატის და ხელერიტრინის ნარევი); ალპიზარინი; სალვინი და ა.შ.

ფიტოფირფიტები მიეკუთვნება აპლიკაციურ წამლის ფორმებს და გამოიყენებიან როგორც ადგილობრივი მოქმედებისათვის ასევე კანიდან ორგანიზმში მცენარეული წარმოშობის ბიოლოგიურად აქტიური ნივთიერებების შესაყვანად (48).

სამკურნალო ფიტოფირფიტების დასამზადებლად გამოყენებული დამხმარე ნივთიერებები, შეიძლება დაიყოს ორ ჯგუფად:მატრიცული აპკწარმომქმნელი მატარებლები და თავად დამხმარე ნივთიერებები: პლასტიფიკატორები (გლიცერინი), კონსერვანტები (ნიპაგინი), პენეტრატორები (დიმეთილსულფოქსიდი), ადჰეზივები (პოლივინილპი-როლიდონი, პოლივინილის სპირტი).

ფიტოფირფიტები მიღებისას ძირითადად გამოიყენება ფირფიტის მასის „ფორმაზე“ დატანა. ბიოლოგიურად აქტიური ნივთიერების შეყვანა ზოგიერთ შემთხვევაში განსხვავებულია. მცენარეული ნედლეულიდან მიღებული გამონაწვლილები შეიძლება შერეულ იქნას წყალთან, რომელიც გათვალისწინებულია აპკწარმომქმნელი ხსნარების მოსამზადებლად, ან შეჰყავთ პოლიმერების უკვე მზა ხსნარში ემულსიების მსგავსად. ფირფიტის მასის ჰომოგენიზაცია ხდება მექანიკურად. ფირფიტების შრობა ხორციელდება განსხვავებულ რეჟიმებში: 1)40 ან 50°C ტემპერატურაზე 8 საათის განმავლობაში; 2)ოთახის ტემპერატურაზე 10% ნარჩენ ტენიანობამდე. სტერილური ფიტოფირფიტების მისაღებად შეიძლება გამოყენებულ იქნას ქიმიური სტერილიზაცია. სამკურნალო ფიტოფირფიტების შესაფუთად იყენებენ პოლიეთილენს ან ბლისტერულ შეფუთვას.

სამკურნალო ფიტოფირფიტები საკმაოდ დიდი ხანია წარმატებით გამოიყენება მედიცინის სხვადასხვა სფეროში. ისინი გამოიყენებიან სტომატოლოგიაში პირის ღრუს სხვადასხვა დაავადებების სამკურნალოდ, ოტორინოლარინგოლოგიაში, გინეკოლოგიაში. ფიტოფირფიტების სახით „აპლიკაციური ჭრილობის სახვევები« ფართოდ გამოიყენება ქირურგიულ პრაქტიკაში (29,47-50 , 57 ,68).

ამგვარად, სამკურნალო ფიტოფირფიტებმა გამოიყენება ჰპოვეს პრაქტიკული მედიცინის სხვადასხვა სფეროებში. ფიტოფირფიტების შემუშავება გახდა ფარმაცევტული ტექნოლოგიის დამოუკიდებელი მიმართულება. სპეციალისტების წინაშე დგას სამკურნალო ფიტოფირფიტების ასორტიმენტის გაფართოების ამოცანა.

1.2.2. სამკურნალო ფირფიტები, როგორც დამწვრობის მკურნალობის პროგრესული საშუალებები.

დერმატოლოგიისა და ფარმაციის ერთ-ერთ პრობლემას წარმოადგენს დამწვრობის სამკურნალო რაციონალური პრეპარატების შექმნა. კერძოდ პირველხარისხოვან ამოცანას წარმოადგენს დამწვარი ზედაპირის დაცვა, რომელიც საჭიროა შოკის, პლაზმის დანაკარგის და მეორადი ინფექციის განვითარების წინააღმდეგ ეფექტური ბრძოლისათვის. დამწვრობის სამკურნალოდ ამჟამად გამოყენებული სამკურნალო ფორმები არასაკმარისად ეფექტურია, იმის გამო რომ ვერ ხერხდება სამკურნალო ნივთიერებების კონცენტრაციის მუდმივობა დაზიანებულ ზედაპირზე, კონტაქტი ხანმოკლეა, მკურნალობის კურსი კი ხანგრძლივი.

მიუხედავად იმისა, რომ ჭრილობის სახვევების რაოდენობა საკმაოდ დიდია, აქამდე არ არსებობს სახვევები, რომლებიც გამოყენებული იქნება ყველა ტიპის დამწვრობის დროს. „ჭრილობის სახვევებში“ იგულისხმება არა მხოლოდ ჩვეულებრივი ნაჭრის მასალები, (მარლა, ბადე, ტრიკოტაჟი და ა.შ.) არამედ ფირფიტები, ქაფწარმოქმნელი კომპოზიციები, ღრუბლები, ჰიდროკოლოიდები, გელები, ფხვნილები, პასტები, სხვადასხვა მასალების კომბინაციები(58, 69). ტრადიციული ნაჭრის სახვევი მასალები უზრუნველყოფენ მხოლოდ მექანიკურ დაცვას, მაგრამ შთანთქავენ რა ჭრილობის ექსუდატს, ისინი წარმოადგენენ ხელსაყრელ გარემოს პათოგენური მიკროფლორის განვითარებისათვის.

დამწვრობების მკურნალობის ახალ მეთოდს წარმოადგენს ხსნადი პოლიმერების საფუძველზე დამზადებული სამკურნალო ფიტოფირფიტების გამოყენება. ფიტოფირფიტები წარმოადგენს ნაჭრის საფუძველზე დამზადებული გადასახვევი საშუალებების და ტრადიციული სამკურნალო საშუალებების ყველაზე პერსპექტიულ ალტერნატივას, ვინაიდან საშუალებას იძლევა მოხდეს სამკურნალო ნივთიერების შეყვანის ადგილზე დეპონირება, უზრუნველყოფს დოზირების სიზუსტეს, სტაბილურ და მაღალ თერაპიულ ეფექტურობას(88). გარდა ამისა ისინი უზრუნველყოფენ გარე ზემოქმედებისაგან ჭრილობის საიმედო დაცვას, კარგად მოდელირებენ ჭრილობის ზედაპირზე, მჭიდროდ ეკვრიან მას, უზრუნველყოფენ საჭირო ორთქლის გაცვლას და ფიქსირდებიან ჭრილობაზე სპეციალური საშუალებების გარეშე(3).

ჭრილობის დასაფარად გამოყენებული მასალები შეიძლება დაიყოს ორ კატეგორიად: 1. კანის შემცვლელელები, რომლებიც თავის მხრივ იყოფიან დროებითი, რომელიც

დაიტანება ახალ ჭრილობაზე შეხორცებამდე და ნახევრადმუდმივი, იმ შემთხვევაში როდესაც მასალა დატანილია ჭრილობაზე რამდენიმე თვის განმავლობაში. 2. სახვევი საფარი, რომლებიც კეთდება დროის გარკვეულ ინტერვალებით. თავისი ბუნების მიხედვით საფარი შეიძლება იყოს ბიოლოგიური, სინთეზური და კომბინირებული. სამკურნალო ფირფიტები მიეკუთვნებიან კომბინირებულს, რომლით დაფარვაც ხანმოკლეა. ჭრილობის და დამწვრობის ფირფიტით დაფარვებს მივყავართ „ხელოვნური კანის“ პრობლემის გადაჭრამდე, ანუ ის შეიძლება დატანილ იქნას სხეულის ზედაპირზე კანის საფარის დაკარგვისას ან დაზიანებისას, იმ მიზნით, რომ სათანადოდ შესრულდეს ამ უკანასკნელის ფუნქცია. რეალურად ასეთი საფარი შეიძლება გამოყენებულ იქნას გარკვეულ პირობებში, მაგალითად ეპითელიზაციის სტადიაში, როდესაც ჭრილობა ძლიერ არაა დატენიანებული. კანის შემცვლელის აუცილებელ თვისებებს წარმოადგენს: ტოქსიკურობისა და ანტიგენური თვისებების არ არსებობა; წყლის ორთქლის შეღწევადობა ნორმალური კანის მსგავსად; სწრაფი და ხანგრძლივი წებვადობა ჭრილობის ზედაპირისადმი; მოქნილობა და პლასტიკურობა, რომელიც უზრუნველყოფს ჭრილობის უსწორმასწორო ზედაპირის დაფარვას; შეუღწევადობა ეგზოგენური მიკროორგანიზმებისადმი; მაღალი მექანიკური მდგრადობა ფირფიტის მთლიანობის დარღვევაზე; ვარგისიანობის დიდი ვადა; შენახვის პირობებისადმი მინიმალური მოთხოვნები.

ამჟამად შემუშავებულია დაზიანებულ ზედაპირზე ფირფიტით დაფარვის, დატანის ორი მიდგომა:

- ფირფიტის წარმოქმნა უშუალოდ ჭრილობის ზედაპირზე,
- წინასწარ მომზადებული ფირფიტის გამოყენება.

ბოლო დროს დიდ ყურადღებას იპყრობს მრავალფენიანი, მრავალფუნქციური ფირფიტები. უმეტეს შემთხვევაში აღნიშნული ფირფიტები შეიცავენ: ზედა, ჩვეულებრივსამებ ჰიდროფობური ფენა, რომელიც იცავს კანს მავნე მიკროორგანიზმების შეღწევისაგან, ატარებს ჟანგბადს და წყლის ორთქლს, და როგორც მინიმუმ ერთ შემდეგ ფენას: ჰიდროფილური სორბირებული ფოროვანი, ზოგიერთ შემთხვევაში ბიოდეგრადირებადი მასალის ფენა – ადგეზივის ფენა, რომელიც უზრუნველყოფს ჭრილობის ზედაპირის კონტაქტს ფირფიტასთან (85).

ფიტოფირფიტები წარმოადგენენ ჰიდროფილურ სისტემებს, რომლებიც, ბიოლოგიურ სითხესთან კონტაქტისას შთანთქავენ მას გარკვეული რაოდენობით, რაც

იწვევს ბიოლოგიურად აქტიური ნივთიერებების გახსნას. ტენის შეწოვის ხასიათზეა დამოკიდებული ბიოლოგიურად აქტიური ნივთიერებების დიფუზური გადატანა ფიტოფორფიტების დაფარვის ადგილას.

ადჰეზია (ფირფიტის სუბსტრატთან შეჭიდების ძალა) განსაზღვრავს პათოლოგიურ კერაზე მოქმედების ხანგრძლივობას და ეფექტურობას, რადგანაც ფირფიტის ე.წ. „ჩაცურების“ შემთხვევაში ბიოლოგიურად აქტიური საშუალების ეფექტი კლებულობს ან წყდება.

ამჟამად აღწერილია ჭრილობებისა და დამწვრობისათვის გამოყენებული ფირფიტების შემადგენლობები.

1974 წელს, ფირმა N. J. Smith and Nephew. Ltd. (დიდი ბრიტანეთი) გამოუშვა და დაიწყეს გამოყენება დასავლეთ ევროპაში (ამერიკაში კი 1978 წლიდან) პოლიურეთანული ფირფიტა, წებოვანი ფენით (სავაჭრო ნიშანი «Op-site»). ეს ელასტიკური ფირფიტა ხუთმაგი გაჭიმვის შესაძლებლობით, გამჭვირვალეა, რაც საშუალებას იძლევა დავაკვირდეთ შეხორცების პროცესს. ის შედწევადაა აირებისთვის, უზრუნველყოფს ჭრილობის სტერილურობას, არ იძლევა ალერგიულ რეაქციებს.

«Op-site» ფირფიტის დატანა დამწვარ ზედაპირზე ხსნის ტკივილს. «Op-site» მასალის გამოყენება შეზღუდული იყო ძლიერ დატენიანებულ ზედაპირზე, მაგალითად, მე-3 ხარისხის დამწვრობისას (85).

განსაკუთრებულ ინტერესს წარმოადგენს ფირფიტები პოლივინილის სპირტის საფუძველზე, რომელთა ღირსებას წარმოადგენს პლასტიკურობა, რაც უზრუნველყოფს სახვევის კარგ მოდელირებას ჭრილობის ზედაპირზე.

სამკურნალწამლო ფორმა ტოპოლინი წარმოადგენს პოლიმერულ ფირფიტას პოლივინილის სპირტის ბაზაზე, რომელსაც გააჩნია ანტიბაქტერიული აქტიურობის ფართო სპექტრი, ანთების საწინააღმდეგო და ანტიოქსიდანტური მოქმედება. პლასტიფიკატორად გამოყენებულია გლიცერინი .

ფირფიტების მატრიცა-მატარებლის მომზადება ძირითადად ეფუძვნება კომპონენტების ერთმანეთში გახსნას: პოლივინილის სპირტს წყალში გაჯირჯვების შემდეგ ამატებენ გლიცერინს და აცხელებენ წყლის აბაზანაზე გამჭვირვალე ხსნარის მიღებამდე. შემდეგ კომპონენტების ჯერ კიდევ თბილ ხსნარში ხსნიან სამკურნალო ნივთიერება ტოპოლინს. ხსნარს დაიტანენ მინის ფირფიტაზე და აჩერებენ 12-15 საათის განმავლობაში ფირფიტის წარმოსაქმნელად.

მიღებული პოლიმერული ფირფიტები წარმოადგენს ახალ სამკურნალო საშუალებებს ბუნებრივი პრეპარატების გამოყენებით. ისინი არ იწვევენ ალერგიულ რეაქციებს, ჭრილობის ზედაპირზე დატანისას ჯირჯვდებიან და გაიწოვებიან, ამასთან, ხელს უწყობენ სამკურნალო პრეპარატების პროლონგაციას. ბინტებისგან განსხვავებით მოცემული ფირფიტები არ ეწებებიან ჭრილობას, ხოლო მათი პერფორაცია ხელს უწყობს ჭრილობიდან ექსუდატის განდევნას (3).

საკმაოდ ორიგინალურია, გამჭირვალე, ჭრილობის დამფარავად პოლიეთილენის პერფორირებული ფირფიტის, მის შიდა ზედაპირზე 95% ტალკისა და 5% 11 ანტიბიოტიკისა და ანტისეპტიკის შემცველობის პუდრის დატანით, გამოყენება. ნარევი დამატებით შეიძლება შეიცავდეს ფხვნილს წყალში ხსნადი კერატინით, ნარევი კომპონენტების თანაბარი შეფარდებით. ფირფიტა არ არის ორთქლგამტარი, რაც უზრუნველყოფს ტენიანი გარემოს შექმნას და ხელს უწყობს დამწვრობითი ჭრილობის ნაწიბურის გარეშე შეხორცებას. ჰიდროფობურ ფირფიტაზე სამკურნალო საშუალებების ფიქსაციის არ არსებობამ შეიძლება გამოიწვიოს როგორც მისი არათანაბარი განაწილება ჭრილობის ზედაპირზე ასევე მისი მოცილება ჭრილობის გამონაყოფთან ერთად .

დამწვრობის სამკურნალოდ, 100%-მდე წყლის აბსორბირებით რეკომენდირებულია პრეპარატი – „Omiderm», (ფირმა Omiderm, Ltd., ისრაელი), რომლის უპირატესობას წარმოადგენს მისი მაღალი შეღწევადობა ანტიმიკრობული პრეპარატებისათვის, რომელთა დატანა შესაძლებელია უშუალოდ ფირფიტის ზედაპირზე .

ფირფიტის და დაზიანებულ ზედაპირს შორის ადგეზიის გაუმჯობესების მიზნით შემუშავებული იქნა მასალების ჯგუფი, ქვედა ადგეზიური ფენის შემცველობით, რომელიც წარმოადგენს კაუჩუკისმაგვარ ელასტომერს.

80-იანი წლების დასაწყისში მასაქუსეტის ტექნოლოგიურ ინსტიტუტში შემუშავებულ იქნა ორფენიანი ფირფიტა, რომელმაც აჩვენა ახალი, ცოცხალი კანის რეგენერაციის კარგად მასტიმულირებელი თვისება. მასალა ზედაფენად შეიცავს «Silastic-Medical A» მარკის პოლი-დიმეთილსილოქსანისგან დამზადებულ თხელ ფირფიტას, რომელსაც გააჩნია წყლისა და ჟანგბადის მიმართ დიდი გამტარობა. ამ მასალის ქვედა ფენა შედგება ინტერპოლიმერის კომპლექსისაგან: კოლაგენის და გლუკოზა მინოგლუკან-ქონდრიოტინ-6-სულფატისგან და მიღებულ იქნა პოლიმერების ხსნარების ნარევის ლიოფილური შრობით. რეგენერაციის პროცესის გასაუმჯობესებლად ამ ქვედა ფენაში შეყავდათ ენდოთელის უჯრედები .

ზოგიერთი ჭრილობის 16 დღემდე ვადაში აქტიური შეხორცება შეინიშნებოდა ჭრილობის საფარად პოლიეთერურეთან შარდოვანას ფოროვანი ფირფიტის გამოყენებისას, რომლის ქვედა ზედაპირი დაფარული იყო კოლაგენით და ალბუმინით .

გაერთიანება «Витамины»ის მიერ, მოსკოვის ი.მ. სეჩენოვის სახელობის სამედიცინო ინსტიტუტის კოლაგენის შემსწავლელ განყოფილებასთან და ბიისკის ვიტამინის ქარხანასთან ერთად, შემუშავებულ იქნა ახალი ორიგინალური კოლაგენური ფირფიტა ქაცვის ზეთით, რომელიც შემოთავაზებული იქნა, როგორც ჭრილობის ზედაპირის საფარი, სხვადასხვა ჭრილობის სამკურნალოდ.

კოლაგენის ფირფიტა ქაცვის ზეთით, სახელწოდებით „ობლეკოლ“, წარმოადგენს ყვითელი ფერის ფირფიტებს შეფუთულს პოლიეთილენის პაკეტებში, რომლებიც უზრუნველყოფენ ფირფიტის სტერილურობის შენარჩუნებას. ფირფიტის ერთი გრამი შეიცავს 0,01 გ ქაცვის ზეთს.


შემუშავებული ფირფიტა მაღალ თერაპიულ ეფექტურობასთან ერთად იძლევა ქაცვის ზეთის, რომელიც თანაბრად და თანდათან მიეწოდება ჭრილობის ზედაპირს, ეკონომიურად ხარჯვის საშუალებას.

ამგვარად მოყვანილი მონაცემები ცხადყოფს, რომ დამწვრობის მკურნალობის თანამედროვე მეთოდების დამახასიათებელი ტენდენციაა ბიოშეთავსებადი ბუნებრივი და სინთეზური პოლიმერების და მათი კომპოზიციის გამოყენება დამწვრობის და ჭრილობის ფირფიტის საფუძვლად. ეს საშუალებას იძლევა გადავლახოთ დამწვრობის სამკურნალო ტრადიციული სამკურნალწამლო ფორმებისათვის დამახასიათებელი ხარვეზები.



დამწვრობის სამკურნალოდ აპლიკაციური სამკურნალო ფორმების სასარგებლოდ მეტყველებს, დამწვრობის მკურნალობაში ახალი და სტანდარტულად გამოყენებული სამკურნალო ფირფიტების აპლიკირების შედეგებზე მრავალრიცხოვანი პუბლიკაციები.

ლიტერატურის ანალიზი მეტყველებს პათოლოგიის კერაზე პროლონგირებული ზემოქმედების სამკურნალო საშუალებებით დამწვრობის ადგილობრივი მკურნალობის ტაქტიკის გამოყენების უპირატესობაზე, ამიტომ ჩვენ გადავწყვიტეთ შეგვემუშავებინა სამკურნალო ფიტოფირფიტის რაციონალური შემადგენლობა და ტექნოლოგია.


1.3. ლაშქარას ზოგიერთი სახეობის: *Symphytum asperum* Lep.-ის, *Symphytum caucasicum* M.B.-ის, *Symphytum grandiflorum* D.C.-ის და *Symphytum officinale* L. (ოჯ. Boraginaceae) ფარმაკოგნოსტული დახასიათება.





სურ. 1.1. ხაოიანი ლაშქარა *Symphytum asperum* Lep.



სურათი 1.2. კავკასიური ლაშქარა *Symphytum caucasicum* M.B.




სურათი 1.3 თეთრყვავილა ლაშქარა *Symphytum grandiflorum* D.C.



სურ.1.4. სამკურნალო ლაშქარა *Symphytum officinale* L .

1.3.1. *Symphytum*-ის გვარის მცენარეების ქიმიური შემადგენლობა.

ლაშქარას გვარის მცენარეებისათვის დამახასიათებელია შემდეგი ბიოლოგიურად აქტიური ნივთიერებების შემცველობა (სურ. 1.5).




სურ. 1.5. *Symphytum*-ის გვარისათვის დამახასიათებელი ზოგიერთი ქიმიური ნაერთი.

მცენარეებში ბიოსინთეზირდება Boraginaceae-ს ოჯახისათვის დამახასიათებელი აზოტშემცველი ნივთიერება – ალანტონი, ასევე დიდი რაოდენობით გლუკოფრუქტანი და სხვა პოლისაქარიდები, რომლებიც შეიცავენ ნეიტრალურ მონოსაქარიდებს და ურონის მჟავას (93, 107, 114-117). გლუკოფრუქტანების მდიდარ წყაროს წარმოადგენს აგრეთვე *S.grandiflorum* და *S.palaestinum*(143,149).

S.officinale-დან გამოყოფილია ფენოლური ნაერთები: ქლოროგენის, კოფეინის, α-ჰიდროქსიკოფეინის, როზმარინის, ლიტოსპერმის მჟავები, დელფინიდინი, ციანიდინი, მალვიდინი, კვერცეტინი, კემპფეროლი და მთრიმლავი ნივთიერებები(153). გამოყოფილია აგრეთვე ორი ტრიტერპენული გლიკოზიდი ჰედერაგენინის და ოლეანოლის მჟავების წარმოებულები (90,91). *S.asperum* მდიდარია მიკროელემენტებით და გამოირჩევა ცილების დიდი რაოდენობის შემცველობით(24,143).*S.asperum*-ის

ღერობისა და ფოთლების ნახშირწყლების შემადგენლობაში შედიან არაბინოგალაქტანის ტიპის წყალშისხნადი პოლისაქარიდები და პექტინოვანი ნივთიერებები, პროტოპექტინი, ჰემიციელულოზა, გლუკომანანი და გლუკურონოქსილანი (10,25,26). ალკალოიდები წარმოადგენენ *Symphytum*-ის გვარის მცენარეების მეორადი მეტაბოლიტების ერთ-ერთ მთავარ ჯგუფს.














სურ. 1.6. პიროლიზიდინის ალკალოიდების (PAs) ზოგადი სტრუქტურა. A – PAs-ის ნეცინის ნაწილი; B – რეტრონეცინი;

Symphytum-ის გვარის მცენარეების პიროლიზიდინის ალკალოიდები არიან რეტრონეცინის მონო- ან დი-ესთერები.

S.asperum-ის მიწისზედა ნაწილები და ფესვები შეიცავენ 0.2% ალკალოიდებს: ექიმიდინს, სიმფიტინს, ასპერუმინს, ექინატინს, ჰელიოსუპინს, აცეტილექიმიდინს (ან მის იზომერს), აცეტილლიკოპსამინს (ან მის იზომერს), სიმვირიდინს (სურ.1.7). *S.asperum*-ში დადგენილია აგრეთვე ვიტამინი C-ს და კაროტინის შემცველობა (43,44,94,120, 126).

S.caucasicum-ის ფესვებში აღმოჩენილია 0.48% ალკალოიდები (ასპერუმინი, ლაზიოკარპინი, ექინატინი, ექიმიდინი და ჰელიოტრინი) (სურ.1. 7). ფესვები შეიცავენ აგრეთვე ალანტოინს (43 ,133-135).

S. grandiflorum-ში ნაპოვნია ექიმიდინი, ლიკოპსამინი და სიმფიტინი (120).

		
პიროლიზიდინის ალკალოიდები	ნუცინის მუჯავა (მუჯავები)	
	R ₁	R ₂
სიმფიტინი	 ტიგლინის	 (-)-ვირიდოფლორის
ლიკოპსამინი	—H	 (-)-ვირიდოფლორის
7-აცეტილიკოპსამინი	 მმარმუავის	 (-)-ვირიდოფლორის
ინტერმედინი	—H	 (+)-ტრახელანტის
7-აცეტილინტერმედინი	 მმარმუავის	 (+)-ტრახელანტის
სიმვირიდინი	 ვენუცინის	 (-)-ვირიდოფლორის


სურ. 1.7. *Symphytum*-ის გვარის მცენარეების ზოგიერთი ალკალოიდი.

S. officinale-ის ფესვებში და ფოთლებში აღმოჩენილია შემდეგი ჯგუფის ალკალოიდები: სიმფიტო-ცინოგლოსინი, კონსოლიდინი, კონსოლიცინი, სიმფიტინი, ლიკოპსამინი/ინტერმედინი (დიასტერეოიზომერები), 7-აცეტილიკოპსამინი/7-აცეტილინტერმედინი (დიასტერეოიზომერები), ლიკოპსამინი, ექიმიდინი, ექინიტინი, ჰელიოსუპინი, ინტერმედინი, ვირიდოფლორინი და სიმვირიდინი (სურ. 1.7).

აღსანიშნავია, რომ ალკალოიდების შემცველობა ფესვებში ბევრად მეტია, ვიდრე ფოთლებში(44-46,147).

გარდა ზემოთ აღნიშნული ნაერთებისა *S.officinale*-ში გვხვდება უმაღლესი ცხიმოვანი (ლინოლის, პალმიტინის γ -ლინოლენის) და ორგანული (ლიმონის, ვაშლის,-ქარვის ფუმარის) მჟავები, ქოლინი, ვიტამინი B₁₂, β -სიტოსტერინი და სტიგმასტერინი.

S.asperum-ის და *S.caucasicum*-ის ფესვების პოლისაქარიდული შემადგენლობის შესწავლამ აჩვენა, რომ ნეიტრალური გლუკოფრუქტანები არიან ძირითადი წყალში ხსნადი პოლისაქარიდები (სურ. 1.8)




სურათი 1.8. *S.asperum*-ის და *S.caucasicum*-ის ფესვების გლუკოფრუქტანი.

ორივე პოლისაქარიდი შეიცავს β -D-ფრუქტოფურანოზას ნაშთებს მათ შორის 2 \rightarrow 1 და 2 \rightarrow 6 ბმებით; 1,6-ორჩანაცვლებული ფრუქტოფურანოზას ნაშთები წარმოადგენენ პოლიმერული მოლეკულების განტოტვის წერტილებს. ყოველ მოლეკულაში ერთადერთ α -D-გლუკოპირანოზას ნაშთს უკავია ტერმინალური მდებარეობა და შეერთებულია β -D-ფრუქტოფურანოზას ნაშთთან 1 \rightarrow 2 ბმით.

ლაშქარას პოლისაქარიდების ჯამის აქტიური სუბსტანციის ძიების პროცესში წინა წლების კვლევების შედეგად ლაშქარას კავკასიური სახეობების(*S. asperum*, *S. caucasicum*) ფესვებიდან და ღეროებიდან გამოყოფილი იქნა ფენოლური პოლიმერი რომლის სტრუქტურა დადგენილი იქნა ინფრაწითელი, ¹H და ¹³C ბირთვულ-მაგნიტური რეზონანსის, 2D ჰეტერობირთვული ¹H/¹³C HSQC სპექტრალური მონაცემების საფუძველზე. ამ პრეპარატების ძირითად სტრუქტურულ ელემენტს წარმოადგენს რეგულარულად ჩანაცვლებული პოლიოქსიეთილენი, სახელდობრ პოლი [3-(3,4-დიჰიდროქსიფენილ)

გლიცერინის მჟავა] (პდფგმ) ანუ პოლი[ოქსი-1-კარბოქსი-2-(3,4-დიჰიდროქსიფენილ) ეთილენი] (სურ. 1.9A) (96-100,103-105,108).

ეს ნაერთი წარმოადგენს კოფეინის მჟავას წარმოებულის პოლიმერს და არის ბუნებრივი მარტივი პოლიეთერების პირველი წარმომადგენელი, რომლის განმეორებადი რგოლია 3-(3,4-დიჰიდროქსიფენილ)გლიცერინის მჟავასნაშთი (სურ.1. 9).



სურათი 1.9. პოლი[3-(3,4-დიჰიდროქსიფენილ)გლიცერინის მჟავა] (პდფგმ) (A) და პდფგმ-ის განმეორებადი რგოლი – 3-(3,4-დიჰიდროქსიფენილ)გლიცერინის მჟავასნაშთი (B).

ლაშქარას პდფგმ-ს, განსხვავებით მისი პოლისაქარიდებისაგან, აღმოაჩნდა მაღალი იმუნომოდულატორული (ანტიკომპლემენტარული), ანტიოქსიდანტური, ანტილიპოპეროქსიდანტური და ანთების საწინააღმდეგო აქტიურობები (109,110).

ლაშქარას შემადგენლობაში არსებული ალანტონინი მიჩნეულია პასუხისმგებელ ნივთიერებად უჯრედის დაყოფის სტიმულირებასა და შემაერთებელი ქსოვილების, ძვლების და ხრტილების რეგენერაციაზე.

In vivo ცდებში დადგენილია, რომ ლაშქარას ფესვების პიროლიზიდინის ალკალოიდებისაგან და ალანტონინისაგან თავისუფალი პოლისაქარიდების ჯამის ჭრილობის შემახორცებელი ეფექტურობა ოთხჯერ აღემატება ალანტონინის ეფექტურობას. მიღებული შედეგების საფუძველზე ლაშქარას პოლისაქარიდების ჯამის აქტიურ საწყისს წარმოადგენს არაპოლისაქარიდები, რომელიც ამ შემთხვევაში არის ბალანტური ნივთიერება, არამედ პოლისაქარიდების ფრაქციაში შემავალი წყალში ხსნადი პდფგმ(101,102,138).

სპექტროფოტომეტრული მეთოდის გამოყენებით მოწოდებულია პდფგმ-ის რაოდენობრივი განსაზღვრის მარტივი, სწრაფი, მგრძნობიარე, აღწარმოება დიმეთოდიკა,

რომელიც შესაძლებელია გამოყენებული იქნას სერიულ ექსპერიმენტებში(106).გარდა ზემოთ აღნიშნული სამკურნალო თვისებებისა *Symphytum*-ის სხვადასხვა სახეობები მათში ცილების, მიკროელემენტების მაღალი და ცელულოზას შედარებით დაბალი შემცველობის გამო წარმოადგენენ მაღალი ხარისხის საკვებ კულტურებს. *Symphytum*-ის ყველა სახეობა გამოირჩევა მაღალი მოსავლიანობით, სწრაფად ზრდადია და უკიდურესად მდგრადი და ელასტიურია ბუნებრივი პირობებისადმი, ამიტომ მათ გააჩნიათ დიდი სამეურნეო მნიშვნელობა. ისინი კარგად ექვემდებარებიან კულტივირებას, რაც უზრუნველყოფს ნედლეულის ბაზის გაფართოებას. მრავლდებიან როგორც თესლით, ისე კალმით(10,17,46,62,78).

თავი II. კვლევის ობიექტები და მეთოდები

2.1. კვლევის ობიექტები

კვლევის ობიექტებს წარმოადგენდა: *Symphytum asperum* Lep.-ის, *Symphytum grandiflorum* D.C.-ის (ოჯ.Boraginaceae) ღეროები; პოლი[3-(3,4-დიჰიდროქსიფენილ) გლიცერინისმჟავა] პდფგმ; პდფგმ-ის გელი და ფირფიტა.

სამკურნალწამლო ფორმების ოპტიმალური შემადგენლობებისა და ტექნოლოგიების შემუშავების პროცესში გამოყენებული იქნა შემდეგი მოქმედი და დამხმარე ნივთიერებები: – სამედიცინო ვაზელინი (ფს 42-2456-97), ზეთუნის ზეთი (სფX, ს.479), პეო-400 (ტპ 2483-167-05757587-2000), პეო-1500 (ტპ 2483-166-05757587-2000 ცვლილებით 1), პეო-4000 (ტპ 2483-167-05757587-2000 ცვლილებით 1), ნატრიუმის ალგინატი (ფს 42-1680-97), მეთილცელულოზა (ტპ 2231-107-05742755-96მ), ნატრიუმის კარბოქსიმეთილცელულოზა (ტპ 2231-034-07507908-01), ჟელატინი (სახ.სტ. 11293-89), აგარ-აგარი (სფX, ს.866), გასუფთავებული წყალი (სფ 42-2619-97), გლიცერინი (ფს 42-2202-99), ტვინ-80 (ფს 42-2540-88), მყარი დისტილირებული მონოგლიცერიდები (დმგ-94) (ტპ 10-1197-95), აეროსილი, კარბოპოლი 940, ქსანტანის გომიზი, სელის ზეთი, ნატრიუმის ჰიდროქსიდი, თიხა ასკანე, სპერმაცეტი, ცვილი, დიმექსიდი, კრემოფორი-Co-40, პოლივინილის სპირტი, პოლივინილპროლიდინი, ეთილენაცეტატი, ქლოროფორმი.

2.2 კვლევის მეთოდები

პდფგმ-ის გელის და ფირფიტების ბიოფარმაცევტული შეფასება ვაწარმოეთ ფრანსის დიფუზური უჯრედების გამოყენებით, შემდგომ სპექტროფოტომეტრით.

კვლევა ჩავატარეთ შემდეგნაირად: გამოვიყენეთ ცელოფანის მემბრანა (ნახევრად გამტარი მემბრანა – ცელოფანი დიამეტრით 65მმ, ფორების სიდიდით 0,025მმ). მასზე დავიტანეთ საკვლევი ობიექტები 1,0გ რაოდენობით, თანაბრად გავანაწილეთ, მოვათავსეთ აქცეპტორსა და დონორს შორის და დავამაგრეთ სპეციალური სამაგრით. აქცეპტორი ჭდემდე შევავსეთ ფოსფატური ბუფერით pH-ის მნიშვნელობით 7,4(ბუფერის შემადგენლობა: წყალი 400 მლ, NaCl 8გ, KCl 0,2გ, NaH₂PO₄ 1,44გ, KH₂PO₄ 0,24გ). ვახდენდით დიფუზური არის ტემპერატურის თერმოსტატირებას 37±0,1°C ტემპერატურის ფარგლებში. დიფუზური არის შერევას ვახდენდით მაგნიტური შემრევით. ნიმუშების

აღებას ვახდენდით ყოველ ერთ საათში და დიფუზურ არეს ვამატებდით აღებული ნიმუშის ტოლი მოცულობა ფოსფატურ ბუფერს.

გელის ოსმოსური აქტივობა განვსაზღვრეთ გრავიმეტრული მეთოდით. ოსმოსური აქტივობის განსაზღვრა ვაწარმოეთ შემდეგნაირად: დიალიზატორში (ნახევრად გამტარი მემბრანა – ცელოფანი დიამეტრით 65მმ, ფორების სიდიდით 0,025მმ) ათავსებენ 1,0გ გელს, დიალიზატორის კამერაში კი გამოხდილ წყალს. დიალიზატორი ცდის მთელი პერიოდის განმავლობაში იყო თერმოსტატირების პირობებში (37⁰ C) და ყოველი 1 საათის შუალედით ვწონდით. გელის მიერ შთანთქმული წყლის რაოდენობას ვითვლიდით მიღებული და წინა შედეგების სხვაობით. აბსორბირებული წყლის რაოდენობას ვითვლიდით ფორმულით:

$$P = \frac{(M_n - M_0) - (M_n^R - M_0^R) \cdot 100}{M} \text{ სადაც:}$$

P – ოსმოსური წნევა;

M_n – მოცემულ მომენტში დიალიზატორული კამერის მასა საკვლევი ნიმუშით (გ);

M₀ – დიალიზატორული კამერის მასა საკვლევი ნიმუშით (გ);

M_n^R – მოცემულ მომენტში დიალიზატორული კამერის მასა საკონტროლო ნიმუშით (გ);

M₀^R – დიალიზატორული კამერის მასა საკვლევი ნიმუშით კვლევის დაწყებამდე (გ);

M – საკვლევი ნიმუშის მასა (გ).

გელის კოლოიდური სტაბილურობა განვსაზღვრეთ ლაბორატორიულ ცენტრიფუგაზე: ტიპი 310 მწარმოებელი „METRONEX“ (პოლონეთი) სახ.სტ-ის 29188.3-91 მიხედვით – „კოსმეტიკური ნაწარმი. ემულსიის სტაბილურობის განსაზღვრის მეთოდი“. სინჯარებს ვავსებდით მოცულობის 2/3-მდე, ვწონდით 0,01გ სიზუსტით (დაახლოებით 20გ), ვათავსებდით წყლის აბაზანაში (42,5±2,5°C) 20 წუთის განმავლობაში, ვამშრალავდით და ვათავსებდით ცენტრიფუგაში. ცენტრიფუგირებას ვახდენდით 5 წუთის განმავლობაში 6000 ბრ/წთ პირობებში. ნიმუშები ითვლებოდა სტაბილურად თუ ვიზუალურად არ შეიმჩნეოდა განშრევა.

თერმოსტაბილურობა, ტემპერატურის მკაცრი ცვლილების პირობებში, განვსაზღვრეთ უწყ.სტ. 18-21-81 „კოსმეტიკური კრემები“, მიხედვით. გელის თერმოსტაბილურობის განსასაზღვრად იღებენ 5-6 მინის სინჯარას დიამეტრით 15 მმ და სიმაღლით 150 მმ, ავსებენ საკვლევი ობიექტებით 8-10 მლ-ის რაოდენობით და ათავსებენ თერმოსტატში (40-42°C) ერთი კვირის განმავლობაში, შემდეგ მაცივარში

(10-12°C) ასევე ერთი კვირის განმავლობაში და ინახავენ 3 დღე-ღამის განმავლობაში ოთახის ტემპერატურაზე. სტაბილურობა ისაზღვრება ვიზუალურად – განშრევების არ არსებობით.

პდფგმ-ის ფირფიტის ტენის შთანთქმის განსაზღვრა.

ფიტოფირფიტები წარმოადგენენ ჰიდროფილურ სისტემებს, რომლებიც წყალთან (ან ბიოლოგიურ ხსნართან) კონტაქტში შთანთქავენ მას გარკვეული რაოდენობით, რაც იწვევს გახსნას. ფიტოფირფიტების ფიზიკურ თვისებებზე მნიშვნელოვან გავლენას ახდენს პოლიმერების მიერ შთანთქმული წყალი. ბიოლოგიურად აქტიური სისტემების დიფუზური გადატანა ფიტოფირფიტების დატანის ადგილზე დამოკიდებულია ტენის შთანთქმის ხასიათზე.

ფიტოფირფიტების ტენშთანთქმის შესწავლა ხდებოდა მათი გაჯირჯვების სისწრაფის და ხსნადობის მიხედვით. ამისათვის გამოყენებული იქნა სახ.სტ. 20869-75-ის სახეცვლილი მეთოდიკა, რომლის არსიც მდგომარეობს გამოსაცდელი ნიმუშის მიერ შთანთქმული წყლის რაოდენობის განსაზღვრაში $20 \pm 20^{\circ}\text{C}$ ტემპერატურაზე და ნორმალური წნევისას, მისი განსაზღვრული დროის მონაკვეთში, წყლის ზედაპირზე გაჩერების შემდეგ, ანალიზურ სასწორზე აწონვის გზით.

ფიტოფირფიტის ყველა დისკს ვათავსებდით 33,5 სმ ზომის კაპრონის ჰიდროფობურ ბადეზე და ანალიზურ სასწორზე განვსაზღვრავდით საწყის მასას. შემდეგ ბადეს ფიტოფირფიტით ჩავუშვებდით 50მლ ტევადობის ჭიქაში გამოხდილი წყლის ზედაპირზე (ფს 42-2619-89). ცდის დაწყებიდან 10, 20, 30, 40, 50, 60, 70, 80, 90 და 100 წუთის შემდეგ ვწონიდით ბადეს ფიტოფირფიტით. ფიტოფირფიტის მიერ შთანთქმული წყლის მასას ვსაზღვრავდით ფიტოფირფიტის ბადის მასის სხვაობით ცდის დაწყებამდე და ექსპოზიციის შემდეგ. ამასთანავე გამოვითვალეთ საშუალო მნიშვნელობა წყლის მასის 5 განსაზღვრებიდან, რომელიც შეკავშირებული იქნა ბადის მიერ ფიტოფირფიტის გარეშე, დროის იმავე პერიოდში რაც ფიტოფირფიტით ექსპერიმენტისას.

ფიტოფირფიტის ადჰეზიის უნარის განსაზღვრა. ფიტოფირფიტის ერთ-ერთ მნიშვნელოვან მაჩვენებელს წარმოადგენს ადჰეზია-შეჭიდების ძალა აპლიკაციის ადგილთან. ეს მაჩვენებელი სხვა ფაქტორებთან ერთად განსაზღვრავს პრეპარატის სამკურნალო ზემოქმედების დროს, ვინაიდან აპლიკაციის ადგილიდან ფიტოფირფიტის

ჩამოცურების ან მოცილების შემთხვევაში, თერაპიული ეფექტი არა თუ შეიძლება შემცირდეს, არამედ შეიძლება სრულიად გაქრეს .

ფიტოფირფიტების ადჰეზიის განსაზღვრისათვის გამოყენებული იქნა ტოლმხრიანი სასწორი, რომლის ერთ მხარეზე ჩამოკიდებულია თევში საწონებისათვის ხოლო მეორეზე მასთან გათანასწორებული მინის ფირფიტა ზომით 5X10 სმ. ფიტოფირფიტების საკვლევ ნიმუშებს დისკის სახით ვათავსებდით მინის ზედაპირზე, რომელზედაც წინასწარ მიკროპიპეტით დატანილი იყო წყლის წვეთები, ფიტოფირფიტის დისკს ვაფარებდით შუშის ფირფიტას, რომელზეც ვათავსებდით 100 გრამიან სტანდარტულ საწონს 10 წამის განმავლობაში. სასწორის თევშზე ვათავსებდით საწონებს წონის თანდათანობითი ზრდის რეჟიმში, ფიტოფირიდან შუშის ფირფიტის მოცილება მდე. ცდას ვიმეორებდით სამჯერ. ყველა ნიმუშის ფიტოფირფიტისთვის გამოკვლეული იქნა 5-5 დისკი.

ფირფიტის ადგეზიის უნარის გამოთვლას ვახდენდით შემდეგი ფორმულით:

$F = m \cdot g$, სადაც,

F – ზედაპირიდან ფირფიტის მოცილების ძალის სიდიდე, ნიუტონებში (H),

m – საწონის მასა, რომელიც იწვევს ფირფიტის ზედაპირიდან მოცილებას, გ;

g – ვარდნის თავისუფალი აჩქარება მ/წმ².

ფირფიტების შეფერადებას და გამჭვირვალობას ვაფასებდით ვიზუალურად.

ფირფიტების საშუალო მასას ვსაზღვრავდით 10X10 სმ ზომის ფირფიტების ანალიზურ სასწორზე აწონით. საშუალო მასიდან დასაშვებ გადახრად მივიჩნიეთ $\pm 10\%$.

პდფგმ-ის ფირფიტის წონაში დანაკარგი გამოშრობისას განვსაზღვრეთ „Ohaus“-ის ფირმის ტენის განმსაზღვრელი აპარატით. წონაში დანაკარგი არ უნდა აღემატებოდეს $\pm 10\%$.

პდფგმ-ის გელის და ფირფიტების სპეციფიკური აქტიურობა განისაზღვრა მექანიკური ჭრილობის და თერმული დამწვრობის მოდელებზე.

ექსპერიმენტის შედეგების სტატისტიკური დამუშავება განხორციელდა სფ XI აღწერილი მეთოდის მიხედვით, რისთვისაც გამოყენებული იქნა სტანდარტული კომპიუტერული პროგრამა EXCEL.

თავი 3. ლაშქარას მორფო -სტრუქტურული თავისებურებები(Boraginaceae)

3.1. ლაშქარას საკვლევ სახეობათა – *Symphytum asperum* Lep., *Symphytum caucasicum* M.Bieb და *Symphytum grandiflorum* D.C.-ის მორფოლოგიურ ნიშანთა ერთობლიობა

ხაოიანი ლაშქარა – *S. asperum*-ი მრავალწლოვანი ბალახოვანი მცენარეა, უხეში ჩხვლეტია, მოკაუჭებული ჯაგრებით მოფენილი. ფესვი მთავარღერძიანია, გრძელი და გასქელებული. ღერო 60-200სმ-მდე სიგრძის, სწორმდგომი, მძლავრი და ძლიერ დატოტვილი. ქვედა ფოთლები გრძელყუნწიანია, ფართო-კვერცხისებრი, წვერისკენ წაწვეტებული, 10-19სმ სიგრძის 5,5-10სმ სიგანის, ფოთლის ფირფიტა ფუძესთან მომრგვალო ან გულისებრი. ზედა ფოთლები მოკლეყუნწიანია ან მჯდომარე, ვიწრო-კვერცხისებრი, მომრგვალო ან მომრგვალო-სოლისებრი ფუძით. ყვავილები კოკრობისას ვარდისფერია, შემდგომ ლურჯი ან ცისფერი, შეკრებილი კუმს კენწრულ ხვეულა ყვავილედებად. ჯამი 3-6მმ სიგრძისაა, $\frac{3}{4}$ -მდე ან ფუძემდეა განკვეთილი, ნაყოფობისას დიდდება 15მმ-მდე. ჯამის კბილები სამკუთხა ფორმისაა, მობლავგო წვერით, შებუსული. გვირგვინი ძაბრისებრია, 12-18მმ სიგრძის, 3-4-ჯერ აღემატება ჯამს, გადანალუნი მოკლენაკვთებიანია. გვირგვინის დანამატები ენისებრია, წვერში მომრგვალო, აღემატება მტვრიანებს. მტვრიანათა ძაფები სამტვრეების ტოლია ან ოდნავ მეტი. სვეტი შესამჩნევადაა ამოშვერილი გვირგვინიდან. ერემები 4,5-5მმ სიგრძისაა, ნახევრადმოხრილი, ჰორიზონტალურად განზიდული, მომწიფებული შეფერილობით მუქი ყავისფერიდან შავამდე ცვალებადობს, ზედაპირი ბადისებრ-ნაოჭიან ბორცვიანია. ყვალისობს VI-VII, ნაყოფობს VII-VIII.

S. asperum-იზრდება მთის შუა, ზედა და სუბალპურ სარტყელებში, ტენიან ადგილებში, მდელოებზე, ტყისპირებზე, წყაროებსა და მთის მდინარეთა ნაპირებზე, ბუჩქნარში. მაღალბალახეულობის ერთ-ერთი კომპონენტი. (1;123)

კავკასიური ლაშქარა – *S. caucasicum*-ი მრავალწლოვანი ბალახოვანი მცენარეა, მონაცრისფრო ბეწვით მოფენილი. ივითარებს მთავარღერძიან გასქელებულ ფესვს და ჰორიზონტალურ მხოხავ ფესურას. ღერო მარტოულია, 20-75სმ სიმაღლის, სწორმდგომი, რამდენადმე დატოტვილი, ღეროს ფუძესთან ვითარდება გვერდითი უნაყოფო ყლორტები. ქვედა ფოთლები გრძელყუნწიანია, მოყვანილობით ფართოლანცეტა, მოგრძოლანცეტა ან

კვერცხისებრი, ზემოთ წაწვეტებული, 5-10სმ სიგრძის, 2-4სმ სიგანის. ღეროსეული და ზედა ფოთლები მოკლესუნწიანია ან მჯდომარე ძირით ღეროზეა ჩამოზდილი. ყვევილები ლურჯი ფერისაა, შეკრებილი კენწრულ ფაშარ გრძელ ხვეულა ყვავილედებად. ჯამი 4-8მმ სიგრძისაა, ნაყოფობისას დიდდება 15 (25)მმ-მდე, ჩვეულებრივ 1/3-მდე ხუთადაა გაყოფილი. ჯამის თითოეული კბილი სამკუთხა ფორმისაა, თავბლაგვი. გვირგვინი ზარისებრია 12-17მმ სიგრძის 2-3 ჯერ აღმატება ჯამს. გვირგვინის გადანაღუნი მოკლენაკვთებიანია, მილის ტოლი. გვირგვინის დანამატები ენისებრია, წვერში მომრგვალო, აღმატება მტვრიანებს. მტვრიანათა ძაფი სამტვრეების ტოლია, ან აღმატება მათ. სვეტი ოდნავაა გვირგვინიდან ამოყოფილი. ერემები (კაკლუჭები) მოყვანილობით ცარა-კვერცხისებრია, მუქი ყავისფერი, ბადისებრ-ნაოჭიან ბორცვიანი ზედაპირით, 3,5-4მმ სიგრძის. ყვავილობს IV-VI, ნაყოფობს VI-VII. *S.caucasicum*-იზრდება მთის შუა და ზედა სარტყელებში, ტყის პირებზე, როგორც სარეველა გზების მახლობლად დანაგვიანებულ ადგილებში. გვხვდება ასევე ბალ-ბოსტნებში. სახეობა კავკასიის ენდემია, გავრცელებულია აზერბაიჯანსა და სომხეთშიც. (1;123)

თეთრყვავილა ლაშქარა – *S. grandiflorum*-ი მრავალწლოვანი ბალახოვანი მცენარეა, მწვანე, ხეშეში შებუსვით. ფესურა გრძელია, წვრილი, ჰორიზონტალური, მხოხავი. ივითარებს საყვავილე ღეროებს და უნაყოფო ყლორტებს. ღერო სუსტია, 20-40სმ სიმაღლის, სწორმდგომი ან წამოწეული, თითქმის დაუტოტავი. ქვედა და ღეროსეული ფოთლები გრძელყუნწიანია, ფართოკვერცხისებრი, კიდეზე ტალღოვანი, 3-7სმ სიგრძის, 2-5,5სმ სიგანის. ფოთლის ფირფიტა ფუძესთან მომრგვალოა ან ოდნავ გულისებრი. ზედა ფოთლები უფრო მცირე ზომისაა, ვიწრო, მჯდომარე. ყვავილები მკრთალი ყვითელია, შეკრებილი კენწრულ ხვეულა ყვავილედებად. ჯამი 6-8მმ სიგრძისაა ხუთად ღრმად განკვეთილი, თითოეული კბილი მოწითალოა, ხაზური და თავბლაგვი. გვირგვინი ფართოა, ზარისებრი, ხუთი ბლაგვი ნაკვთით და მოწითალო ზოლებით მოფენილი. 25მმ-მდე სიგრძის, 3-ჯერ აღმატება ჯამს. გვირგვინის დანამატები ენისებრია, წვერში ზოგჯერ ამოკვეთილი, თითქმის ტოლია ან აღმატება მტვრიანებს. სამტვრე ძაფები თითქმის ორჯერ გრძელია სამტვრეებზე. სვეტი გვირგვინიდან მცირედ ამოშვერილია. ერემები (კაკლუჭები) ოდნავ მოხრილია, მუქი ყავისფერი, 4მმ-მდე სიგრძის წვრილბორცვიანი ზედაპირით. ყვავილობს IV-V ნაყოფობს V-VII.


S. grandiflorum-ი იზრდება წიფლნარ-რცხილნარში მთის შუა და ზედა სარტყელებში 1000-1800მ ზღ.დ. სახეობა გავრცელებულია აღმ.საქართველოში. იგი საქართველოს ენდემია. (1;123)

3.2. ლაშქარას საკვლევ სახეობათა -*Symphytum asperum* Lep., *Symphytum caucasicum* M.Bieb და *Symphytum grandiflorum* D.C.-ის ღეროს ანატომიური აგებულება

S. asperum-ის ღეროს ეპიდერმისის ფუძემდებარე უჯრედები მიეკუთვნებიან სწორხაზოვანთა კლანის თითისტარა რომბისებურ ტიპს; დამახასიათებელია მარტივი ანომოციტური და რთული, ტრისექტური კლანის, ანიზორუგოციტული ტიპის, ანისოციტური ბაგის აპარატები(4); გამოკვეთილია ტრიქომების სახეობრივი კომპლექტაცია, ფიქსირდება კონუსური ფორმის, თავმოკაუჭებული ან, სხვადასხვა სიგრძის სწორი, მფარავ ქსოვილში ფუძეჩადირული ბუსუსები, ასევე მრავალუჯრედიან პოსტამენტზე განწყობილი კონუსური და სფეროსებრთავიანი ჯირკვლოვანი ტრიქომები; ტანგენტალურ ექსპოზიციაში ღეროს ტრანზიტორული სისტემის ტექსტურა მიეკუთვნება მონოციკლურ კოჰორტას (5); კოლატერალური ტიპის გამტარი კონები კამბიუმის უწყვეტი ცილინდრიდანაა დიფერენცირებული; მერქანში გამოკვეთილია სპირალური, რგოლური და რგოლურ-სპირალური გამტარი ჭურჭლები (სურ3.1.).

S. caucasicum-ის ღეროს ეპიდერმისის ფუძემდებარე უჯრედები მიეკუთვნება სწორხაზოვანთა კლანის სწორკედლიანთა ტიპს(4); ფიქსირდება ტრიქომების და ბაგის აპარატის განლაგება; ბაგეთმორისი ხვრელის მიმართულების გათვალისწინებით ბაგის აპარატი ღეროს ფუძემდებარე უჯრედების პარალელურადაა განწყობილი; ღერო მოკაუჭებულ-ბორცვისებური გამონაზარდებით ხასიათდება, აღენიშნება ხშირი შებუსვა; ტრიქომები რამოდენიმე სახისაა – იკვეთება მარტივი, ერეთუჯრედიანი, კონუსური თავმოკაუჭებული და სწორი ფორმის ან, მრავალუჯრედიან ფეხიანი, კონუსური სუსტად თავმოკაუჭებული ბუსუსები, ასევე, ჯირკვლოვანი სფეროსებრთავიანი ტრიქომები; ღეროს მფარავ ქსოვილში შეინიშნება სავენტინაციო სისტემის განთავსება; ქერქის პარენქიმაში დიფერენცირებულია ქლორენქიმის და შერეული ტიპის კოლენქიმის ქსოვილები; კამბიუმი უწყვეტია ღეროს მთლიან სარტყელზე; ტანგენტალურ ექსპოზიციაში ღეროს ტრანზიტორული სისტემის ტექსტურა მიეკუთვნება მონოციკლურ კოჰორტას; ლაფანი ხასიათდება პერიქსირალური და ჰიპოქსილარული განლაგებით(5); მერქნის სკლერიფიცირებული პარენქიმა წრიულია, მაგრამ ბიკოლატერალური გამტარი კონები მასში მკვეთრად გამოირჩევა; მერქნის ჭურჭლები რგოლური, ბადისებური და რგოლურ-სპირალურია; ღეროს ცენტრალური გულგული დიდი მოცულობისაა (სურ3.2.).


S. grandiflorum-ის ღეროს ეპიდერმისის ფუძემდებარე უჯრედები მიეკუთვნება მწყობრად დაგვირისტებულ, სწორხაზოვანთა კლანის სწორკედლიან, სათითურა რომბისებურ ტიპს. აღბეჭდილია ანომოციტური ბაგის აპარატი.(4) ბაგეთმორისი ხვრელის მიმართულება ემთხვევა ფუძემდებარე უჯრედების მიმართულებას. ღერო შეზუსულია მომცრო ან, დიდი, ერთუჯრედოვანი, კონუსური ფორმის მრავალუჯრედიან ფუძეზე აღმართული ტრიქომებით; ტანგენტალურ ექსპოზიციაში ღეროს მფარავ ქსოვილში განლაგებულია სუსტად ჩაძირული ბაგის აპარატი; დიფერენცირებულია ქლორენქიმის სარტყელი; ქერქის პარენქიმას უწყვეტ რგოლად ენდოდერმის ქსოვილი ემიჯნება; ტანგენტალურ ექსპოზიციაში ღეროს ტრანზიტორული სისტემის ტექსტურა მიეკუთვნება მონოციკლურ კოპორტას; გამტარ ქსოვილში ლაფანი განთავსებულია როგორც პერიქსილარულად, ასევე ჰოპოქსილურად(5); გარე ლაფანი, კამბიუმი და მერქნის სქელგარსიანი პარენქიმა უწყვეტ ცილინდრს ქმნიან; მერქანში დიფერენცირებულია რგოლურად, სპირალურად და ბადისებურად გარსგასქელებული გამტარი ჭურჭლები (სურ 3.3.).



სურათი 3. 1. *S. asperum*-ის ღეროს ანატომიური აგებულების თავისებულებანი.

A,B. – ღეროს ტექსტურის პანორამა განივ და C. – სიგრძივ ჭრილში; D. – ეპიდერმისის ფუძემდებარე უჯრედების ფრაგმენტი; E. – ტრიქომის მრავალუჯრედიანი ფუძის გადანაჭერი; F. – ანისოციტური და G. – ანომოციტური ბაგე


1. – ბუსუსები ყლორტზე; 2. – მფარავი ქსოვილი; 3. – ქერქის პარენქიმა; 4. – ცენტრალური ცილინდრი; 5. – ღეროს მონოციკლური ტრანზიტორული სისტემა; 6. – მედულა; 7. – ღეროს ღრუ; 8. – ეპიდერმისის თითისტარარომბისებური უჯრედი; 9. – ტრიქომის ფუძის უჯრედები; 10. – ბაგის მკეტავი უჯრედები; 11. – ბაგის სატელიტი უჯრედები



სურათი 3.2. *S. caucasicum*-ის ღეროსანატომიური აგებულების თავისებურებანი.

A. – ღეროს ტექსტურის პანორამა; B,C. – გამონაზარდები; D. – მფარავი, საასი-მილაციო და მექანიკური ქსოვილი; E. – შერეული ტიპის კოლენქიმა; F,G. – გამტარი სისტემის ფრაგმენტები

1. – ეპიდერმისი; 2. – ბუსუსები; 3. – ბაგე; 4. – ქლორენქიმა; 5. – კოლენქიმა; 6. – ქერქის პარენქიმა; 7. – კამბიუმი; 8. – სკლერიფიცირებული მერქნის პარენქიმა; 9. – ლაფანი; 10. – მერქანის რგოლური; და 11. – რგოლურ-სპირალური ჭურჭლები



სურათი 3.3. *S. grandiflorum*-ის ღეროს ანატომიური აგებულების თავისებურებანი.

A. – ღეროს ტექსტურის პანორამა; B. – ღეროს განივი განაკვეთის ნაწილი მფარავი ქსოვილიდან გულგულამდე; C. – ტრიქომები ღეროს მფარავ ქსოვილზე; D. – ქერქის პარენქიმის და ცენტრალური ცილინდრის ტექსტურის ფრაგმენტი; E. – ცენტრალური გულგულის პარენქიმული ქსოვილი

1. – ღეროს წახნაგი; 2. – კონუსური ფორმის ბუსუსები; 3. – ეპიდერმისი; 4. – ქლორენქიმის ქსოვილი; 5. – ქერქის პარენქიმა; 6. – ენდოდერმის უჯრედები; 7. – ლაფანი; 8. – კამბიუმი; 9. – მერქნის გარსგასქელებული პარენქიმის ცილინდრი; 10. – მერქნის რგოლური და 11. – ბადისებური ჭურჭლები; 12. – გულგულის პარენქიმა; 13. – პიგმენტირებული ვაკუოლი გულგულის პარენქიმუს უჯრედში

დასკვნა III თავისთვის:

დამუშავებულია და მეთოდოლოგიურად დასაბუთებულია ლაშქარას ზოგიერთი სახეობის *Symphytum asperum* Lep., *Symphytum caucasicum* M.Bieb და *Symphytum grandiflorum* D.C. -ის მორფოლოგიური და ანატომიური აგებულების თავისებურებანი. მოცემულია პდფგმ-ის მისაღებად გამოყენებული სანედლეულე ორგანოს – ღეროს მოკროსტრუქტურული სადიაგნოსტოკო მახასიათებლები, რომლის გათვალისწინებით ფარმაკოგნოსტურ ანალიზში უფრო სარწმუნო ხდება ნედლეულის ნამდვილობის დადგენა.

თავი IV. *Symphytum grandiflorum* D.C.- ისღეროების მაღალმოლეკულური ნარტების შესწავლა



Symphytum grandiflorum D.C.

სურ. 4.1. თეტრყვავილა ლაშქარა (*S.grandiflorum* D.C.)

სადისეტაციო ნაშრომში მიზნად დავისახეტ ქართული ენდემის, თეტრყვავილა ლაშქარას (*S.grandiflorum*)(სურ.4.1) ღეროების მაღალმოლეკულური ნარტების შესწავლა. მანამდე შესწავლილი იყო *S.asperum*-ის, *S.caucasicum* -ის, *S.officinale*-ის და *Anchusa italica*-ს მაღალმოლეკულური ნაერთები და აღმოჩენილი იყო ბიოლოგიურად აქტიური უჩვეულო პოლიმერი პოლი[3-(3,4-დიჰიდროქსიფენილ)-გლიცერინისმჟავა] (პდფგმ) (96,100,103,105).

ქიმიური კვლევებისათვის ქართული ენდემის თეტრყვავილა ლაშქარას (*S. grandiflorum*) მიწისზედა ნაწილების საკვლევი ნიმუში ავიღეთ სოფელ დანისპარაულში, ხულოს რაიონი, 20.06.2014 წ. დავაქუცმაცეთ წისქვილშიდა ჩავატარეთ დაქუცმაცებული (ნაწილაკების ზომა 1 მმ) მცენარეული მასალის ფორექსტრაქცია სოქსლეტის აპარატში ქლოროფორმით და მეთა-ნოლით ლიპიდების, პიგმენტების და დაბალმოლეკულური ნივთიერებების მოსაშორებლად. მოვახდინეთ ამგვარად დამუშავებული 80 გნედლეულის ცხელი წყლით სამჯერადი ექსტრაქცია (ჰიდრომოდული 1:15). ექსტრაქციის ხანგრძლივობა შეადგენს 1, 2 და 3 სთ, შესაბამისად.


ყოველი ექსტრაქციის შემდეგ ვატარებდით ცენტრიფუგირებას წყალხსნარიდან მყარი მასალის მოსაშორებლად და შროტის განმეორებად ექსტრაქციას. გაერთიანებულ ექსტრაქტებს ვაკონცენტრირებდით ვაკუუმში როტაციულ ამორთქლებელზე და ვატარებდით დიალიზს ერთი კვირის განმავლობაში ცელოფანის ნახევრად გამტარპარკებში დისტილირებული წყლის მიმართ სპეციალურ ჭურჭლებში ყოველდღე წყლის გამოცვლით.

შემდეგ ცელოფანის პარკების შიგთავსს კვლავ ვაცენტრიფუგირებდით, სუპერ-ნატანტს ვფილტრავდით ბიუნხერის ძაბრზე ბუნხენის კოლბაში და გაერთიანებულ ექსტრაქტებს ვაკონცენტრირებდით, ვანაწილებდით 1 ლ-იან მრგვალძირიან კოლბებში, ვყინავდით მაცივარში -18°C-ზე და ვაშრობდით ლიოფილურად გაიშვიათების პირობებში ლიოფილურ საშრობ აპარატზე (VaCo 2, Zirbus technology, გერმანია). მივიღეთ 20,69გ პოლისაქარიდების ჯამი, გამოსავალი 25,86%.


ჩავატარეთ *S.grandiflorum*-ის პოლისაქარიდების ჯამის 4,5 გ-ის ფრაქციონირება ულტრაფილტრაციის მეთოდით (ულტრაფილტრაციის კამერა მოდელი 8200, Millipore) აზოტის წნევის ქვეშ (3 ატმ.) მემბრანულ ფილტრზე, (Biomax PBVK, პოლიეთერ-სულფონი, ფორების ზომა 500 000 NMWL (500 kDa), 63.5 მმ, Millipore). მივიღეთ 585 მგ მაღალმოლეკულური (>500kDa) ფრაქცია, გამოსავალი 13% პოლისაქარიდების ჯამის მიმართ.

გადავიღეთ *S.grandiflorum*-ის მაღალმოლეკულური (>500kDa) ფრაქციის ულტრაისფერი (უი) და ინფრაწითელი (იწ) სპექტრები (სურ.4.2 და 4.3).

S.grandiflorum-ის ღეროების მაღალმოლეკულური (>500kDa) ფრაქციის უი სპექტრის პროფილი და შთანთქმის მაქსიმუმი 286 ნმ-ზე დამახასიათებელია Boraginaceae-ს ოჯახის *Symphytum*-ს გვარის სხვა სახეობებიდან: ხაოიანი ლაშქარადან (*S.asperum*), კავკასიური ლაშქარადან (*S.caucasicum*) და სამკურნალო ლაშქარადან (*S.officinale*) ადრე პირველად გამოყოფილი და შესწავლილი მაღალმოლეკულური კოფეინის მჟავას წარმოებულის მარტივი პოლიეთერისათვის, კერძოდ, პოლი[3-(3,4-დიჰიდროქსიფენილ)გლიცერინის მჟავასათვის] (პდფგმ)-თვის.



სურ.4.2. *S.grandiflorum*-ის ღეროების მაღალმოლეკულური (>500kDa) ფრაქციის უი სპექტრი.



სურ.4.3. *S.grandiflorum*-ის ღეროების მაღალმოლეკულური (>500kDa) ფრაქციის იწ სპექტრი.

S.grandiflorum-ის ღეროების მაღალმოლეკულური (>500kDa) ფრაქციის იწ სპექტრის შთანთქმის ზოლები ასევე ემთხვევა ხაოიანი, კავკასიური და სამკურნალო ლაშქარადან გამოყოფილი პდფგმ-ის იწ სპექტრისთვის დამახასიათებელ შთანთქმის ზოლებს. კერძოდ, იგი შეიცავს შემდეგ პიკებს (სმ⁻¹):3415(OH); 2928 (CH); 1729 (COOCH₃), 1604(იონიზირებული კარბოქსილი, COO⁻); 1511, 1445 (არომატული C=C ბმები), 1409, 1218 (ფენოლური ბირთვები), 1266, 1122, 1076, 1047 (მარტივ ეთერული ბმები, R-O-R'), 869 (C-H,არომატულ ბირთვშიერთი იზოლირებული წყალბადის ატომი) და820 (C-H, არომატულ ბირთვში ორი მეზობელი წყალბადის ატომი).

ჩავატარეთ *S.grandiflorum*-ის პოლისაქარიდების ჯამის და მაღალმოლეკულური (>500kDa) ფრაქციის სრული მჟავური ჰიდროლიზი. ჰიდროლიზის შედეგად მიღებული მონომერული შემადგენლობა მოყვანილია N4.1 ცხრილში.

ცხრილი N4.1

S.grandiflorum-ის პოლისაქარიდების ჯამის და მაღალმოლეკულური (>500kDa) ფრაქციის სრული მჟავური ჰიდროლიზის შედეგად მიღებული მონომერული შემადგენლობა

ნიმუშის დასახელება	არაბინოზა	გალაქტოზა	გლუკოზა	ქსილოზა	გალაქტურონის მჟავა	რამნოზა
პოლისაქარიდებისჯამი	+++	++	++	+	+	-
მაღალმოლეკულური (>500 kDa) ფრაქცია	+++	+++	++	+	-	-


S.grandiflorum-ის პოლისაქარიდების ჯამში და მაღალმოლეკულურ (>500kDa) ფრაქციაში ფრუქტოზა, გალაქტრონის მჟავა და გლუკოზა რაოდენობრივად განსაზღვრეთ სპექტროფოტომეტრული მეთოდით. კერძოთ ფრუქტოზის განსაზღვრისათვის ვიყენებდით რეაქციას რეზორცინისა და მარილმჟავას რეაგენტთან(86,1-55).გალაქტრონის მჟავას განსაზღვრისათვის – რეაქციას მ-ჰიდროქსიდიფენილის რეაგენტთან; ხოლო გლუკოზას ვსაზღვრავდით – გლუკოზოქსიდაზური მეთოდით.

S.grandiflorum-ის პოლისაქარიდების ჯამში: ფრუქტოზის რაოდენობა შეადგენდა -50,95%, გალაქტრონის მჟავა-11,5% და გლუკოზა-3,06%.

S.grandiflorum-ის მაღალმოლეკულურ (>500kDa) ფრაქციაში: ფრუქტოზის რაოდენობა შეადგენდა – 9%, გალაქტრონის მჟავა- 0% და გლუკოზა- 10,8%.-ს.


¹Hზმრ სპექტრის ანალიზისთვის გამოყენებულ იქნა საკვლევი ნაერთის 1%-იანი ხსნარი. გაზომვა ჩატარდა Varian AS 400 MercuryPlus NMR (400 MHz) ინსტრუმენტით. გაზომვის ტემპერატურა შეადგენდა 80°C-ს. წყლის სიგნალის დათრგუნვა განხორციელდა “WATERGATE,Excitation Sculpting” სქემით. COSY სპექტრის გადაღება განხორციელდა იმავე ინსტრუმენტზე, ანალოგიურ პირობებში gradient-selected COSY (gCOSY) იმპულსური მიმდინარეობის გამოყენებით.

¹H ბირთვულ-მაგნიტური რეზონანსის (ზმრ) სპექტრში (სურ. 4.4) სიგნალი ქიმიური ძვრადობით 3.8 მ.ნ. მიეკუთვნება მეთოქსილის ჯგუფს. სიგნალები 4.8 მ.ნ. და 5.25 მ.ნ. (H-1) მიეკუთვნება ჟანგბადის ატომთან ბმულ ორ ალიფატურ ნახშირბადის ატომებთან დაკავშირებულ ორ წყალბადის ატომს. 7.0 მ.ნ. (H-5'', H-6'') და 7.2 მ.ნ.(H-2'') სიგნალები მიეკუთვნება არომატული ბირთვის წყალბად ატომებს.




სურ. 4.4. პდფგმ-*Symphytum grandiflorum*-ის ¹H ზმრ სპექტრი.

gCOSY სპექტრი (სურათი 4.5) გვიჩვენებს 4.84მნ და 5.34 მნ სიგნალების გადაკვეთის პიკებს ,რომელიც შეესაბამება პდფგმ-ის H-1 და H-2-ის კორელაციას.




სურ. 4.5. პდფგმ-*S. grandiflorum*-ის gCOSY სპექტრი.

პდფგმ-ის 2D ჰეტერობირთვული ¹H/¹³C gHSQCED სპექტრი გვიჩვენებს შემდეგ კორელაციას პროტონებსა და ნახშირბადატომებს შორის 4.2/56 მნ, რაც ადასტურებს მეთოქსი ჯგუფის არსებობას კარბონმჟავის მეთილის ესთერში. (სურ 4.6, 4.7) ამ სპექტრზე ასევე მოცემულია ¹³C 75 მნ და ¹H 5.4 მნ და 82 მნ¹³C და 4.84მნ ¹H-ს გადაკვეთის პიკები, რომლებიც მიეკუთვნება პდფგმ-(*S. grandiflorum*) CH-1-ს და CH-2-ს , შესაბამისად საჭიროა აღინიშნოს , რომ სურ 4.7-ზე ასევე ნაჩვენებია ნარჩენი შაქრების სიგნალები.




სურ. 4.6 პდფგმ-*S. grandiflorum*-ის gHSQC სპექტრი



სურ. 4.7. პდფგმ- *S.grandiflorum*-ის gHSQC სპექტრი


ამგვარად, იწ, ¹H ბმრ, COSY, gHSQC სპექტრების მონაცემების საფუძველზე *S.grandiflorum*-ის მაღალმოლეკულურ (>500kDa) ფრაქციაში დეტექტირებული იქნა პოლიმერი, რომელიც არის წყალში ხსნადი კოფეინის მჟავას წარმოებულის რეგულარული პოლიეთერი, კერძოდ პოლი[3-(3,4-დიჰიდროქსიფენილ)გლიცერი-ნის-მჟავა](პდფგმ), რომლის განმეორებადი რგოლია 3-(3,4-დიჰიდროქსიფენილ)-გლიცერინის მჟავას ნაშთი (სურათი 4.8 B).



სურათი 4.8. *S. asperum*-ის, *S. caucasicum*-ის და *S. officinale*-ის პოლი[3-(3,4-დიჰიდროქსიფენილ)გლიცერინის მჟავას] (პდფგმ) (A) და პდფგმ-ის განმეორებადი რგოლი – 3-(3,4-დიჰიდროქსიფენილ)გლიცერინის მჟავას ნაშთი (B).

კოფეინის მჟავას წარმოებულის პოლიმერი, კერძოდ პდფგმ განვსაზღვრეთ სპექტროფოტომეტრული მეთოდით. საკალიბრო მრუდის ასაგებად სტანდარტად 66

გამოვიყენეთ *S.asperum*-ის ფესვებიდან გამოყოფილი მაღალმოლეკულური (> 1000 kDa) ფრაქცია, რომელშიც პდფგმ-ის რაოდენობა არის 68,25%. (სურ. 4.9)



სურ. 4.9. *S.asperum*-ის ფესვების მაღალმოლეკულური ფრაქციის (>1000 kDa) პდფგმ-ის 68,25% შემცველობით საკალიბრო მრუდი.

S.grandiflorum-ის პოლისაქარიდების ჯამში: პდფგმ-ის რაოდენობა შეადგენდა 18,4%, ხოლო *S.grandiflorum*-ის მაღალმოლეკულურ (>500kDa) ფრაქციაში-პდფგმ-65%-ს.

დასკვნები IV თავისათვის:


ფიზიკურ-ქიმიური მეთოდების (იწ, ¹H ბმრ, COSY, gHSQC სპექტრები) გამოყენებით დადგენილია თეთრყვავილა ლაშქარას ღეროებიდან გამოყოფილი სუბსტანციის იდენტობა მაღალმოლეკულურ ფენოლურ ბიოპოლიმერთან – პდფგმ-თან.

თავი V. *Symphytum asperum* Lep.-დან პოლი[3-(3,4-დიჰიდროქსიფენილ)გლიცერინის მჟავას] სუბსტანციის მიღების ტექნოლოგიის გაუმჯობესება

ჭრილობის შემახორცებელ და დამწვრობის სამკურნალო მზა წამალთფორმებში მოქმედი ნივთიერების სახით გამოყენებულია პდფგმ. ამიტომაც კვლევის ამ ეტაპის ამოცანას წარმოადგენდა ხაოიანი ლაშქარას ღეროებიდან ბიოლოგიურად აქტიური პოლი[3-(3,4-დიჰიდროქსიფენილ)გლიცერინისმჟავას] (პდფგმ-ის) სუბსტანციის მიღების ტექნოლოგიის დამუშავება.

კვლევის ობიექტად გამოყენებული იყო ხაოიანი ლაშქარას (*S.asperum*), ღეროები, რომლებიც შეგროვდა 2012 წლის ივნისში სოფელ დანისპარაულში, ხულოს რაიონი, მცენარის ყვავილობის პერიოდში.

ხაოიანი ლაშქარას ღეროებიდან პდფგმ-ის მიღების მოწოდებული ტექნოლოგია ითვალისწინებს ფორექსტრაქციას ჰეპატოტოქსიკური – პიროლიზიდინის ალკალოიდებისაგან გათავისუფლების მიზნით. კვლევის ამ ეტაპის მიზანს წარმოადგენდა პდფგმ-ის მიღების ტექნოლოგიური პროცესის სრულყოფა, კერძოდ: გათხევადებული აირებით პიროლიზიდინის ალკალოიდების ექსტრაქცია და პდფგმ-ის ექსტრაქციის ოპტიმალური პირობების დადგენა. გათხევადებული აირებით ხაოიანი ლაშქარას ღეროებიდან პიროლიზიდინის ალკალოიდების ექსტრაქცია ვაწარმოეთ შემდეგ ტექნოლოგიურ რეჟიმში: 1) ნედლეულის ნაწილაკების ზომა 3-5მმ; 2) ექსტრაქციის ტემპერატურა – 20-25°C; 3) ალკალოიდების ექსტრაქციის ჯერადობა განისაზღვრებოდა პიროლიზიდინის ალკალოიდების იდენტიფიკაციით, ქრომატოგრაფიული მეთოდის გამოყენებით. გათხევადებული აირით ექსტრაქცია განხორციელდა შესაბამის აპარტურაზე (სურ.5.1).




სურ. 5.1. გათხევადებული აირით გამოწვლილვის აპარატული სქემა.

დაწვრილმანებულ ნედლეულს ვაკუუმის საშუალებით ტვირთავდნენ ექსტრაქტორში (1). ექსტრაქტორებიდან და ამორთქლებლიდან ჰაერს გამოდევნიან ვაკუუმირებით და ბალონიდან (2) ავსებენ ქლადონით. წნევების გათანაბრების მიღწევის შემდეგ ექსტრაქტორებში (1) ნედლეულს მიაწოდებენ გათხევადებულ ქლადონს მაღალი წნევის ქვეშ მყოფი საცავიდან (3). გამხსნელი შედის ნედლეულის ფენებს შორის, გამოწვლილავს ხსნად კომპონენტებს და ფილტრის (5) გავლით გადადის ამორთქლებელში (6). ამორთქლებელში ექსტრაქტი ცხელდება. გამხსნელის ორთქლი შორდება და წნევის სხვაობის ხარჯზე მიეწოდება კონდენსატორს (7), რომელიც ცივდება მაცივრით (8), სადაც კონდენსირდება და გამხსნელი ბრუნდება მაღალი წნევის საცავში (3). ექსტრაგირების პროცესი მიმდინარეობს სამუშაო წნევაზე 10-65 ატმ და 22°C ტემპერატურაზე.

შევისწავლეთ ხაოიანი ლაშქარას ღეროებში, გათხევადებული აირით (ქლადონი) ექსტრაქციის შემდეგ მიღებულ ზეთში და დარჩენილ მცენარეულ მასალაში პიროლიზიდინის ალკალოიდების არსებობა (124). ამისათვის შევარჩიეთ თხელფენოვანი ქრომატოგრაფიის მეთოდი (თფქ) სილუფოლ-254 ფირფიტებზე, როგორც იაფი, სწრაფი, მარტივი და მგრძობიარე მეთოდი. აღნიშნული მეთოდით თფქ ფირფიტაზე წყალბადის ზეჟანგის რეაქტივის შესხურებით და გაცხელებით პიროლიზიდინის ალკალოიდები გარდაიქმნება N-ოქსიდებად, ხოლო ძმარმჟავა ანჰიდრიდის შესხურება და გაცხელება N-ოქსიდებს გარდაქმნის პიროლებად, რომლებიც ერლიხის რეაქტივის (4-დიმეთილამინობენზალდეჰიდი) შესხურებით იძლევა მოლურჯო-იასამნისფერ ან მოვარდისფრო-იასამნისფერ ლაქებს. ერლიხის რეაქტივი მნიშვნელოვნად აუმჯობესებს დეტექტირების მგრძობიარობას, რომლის დეტექტირების მინიმუმი არის 0.1 მკგ-ზე ნაკლები.

თფქ პროცედურა. სილიკაგელის თხელფენოვან ქრომატოგრაფიულ ფირფიტაზე (Silufol-254 UV; Czech Republic) შევიტანეთ პიროლიზიდინის ალკალოიდების მეთანოლიანი ექსტრაქტი, ქრომატოგრაფიულ სისტემად გამოყენებული იყო: ქლოროფორმი – მეთანოლი – 25% ამიაკი (85:14:1 მოც.). ფირფიტებს ვაშრობდით ჰაერზე, ვასხურებდით წყალბადის ზეჟანგის რეაქტივს და ვაცხელებდით 90-100°C 15 წთ-ის განმავლობაში. ფირფიტებს გაცივების შემდეგ ვასხურებდით ძმარმჟავა ანჰიდრიდის რეაქტივს და ვაცხელებდით 15 წთ-ის განმავლობაში. ზოგიერთი ალკალოიდი მჟღავნდებოდა სუსტი მოყავისფრო ლაქების სახით. პიროლიზიდინის ალკალოიდები ფლოუორესცირებენ ჰემისკოპში ულტრაიისფერი დასხივებისას. მაგრამ დეტექტირების განსაკუთრებული მგრძობიარობა მიიღწეოდა ერლიხის რეაგენტის შესხურებისას და შემდგომი გაცხელებით 5-15 წთ.

პიროლიზიდინის ალკალოიდებისათვის დამახასიათებელია ფირფიტის მოყვითალო ფონზე იასამნისფერი ლაქები.



სურ. 5.2. პიროლიზიდინის ალკალოიდების დეტექტირების შედეგები ექსტრაქციის საწყის (I) და საბოლოო (II) ეტაპებზე. PAs -ალკალოიდების ლაქები; ა – ფესვი, ბ – ღერო, გ – ფოთოლი

მასალები და რეაგენტები თფქ ფირფიტაზე დეტექტირებისათვის:

ა) წყალბადის ზეჟანგის რეაქტივი. 100მლ30%-იანიწყალბადის ზეჟანგის ხსნარი, რომლის 1 მლ შეიცავს 2-4 მგნატრიუმის პიროფოსფატს;

ბ) ძმარმჟავა ანჰიდრიდის რეაქტივი. ძმარმჟავა ანჰიდრიდი, პეტროლეინის ეთერი (დუღილის ტემპერატურა 80 – 100°C) და ბენზოლი, 1:4:5 (მოც.);

გ) ერლიხის რეაგენტი. ქრომატოგრაფიული ფირფიტების გასამჟღავნებლად გამოყენებული იყო ერლიხის რეაგენტი – 1 გ დიმეთილამინობენზალდეჰიდი 70 მლ აბსოლუტურ ეთანოლში, 30 მლ კარბიტოლი (დიეთილენგლიკოლის მონოეთილეთერი), 1,5 მლ კონცენტრირებული მარილმჟავა.

მიღებული მონაცემების თანახმად, ხაოიანი ლაშქარას გათხევადებული აირებით ათჯერადი ექსტრაქციის ციკლის შემთხვევაში მიიღწევა ლიპოფილური ფრაქციის მაქსიმალური გამოსავალი, ამასთან მიიღწევა მცენარეული ნედლეულის პიროლიზიდინის ალკალოიდებისაგან მაქსიმალური გათავისუფლება.

ფიტოპრეპარატების მისაღებად ერთ-ერთ მნიშვნელოვან სტადიას წარმოადგენს მცენარეული ნედლეულის ექსტრაქცია. იმისათვის, რომ მოხდეს მოქმედი ნივთიერებების


სწრაფი და მაქსიმალური გადასვლა გამონაწვლილში საჭიროა შესწავლილი იქნას სხვადასხვა ფაქტორების გავლენა ექსტრაქციის პროცესზე.

ნედლეულიდან პდფგმ-ის გამოწვლილვის ოპტიმალური პირობების დასადგენად ვიყენებდით ხაოიანი ლაშქარას ღეროებს, რომლებსაც მოშორებული ჰქონდა პიროლიზიდინის ალკალოიდები. პდფგმ-ის ჰიდროფილური ხასიათიდან გამომდინარე ექსტრაგენტად ვიყენებდით წყალს. შესწავლილი იყო ნედლეულისა და ექსტრაგენტის თანაფარდობა პდფგმ-ის გამოსავალზე.

ხაოიანი ლაშქარას ღეროებიდან აქტიური ნივთიერების გამოყოფისას მნიშვნელოვანია ასევე ტემპერატურული რეჟიმი. პდფგმ არ მიეკუთვნება თერმოლაბილურ ნივთიერებებს, ამიტომ შესწავლილი იყო მისი გამოწვლილვის დინამიკატემპერატურაზე დამოკიდებულებაში.

პდფგმ-ის რაოდენობრივი განსაზღვრისათვის ნედლეულში და გამონაწვლილში გამოვიყენეთ სპექტროფოტომეტრული მეთოდი.


ექსტრაქციის ხანგრძლივობა მდულარე წყლის აბაზანაზე უკუმაცივრის გამოყენებით შეადგენდა 3სთ-ს. მიღებული სტატისტიკურად დამუშავებული შედეგები ასახულია 5.3 სურათზე.



სურ. 5.3. ნედლეულისა და ექსტრაგენტის თანაფარდობის და ტემპერატურული რეჟიმის გავლენის შედეგები პდფგმ-ის გამოსავალზე.

სურათი 5.3-დან ჩანს, რომ ნედლეულისა და ექსტრაგენტის ოპტიმალური თანაფარდობა შეადგენს 1:15, ექსტრაქციის ოპტიმალური ტემპერატურა კი 90° C–ს.


სისტემაში ნედლეული-ექსტრაგენტი წონასწორული კონცენტრაციის დროის დადგენა განსაზღვრული იყო ხაოიანი ლაშქარას ღეროების ექსტრაქციის დინამიკის დადგენით. სტატისტიკურად დამუშავებული შედეგები ასახულია 5.4 სურათზე.



სურ. 5.4. პდფგმ-ის გამოსავალზე ექსტრაქციის ჯერადობის გავლენის შესწავლის შედეგები.

როგორც სურათი 5.4-დან ჩანს ხაოიანი ლაშქარას ღეროებიდან პდფგმ-ის გამოწვლილვის დროს წონასწორული მდგომარეობა ფაზათა პირველი კონტაქტისას მყარდება 90 წთ-ში, ხოლო მეორე კონტაქტისას 60 წთ-ში. აქედან გამომდინარე პდფგმ-ის მაქსიმალური გამოწვლილვისათვის საჭიროა ორჯერადი ექსტრაქცია 90-60 წთ-ის განმავლობაში.


პდფგმ-ის ექსტრაქციის ოპტიმალური პირობების დადგენის მიზნით შევისწავლეთ აგრეთვე ექსტრაქციის ხერხის გავლენა მცენარეული ნედლეულიდან პდფგმ-ის გამოსავლიანობაზე. შედეგები ასახულია N5.5 სურათზე.



სურ.5.5. ექსტრაქციის ხერხის გავლენის შესწავლის შედეგები მცენარეული ნედლეულიდან პდფგმ-ის გამოსავლიანობაზე.

მოყვანილი მონაცემები (სურ. 5.5.) მეტყველებს ცხელი წესით (შერევით) აშკარა უპირატესობაზე.


კვლევის შემდგომ ეტაპზე მიღებული გამონაწვლილიდან პდფგმ-ის გამოსაყოფად გამოვიყენეთ ულტრაფილტრაციული მემბრანები I(პოლისულფონი, ფორების დიამეტრი 800-900Å) და II (პოლიოქსიდიანოლი, ფორების დიამეტრი 300-400 Å) ულტრაფილტრაციის მიმდინარეობისას 1 მემბრანაზე 800მგ. პოლისაქარიდის ჯამური პრეპარატიდან მიღებულ იქნა 176 მგ. (გამოსავალი 22%), ხოლო მე-2 მემბრანაზე ჰგრ. ჯამური პრეპარატიდან- 233მგ. (გამოსავალი 7,7%) პდფგმ-ით გამდიდრებული ფრაქცია (სურ. 5.6.).ბალასტური ნითიერების რაოდენობამ ფილტრატში შესაბამისად 1 და მე-2 მემბრანისათვის შეადგინა 425 მგ და 1,8გ. ულტრაიისფერ (უი) სპექტრში შთანთქმის პიკები, რომელიც დამახასიათებელია პდფგმ-თვის არ შეინიშნება, რაც მოწმობს ორივე ტიპის მემბრანების გამოყენების შესაძლებლობას პდფგმ-ით გამდიდრებული ფრაქციის მისაღებად.



სურ. 5.6. პდფგმ-ით გამდიდრებული ფრაქციის სპექტრები 1 და 2 მემბრანების გამოყენებით ფილტრაციის შემდეგ.

ორივე შემთხვევაში ნათლად არის გამოსახული პდფგმ-თვის დამახასიათებელი პიკები, λ 286 ნმ. გამდიდრებული ფრაქციის ლიოფილური შრობის შემდეგ მიღებულ იქნა მუქი ყავისფერი წვრილკრისტალური ფხვნილი- პდფგმ-ის სუბსტანცია.

ჩატარებული ექსპერიმენტები საფუძვლად დაედო პდფგმ-ის სუბსტანციის მიღების ტექნოლოგიურ სქემას (სურ. 5.7.).



სურ. 5.7. პდფგმ-ის სუბსტანციის მიღების ტექნოლოგიური სქემა.

5.1. *Symphytum asperum*-დან პოლი[3-(3,4-დიჰიდროქსიფენილ) გლიცერინის მჟავას]სუბსტანციის მიღება ნახევრადსაწარმოო პირობებში

ხაოიანი ლაშქარას (*Symphytum asperum*) მიწისზედა ნაწილები აღებული იქნა 2012 წლის ივნისისა და ივლისის თვეებში შესაბამისად შუახევისა და ხულოს რაიონებში. ნიმუშების ზედაპირული მიკროტექნიკური დათვალიერებისას დაფიქსირდა შესაძარებელი ობიექტების და საჭერბარიუმო ნიმუშების იდენტურობა. 10 კგ ჰაერ-მშრალი და დაქუცმაცებული მცენარის ღეროებიდან აქტიური სუბსტანციის მიღება განხორციელდა შპს „ნეოფარში“ შემდეგი თანმიმდევრობით:

1. მცენარეული ნედლეულიდან ლიპოფილური ბუნების, მათ შორის პიროლიზიდინის ალკალოიდების ექსტრაქცია ვაწარმოეთ SFE-რეაქტორში გათხევადებული აირების (ქლადონი) გამოყენებით;

2. მცენარეული ნედლეულიდან ჰიდროფილური ბუნების ნივთიერებების ექსტრაქციის მიზნით გამოყენებული იყო შერჩეული ოპტიმალური პირობები: სისტემაში “მყარი-სითხე” ორჯერადი ექსტრაქცია ცხელი წესით(წყლით)(900C) განხორციელდა რეაქტორში მექანიკური მორევით, ჰიდრომოდული 1:15, დუდილის დრო 1,5სთ და 1.0სთ, შესაბამისად;

3. გამონაწვლილიდან აქტიური სუბსტანციის გამოყოფისათვის გამოყენებული იქნა ულტრაფილტრაცია მემბრანულ ფილტრებზე (ფორების ზომა 800-900 ანგსტრემი, დაახლოებით 80-90 ნმ, ანუ 368-414kDa).


სუბსტანციის – ფენოლური პოლიმერის – პდფგმ-ის სტანდარტიზაცია

აღწერილობა: მუქი-ყავისფერი ამორფული ჰიგროსკოპული ფხვნილი, ბოჭკოვანი სტრუქტურის, წყალში კარგად ხსნადი.

იგივეობა: სპექტროფოტომეტრულიმეთოდი 286 ნმ ტალღაზე, პოლი[3-(3,4-დიჰიდროქსიფენილ)გლიცერინის მჟავა] (პდფგმ)-ის რაოდენობრივი ანალიზის მეთოდიდან გამომდინარე.

რაოდენობრივი განსაზღვრა: ფენოლური პოლიმერის პოლი-[3-(3,4-დიჰიდროქსიფენილ)გლიცერინისმჟავას] – (პდფგმ)-ის რაოდენობრივი შემცველობა განისაზღვრა სპექტროფოტომეტრული მეთოდით. განსაზღვრა ჩატარდა სპექტროფოტომეტრზე

OPTIZEN, სპექტრის ულტრაიისფერ უბანში $\lambda=286$ ნმ ტალღაზე. საკალიბრო გრაფიკის გამოყენებით. სტანდარტი- *S. aserum*-ის ფესვების მაღალმოლეკულური ფრაქცია >1000 kDa პდფგმ-ის 68,25% შემცველობით. სტანდარტული ხსნარის კონცენტრაცია 5 მგ/მლ; სტანდარტული ნიმუშის წყალში გაძნელებული ხსნადობის გამო, სტანდარტული და საანალიზო ხსნარები მომზადდა 1% SDS-ში (sodium dodecyl sulfate), საკალიბრო მრუდისთვის შერჩეული იქნა სტანდარტული ნიმუშის შემდეგი საანალიზო რაოდენობები: 0,02 მგ/მლ (20მკგ)- ოპტიკური სიმკვრივე (OD) 0,278; 0,041 მგ/მლ (41მკგ) (OD 0,543); 0,082მგ/მლ (82მკგ) (OD 1,055). (სურ. 5.8).



სურ. 5.8. *S. asperum* ფესვების მაღალმოლეკულური ფრაქციის >1000 kDa (პდფგმ-ის 68,25% შემცველობით) საკალიბრო მრუდი.

პდფგმ-ის შემცველობა საანალიზო ნიმუშში საშუალოდ შეადგენს 25%-ს.

ტენიანობა: ნიმუშის 1 გრამი (ზ.წ.) შრება მაშრობ კარადაში $(102,5 \pm 2,5)^\circ\text{C}$ ტემპურატურაზე, 5 სთ-ის განმავლობაში, აციებენ ექსიკატორში და წონიან. ტენიანობა არაუმეტეს 5%.

მძიმე ლითონები: ნიმუშის 1 გრამს ემატება 1მლ კონცენტრირებული გოგირდმჟავა, გამოწვის შემდეგ ნაშთს ამატებენ 5მლ ამონიუმის აცეტატის ნაჯერ ხსნარს გაცხელების ქვეშ. ფილტრავენ უნაცრო ფილტრში, რეცხავენ 5 მლ წყლით და ფილტრატის მოცულობა აყავთ 200მლ-მდე. მიღებული ხსნარის 10მლ უნდა უძლებდეს გამოცდას მძიმე ლითონებზე. დასაშვებია: არაუმეტეს 0,01% პრეპარატში.

სპეციფიკური მინარევი: ტოქსიკური პიროლიზიდინის ალკალოიდების შემცველობის განსაზღვრა ხდება თხელფენოვანი ქრომატოგრაფიის მეთოდით.

მასალები და რეაგენტები: ტოქსიკური პიროლიზიდინის ალკალოიდების დეტექტირებისთვის გამოყენებულია სილიკაგელის თხელფენოვანი ქრომატოგრაფიული ფირფიტა (Silufol-254 UV; Czech Republic), გამხსნელთა სისტემა: ქლოროფორმი – მეთანოლი – 25% ამიაკი (85:14:1 მოც.). ქრომატოგრაფიული ფირფიტების გასამჟღავნებლად გამოყენებულია ერლიხის რეაგენტი – 1გ დიმეთილამინობენზალდეჰიდი 70 მლ აბსოლუტურ ეთანოლში, 30 მლ კარბიტოლი (დიეთილენგლიკოლის მონოეთილე თერი), 1,5 მლ კონცენტრირებული მარილმჟავა.

პიროლიზიდინის ალკალოიდებისათვის დამახასიათებელია ფირფიტის მოყვითალო ფონზე იასამნისფერი ლაქები ერლიხის რეაგენტით შესხურებისას.

შენახვის პროცესში პდფგმ-ის სტაბილურობა განვსაზღვრეთ ხარისხის მაჩვენებლების: აღწერა, იგივეობა, რაოდენობრივი განსაზღვრა, ტენშემცველობა, მძიმე ლითონები, სპეციფიკური მინარევები, მიხედვით. ყველა ჩამოთვლილი პარამეტრი შენარჩუნდა 2 წლის განმავლობაში (ცხრილი N5.1)

ცხრილი 5.1

პდფგმ-ის სტაბილურობის შესწავლისა და ვარგისიანობის ვადების დადგენის შედეგები ბუნებრივ პირობებში(250C / 60% RH)

მახასიათებელი	ნორმა	საწყისი	3 თვე	6 თვე	12 თვე	18 თვე	24 თვე
აღწერა	მუქი-ყავისფერი ამორფული ჰიგროსკოპული ფხვნილი, ბოჭკოვანი სტრუქტურის, წყალში კარგად ხსნადი.	შეესაბ	შეესაბ	შეესაბ	შეესაბ	შეესაბ	შეესაბ
იგივეობა	სპექტროფოტომეტრული მეთოდი 286ნმ ტალღაზე	შეესაბ	შეესაბ	შეესაბ	შეესაბ	შეესაბ	შეესაბ
რაოდენობრივი განსაზღვრა	პდფგმ-ის შემცველობა არანაკლებ 20,0%	24,3%	24,5%	24,2%	24,1%	23,4%	22,5%
ტენშემცველობა	5,5 – 6,5	6,0	5,8	6,2	6,1	6,0	6,2
მძიმე ლითონები	არაუმეტეს 0,01%	შეესაბ	შეესაბ	შეესაბ	შეესაბ	შეესაბ	შეესაბ
სპეციფიკური მინარევი	–	–	–	–	–	–	–

დასკვნები V თავზე:

1. ტექნოლოგიური კვლევების საფუძველზე მოწოდებულია ხაოიანი ლაშქარას ღეროებიდან ჰეპატოტოქსიკური, პიროლიზიდინის ალკალოიდების ექსტრაქციის ეფექტური, რაციონალური და რენტაბელური ხერხი – ცირკულაციური ექსტრაქცია გათხევადებული აირების გამოყენებით. იგი უზრუნველყოფს დიდი რაოდენობით ორგანული გამხსნელების დანახარჯების გარეშე ნედლეულის მაქსიმალურ გამოფიტვას.

2. დადგენილია, რომ პდფგმ-ის ნახევრად საწარმოო ტექნოლოგიის მიღების სქემა მემბრანული ულტრაფილტარციის გამოყენებით თითქმის 2-ჯერ ზრდის საბოლოო პროდუქტის გამოსავალს ლაბორატორიულთან შედარებით (შესაბამისად 22% და 13%)

3. მოწოდებულია პიროლიზიდინის ალკალოიდებისაგან გათავისუფლებული ხაოიანი ლაშქარას ღეროებიდან პდფგმ-ის ექსტრაქციის ოპტიმალური პირობები. დადგენილია, რომ ოპტიმალური ექსტრაგენტია წყალი, ნედლეულისა და ექსტრაგენტის თანაფარდობა 1:15, ექსტრაქციის დრო 2,5სთ, პირველჯერადი –90წთ, მეორეჯერადი – 60წთ.

4. ხაოიანი ლაშქარას ღეროებიდან მოწოდებულია პდფგმ-ის მიღების ტექნოლოგიური სქემა, რომელიც აპრობირებულია შპს „ნეოფარმის“ ბაზაზე.

5. ჩვეულებრივ პირობებში შენახვისას პდფგმ სტაბილურობას ინარჩუნებს 2 წლის განმავლობაში.

თავი VI. პდფგმ-ის გელის რეცეპტურის განსაზღვრა და ტექნოლოგიის დამუშავება.

კანზე და ლორწოვან გარსზე გამოყენებულ სამკურნალწამლო საშუალებების ეფექტურობა მნიშვნელოვანწილად დამოკიდებულია სამკურნალწამლო ფორმაზე.

ჭრილობის დროს გამოყენებულ რბილ წამალთფორმებს შორის უპირატესობას გელებს ანიჭებენ. გელი ბლანტი კონსისტენციის მქონე რბილი წამლის ფორმაა, რომელსაც აქვს დრეკადობის და პლასტიკურობის უნარი. დისპერსიული სისტემების მიხედვით განასხვავებენ ჰიდროფილურ და ჰიდროფობურ გელებს. გელებისათვის დამახასიათებელია სტრუქტურის აღდგენა დარღვევის შემდეგ. გელში შეიძლება ჰიდროფილური ნივთიერების შეტანა და შესაძლებელია სუსპენზიური გელის მომზადება. ტიპიურ გელებს გააჩნიათ კოაგულაციური სტრუქტურა, ანუ დისპერსიული ფაზის ნაწილაკები, კონტაქტის ადგილებში, შეერთებულია მოლეკულათაშორის ურთიერთქმედების ძალებით (60,89125,148).

გელის ფუძე-მატარებლის შერჩევის მიზნით შევისწავლეთ ჰიდროფილური, ჰიდროფილურ-ლიპოფილური და ლიპოფილური ფუძეები. ისინი უზრუნველყოფენ გელის მსუბუქ წაცხებას, დატანას, არ იწვევენ კანის გაღიზიანებას და გამოიყენებიან გარეგანი გამოყენების რბილი წამალთფორმების წარმოებაში.

გელის ფუძეების ინგრედიენტთა თანაფარდობა შერჩეულია ლიტერატურის მონაცემების ანალიზის საფუძველზე (ცხრილი 6.1).

ცხრილი N6.1

პდფგმ-ის გელის კომპოზიციის შემადგენლობა

გელის კომპონენტის დასახელება	გელის კომპოზიციის ნომერი														
	1	2	3	4	5	6	7	8	9	10	11	12	13	14	15
პდფგმ	10,0														
აეროსილი			8,0										10,0		
მც		2,5				3,0									
Na-კმც					2,5							2,5			
კარბოპოლი 940	1,0									1,0					
ქსანტანის გომიზი											2,0				1,0
ნატრიუმის ალგინატი															2,0
თიხა ასკანე											10,0				
ვაზელინი				80,0											
პეო-400							65,0	30,0							
პეო-1500							15,0	30,0							
პეო-4000														60,0	

გლიცერინი					20,0	35,0		10,0				10,0		10,0	2,5
სელის ზეთი			81,4												
ტვინ-80											2,5				
კრემოფორი CO-40	3,0	2,0							2,5						
მონოგლიცერიდი დისტილირებული				9,4											
ნატრიუმის ჰიდროქსიდი	0,8								0,8						
ზეითუნის ზეთი										65,4			79,4		
სპერმაცეტი										15,0					
ყვითელი საწთელი										9,0					
დიმექსიდი	0,6	0,6	0,6	0,6	0,6	0,6	0,6	0,6	0,6	0,6	0,6	0,6	0,6	0,6	0,6
ნატრიუმის ბენზოატი	0,01 5	0,01 5			0,01 5	0,01 5	0,01 5	0,01 5	0,01 5		0,01 5	0,01 5		0,01 5	0,01 5
გასუფთავებული წყალი	100-მდე				100-მდე				100,0-მდე						
აგარის გელზე დიფუზიის დიამეტრი (სმ)	3,0	2,8	2,5	2,4	2,9	2,7	2,8	2,7	3,0	1,5	2,8	2,7	2,5	2,9	3,2

მოდელური გელები მოვამზადეთ შემადგენელი ინგრედიენტების თვისებების შესაბამისად. პდფგმ-ს ვხსნიდით წყალში. წყლიანი ხსნარი შეგვკონდა ჰიდროფილურ ფუძეში მორევით ან ვამზადებდით ემულსიურ გელს.

მიღებული შედეგები მოწმობენ ჰიდროფილური ფუძეების (N1,2,5,6,7,8,-9,11,12,14,15) უპირატესობაზე. აქედან აგარის გელზე დიფუზიით მაღალი შედეგებით გამოირჩევა N1,9 და 15 კომპოზიციები, რომლებზეც გაგრძელდა შემდგომი კვლევები.

კანის საფარველის ანთებითი პროცესების სამკურნალოდ არსებითი მნიშვნელობა აქვს გელის ოსმოსურ აქტივობას, რომელიც ხელს უწყობს ჭრილობის გასუფთავებას, ასრულებს რა „დრენაჟის“ ფუნქციას. ოსმოსური აქტივობა განვსაზღვრეთ დიალიზის მეთოდით ნახევრადგამტარი მემბრანის გამოყენებით. შთანთქმული წყლის რაოდენობა განვსაზღვრეთ გრავიმეტრულად და გამოვსახეთ პროცენტებში საწყის მასთან მიმართებაში (ცხრილი 6.2).

ცხრილი N6.2


პდფგმ-ის გელების ოსმოსური აქტივობის განსაზღვრის სტატისტიკურად დამუშავებული შედეგები

გელის კომპოზიცია	აბსორბირებული ხსნარი, %	აბსორბციის დრო, სთ
კონტროლი (ნატრიუმის ქლორიდის 10%-იანი ხსნარი)	20,1 ± 2,0	8

N1 კომპოზიცია	65,8 ± 2,6	8
N9 კომპოზიცია	71,2±3,4	8
N15 კომპოზიცია	180± 2,3	8

მოყვანილი მონაცემებიდან (ცხრილი N6.2) ირკვევა, რომ მადრენაჟირებელი აქტივობით გამოირჩევა N15 კომპოზიცია, რომლის მიერ აბსორბირებული წყლის რაოდენობა შეადგენს 180%-ს, რაც მეტყველებს გამოხატულ ოსმოსურ აქტივობაზე. სხვა კომპოზიციებისაგან განსხვავებით წყლის აბსორბცია ხდება თანაბრად მთელი პერიოდის განმავლობაში. N1 და 9 ობიექტებს გააჩნიათ თითქმის თანაბარი ოსმოსური აქტივობა.


შერჩეული კომპოზიციების (სხვადასხვა დამხმარე ნივთიერებებით) შედარებითი შეფასებისათვის შევისწავლეთ პდფგმ-ის გამოთავისუფლების ხარისხი ფრანსის დიფუზური უჯრედების გამოყენებით. მიღებული შედეგები ასახულია N6.1 სურათზე.



სურათი N6.1. პდფგმ-ის გელებიდან მოქმედი ნივთიერების გამოთავისუფლების ხარისხის განსაზღვრის შედეგები.

მოყვანილი მონაცემებიდან (სურ.6.1) ირკვევა, რომ ექსპოზიციის მთელი პერიოდის განმავლობაში პდფგმ მაქსიმალურად გამოთავისუფლდება N15 გელის კომპოზიციიდან (53,5%). N 1 და 9 კომპოზიციებიდან პრაქტიკულად მოქმედი ნივთიერების თანაბარი რაოდენობა თავისუფლდება: 49,9% (N1) და 50,1% (N9).

ჩატარებული ბიოფარმაცევტული კვლევების საფუძველზე საუკეთესო მაჩვენებლებით ექსპერიმენტის თითქმის ყველა სტადიაზე გამოირჩევა გელის კომპოზიცია N15, რომელიც დაექვემდებარა რეოლოგიური მეთოდებით კვლევას ვისკოზიმეტრზე SNB-2.



სურათი N6.2. პდფგმ-ის გელის რეოგრამა.

N6.2 სურათიდან ჩანს, რომ დამაბულობა თანაბრად იზრდება დეფორმაციის სიჩქარის ზრდასთან ერთად სიდიდემდე, რომელიც შეესაბამება სტრუქტურის სრულ რღვევას. გელის ტიქსოტროპული თვისება წარმოდგენილია ჰისტერეზისის მარყუჟის სახით, რომელიც წარმოქმნილია აღმავალი და დაღმავალი მრუდებით. დამაბულობის შემცირების პერიოდში გელის სიბლანტე კვლავ იზრდება, ამასთან არსებული სტრუქტურის აღდგენა იგვიანებს. ამრიგად, გელი წარმოადგენს ტიქსოტროპულ სისტემას, საკმარისად სტაბილურს და პლასტიკურს, რომელსაც აქვს კანზე წაცხების უნარი, გამოიღვენება ტუბიდან და ტექნოლოგიური ოპერაციების პროცესში უზრუნველყოფს სისტემის აუცილებელ სტაბილურობას.


ჩატარებული კვლევების საფუძველზე შერჩეულია გელის ოპტიმალური შემადგენლობა (ცხრილი N6.3).

ცხრილი N6.3

პდფგმ-ის გელის შემადგენლობა

კომპონენტის დასახელება	მასური წილი, %
პდფგმ	10,0
ნატრიუმის ალგინატი	2,0
ქსანტანის გომიზი	1,0
ნატრიუმის ბენზოატი	0,015
წყალი გასუფთავებული	100,0-მდე

ჩატარებული კვლევები საფუძვლად დაედო პდფგმ-ის გელის მომზადების ტექნოლოგიურ სქემას (სურათი N6.3).



სურათი N6.3. პდფგმ-ის გელის მომზადების ტექნოლოგიური სქემა.

ტექნოლოგიური სქემა შედგენილია ტრადიციულად. ის მოიცავს გელის ტექნოლოგიისათვის დამახასიათებელ ძირითად ეტაპებს. პდფგმ-ის ფუძეში შეტანის შემდეგ აუცილებელია ჰომოგენიზაცია. ტექნოლოგიური პროცესის სტადიები ხორციელდება ჩვეულებრივ რეჟიმში.

ქვემოთ მოყვანილია პდფგმ-ის გელის წარმოების ტექნოლოგიური პროცესის აღწერა.

დ.ს.1. საწყისი ნედლეულის, დამხმარე ნივთიერებების და მასალების მომზადება.

პდფგმ-ს, ნატრიუმის ალგინატს, ქსანტანის გომიუს და ნატრიუმის ბენზოატს ცრიან ვიბრაციულ საცერზე, წონიან ანალიზური სასწორით ($\pm 0,01$ გ). გამზომი კოლბით იღებენ გამოხდილ წყალს.

ტ.პ. 1. ნატრიუმის ალგინატის გელის მიღება.

ამზადებენ ნატრიუმის ალგინატის 2,0%-იან ხსნარს: გამოხდილ წყალში მოათავსებენ ნატრიუმის ალგინატს და აყოვნებენ 3 სთ-ის განმავლობაში. ცალკე ამზადებენ ქსანტანის და პდფგმ-ის ხსნარებს: ქსანტანის 2,0გ-ს ამატებენ 20 მლ გამოხდილ წყალს და აყოვნებენ 3 სთ-ის განმავლობაში; პდფგმ-ის 10,0გ-ს ხსნიან 50მლ გამოხდილ წყალში.

ნატრიუმის ალგინატის და ქსანტანის გაჯირჯვებულ ხსნარებს შეურევენ და ამატებენ ნატრიუმის ბენზოატს (მორევის პირობებში).

ტ.პ. 2. პდფგმ-ის შეტანა ნატრიუმის ალგინატის და ქსანტანის გელში.

პდფგმ-ის ხსნარი შეაქვთ ნატრიუმის ალგინატის და ქსანტანის გელში. შემდეგ ახდენენ მასის ჰომოგენიზაციას ერთგვაროვანი გელის მიღებამდე.

ტ.პ.2.3. სტანდარტიზაცია.

ახდენენ მომზადებული პრეპარატის კეთილხარისხოვნების მაჩვენებლების განსაზღვრას. თუ ანალიზის შედეგები დააკმაყოფილებს დროებითი ფარმაცოპიის სტატიის პროექტის მოთხოვნებს, გელი იგზავნება დასაფასოებლად.

დ.შ.მ.1. გელის დაფასოება და შეფუთვა.

20გ გელს ათავსებენ პოლიმერულ ფლაკონებში, აკრავენ ეტიკეტს. ფლაკონი თავსდება მუყაოს კოლოფში ინსტრუქციასთან ერთად.

მოწოდებული გელის სტანდარტიზაციისათვის (რომელიც უზრუნველყოფს პროდუქციის სასურველ ხარისხს და უსაფრთხოებას) გათვალისწინებულია ხარისხის შემდეგი მაჩვენებლების: აღწერა; ერთგვაროვნება; წყლიანი ხსნარის pH; კოლოიდური და თერმოსტაბილურობა; მიკრობიოლოგიური სისუფთავე; მოქმედი ნივთიერების რაოდენობრივი შემცველობა; სიბლანტე; განსაზღვრა.

პდფგმ-ის გელში მოქმედი ნივთიერების რაოდენობრივი შემცველობის განსაზღვრა მოვახდინეთ სფექტროფოტომეტრული მეთოდით (იხ.თავი 5. ქვეთავი 5.1.), რომელიც მოდიფიცირებული იქნა საკვლევი ობიექტის – გელის შესაბამისად. პდფგმ-ის რაოდენობრივი შემცველობა გელში უნდა იყოს არანაკლებ 2%.

პდფგმ-ის გელის სტანდარტიზაცია.

აღწერილობა: მოყავისფრო შეფერილობის მოძრავი გელისებური მასაა.

იგივეობა: იხ. თავი 5. ქვეთავი 5.1.

რაოდენობრივი განსაზღვრა: იხ.თავი 5. ქვეთავი 5.1.საკონტროლო ხსნარად გამოყენებულია ხსნარი: ნატრიუმის ალგინატის 2%-ის, გლიცერინის 1%-ის და ნატრიუმის ბენზოატის 0,5%-ის შემცველობით;

გელში პდფგმ-ის რაოდენობრივ შემცველობას გამოითვლიან ფორმულით:

$$X=100 \frac{D a c f}{D_0 b d e}$$

X – ფენოლური პოლიმერის – პდფგმ-ის პროცენტული შემცველობა საანალიზო ნიმუშში;

D – საანალიზო ხსნარის ოპტიკური სიმკვრივე

D₀ – სტანდარტული ხსნარის ოპტიკური სიმკვრივე;

a – სტანდარტული ნიმუშის მასა, გ;

b –საანალიზო ნიმუშის მასა,გ;

c – სტანდარტული ხსნარის საერთო მოცულობა,მლ;

d – საანალიზო ხსნარის საერთო მოცულობა,მლ;

e – სტანდარტული ხსნარის მოცულობა,მლ;

f – საანალიზო ხსნარის მოცულობა,მლ

გელში ფენოლური პოლიმერის – პდფგმ-ის შემცველობა უნდა იყოს არანაკლებ 4,0%.

მძიმე ლითონები: იხ.თავი 5. ქვეთავი 5.1: სუბსტანციის – ფენოლური პოლიმერის – პდფგმ-ის სტანდარტიზაცია.

სპეციფიკური მინარევი: იხ.თავი 5. ქვეთავი 5.1:სუბსტანციის – ფენოლური პოლიმერის – პდგმ-ის სტანდარტიზაცია.

სიბლანტე: ვისკოზომეტრული მეთოდი – სიბლანტე 00 - 500 mpa.s (Eur. Ph. 2)

შენიშვნა: პდფგმ-ის გელის ნდ-ში მოყვანილი სხვა მაჩვენებლების განსაზღვრა აღწერილია თავი იხ.თავი 5. ქვეთავი 5.1.

შენახვის პროცესში პდფგმ-ის გელის სტაბილურობა განვსაზღვრეთ ფიზიკურ-ქიმიური და ტექნოლოგიური მაჩვენებლების მიხედვით. დადგენილია, რომ ყველა ჩამოთვლილი პარამეტრი შენარჩუნდა ნდ-ით განსაზღვრული ნორმების ფარგლებში 2 წლის განმავლობაში (ცხრილი N6.4)

ცხრილი N 6.4

პდფგმ-ის გელის სტაბილურობის შესწავლისა და ვარგისიანობის ვადების დადგენის შედეგები ბუნებრივ პირობებში(250C / 60% RH)

მახასიათებელი	ნორმა	დასაწყისი	3 თვე	6 თვე	12 თვე	18 თვე	24 თვე
აღწერა	მოყავისფრო შეფერილობის	შეესაბ	შეესაბ	შეესაბ	შეესაბ	შეესაბ	შეესაბ
რაოდენობრივი განსაზღვრა	პდფგმ-ის შემცველობა არანაკლებ 2.0%	2,8%	2,6%	2,7%	2,6%	2,5%	2,4%
pH	5,5 – 6,5	6,0	5,8	6,2	6,1	6,0	6,2
კოლოიდური სტაბილურობა	განშრეების არ არსებობა	შეესაბ	შეესაბ	შეესაბ	შეესაბ	შეესაბ.	შეესაბ
თერმოსტაბილურობა (ვიზუალურად)	განშრეების არ არსებობა	შეესაბ	შეესაბ	შეესაბ	შეესაბ	შეესაბ	შეესაბ
ერთგვაროვნება	სასაგნე მინაზე შეუიარაღებელი თვალით ხილული ჩანართების არ არსებობა	შეესაბ	შეესაბ.	შეესაბ	შეესაბ	შეესაბ	შეესაბ
სიბლანტე	300 - 500 mpa.s	შეესაბ	შეესაბ	შეესაბ	შეესაბ	შეესაბ	შეესაბ.
სტერილობა	შეესაბამება გამოცდას სტერილობაზე (ს.ფ. ტ. II გვ.111)	შეესაბ	შეესაბ	შეესაბ	შეესაბ	შეესაბ.	შეესაბ.
სპეციფიკური მინარევი	–	–	–	–	–	–	–

დასკვნები VI თავზე:

1. ბიოფარმაცევტული კვლევების საფუძველზე მოწოდებულია პდფგმ-ის გელის ჰიდროფილური კომპოზიცია, %: პდფგმ – 10,0, ნატრიუმის ალგინატი – 2,0, ქსანტანის გომიზი – 1,0, გლიცერინი – 2,0, ნატრიუმის ბენზოატი – 0,015, გასუფთავებული წყალი – 84,985.

2. შესწავლილია პდფგმ-ის გამოთავისუფლების დინამიკა გელწარმომქმნელზე დამოკიდებულებით. დადგენილია, რომ გელწარმომქმნელის სახე გავლენას ახდენს გელებიდან მოქმედი ნივთიერების გამოთავისუფლებაზე. პდფგმ მაქსიმალურად გამოთავისუფლდება გელიდან, რომელიც მომზადებულია ნატრიუმის ალგინატის ფუძეზე 1% ქსანტანის გომიზის შემცველობით.

3. მოწოდებული პდფგმ-ის გელის რეოლოგიური მახასიათებლების შესწავლისას აღილი აქვს უკუპროპორციულ დამოკიდებულებას სიბლანტის ეფექტურობის მნიშვნელობასა და გადანაცვლების სიჩქარეს შორის განსაზღვრის ყველა ინტერვალში. პდფგმ-ის გელის რეოლოგიური მახასიათებლები, რბილი წამალთფორმების ტექნოლოგიური ოპტიმუმის ფარგლებშია.

4. ჩატარებული კვლევების შედეგად დადგენილია, რომ კეთილხარისხოვნების ძირითადი მაჩვენებლების მიხედვით პდფგმ-ისგელი სტაბილურობას ინარჩუნებს 2 წლის განმავლობაში.

თავი VII. დამწვრობის სამკურნალო პდფგმ-ის ფირფიტების შემადგენლობის განსაზღვრა და ტექნოლოგიის დამუშავება

დამწვრობის სამკურნალოწამლო ფირფიტების შემადგენლობის შესარჩევად, ჩვენს მიერ შემუშავებულია ფიტოფირფიტის 6 მოდელური შემადგენლობა, აპკწარმომქმნელი თვისებების მქონე ნატრიუმ-კარბოქსიმეთილცელულოზას, ჟელატი-ნის, პოლივინილპიროლიდონის, ნატრიუმის ალგინატის, პოლივინილის სპირტის და ეთილვინილაცეტატის (ევა) საფუძველზე. მოქმედ ნივთიერებას წარმოადგენდა პდფგმ. მოდელური ფიტოფირფიტის შემადგენლობა მოცემულია N7.1 ცხრილში.

ცხრილი 7.1

მოდელური ფირფიტების შემადგენლობა

მოდელის N	მოდელური ფირფიტების შემადგენლობა, %									
	პდფგმ	Na-კმც	Na-ალგინატი	ჟელატინი	პვს	პვპ	ევა	ქლოროფ.	წყალი	გლიცერინი
1	10,0	3,5	-	-	-	-	-	-	84,0	2,5
2	10,0	-	-	3,5	-	-	-	-	84,0	2,5
3	10,0	-	-	-	3,5	-	-	-	84,0	2,5
4	10,0	-	-	-	-	3,5	-	-	84,0	2,5
5	10,0	-	3,5	-	-	-	-	-	84,0	2,5
6	10,0	-	-	-	-	-	3,5	84,0	-	2,5

მოდელური აპკწარმომქმნელები დამზადებულია სხვადასხვა ხერხებით.

პირველი მოდელური აპკწარმომქმნელს ვამზადებდით შემდეგნაირად: ნატრიუმ-კარბოქსიმეთილცელულოზას ვწონიდით ანალიზურ სასწორზე 3,5 გრამის რაოდენობით და ვამატებდით $55 \pm 5^{\circ}\text{C}$ გაცხელებულ 40მლ გამობდილ წყალს, ვტოვებდით 30 წთ-ის განმავლობაში გასაჯირჯვებლად, შემდეგ ვამატებდით უკვე ცივ დარჩენილ წყალს და ნარევს გულმოდგინედ ვურევდით ერთგვაროვანი ხსნარის მიღებამდე. შემდეგ ფირფიტას ვამზადებდით ქვემოთმოყვანილი მეთოდით. მიღებული ფირფიტები წარმოადგენდნენ ერთგვაროვან, პლასტიკურ, ყავისფერ მტკიცე ფირფიტებს, სპეციფიკური სუნით.

მეორე მოდელური აპკწარმომქმნელის მისაღებად ნატრიუმის ალგინატს ვწონი-
დით ანალიზურ სასწორზე 3,5 გრამის რაოდენობით და ვამატებდით 40მლ ცივ გამობ-
დილ წყალს, ვტოვებდით 3სთ-ის განმავლობაში გასაჯირჯვებლად. დროის გასვლის შემ-
დეგ ხსნარს ვაცხელებდით წყლის აბაზანაზე და ვამატებდით დარჩენილ წყალს, ნარევს
გულმოდგინედ ვურევდით ერთგვაროვანი ხსნარის მიღებამდე. შემდეგ ფირფიტას ვამ-
ზადებდით ქვემოთ მოყვანილი მეთოდით. მიღებული ფირფიტები წარმოადგენდნენ
მტკიცე, ელასტიკურ, ერთგვაროვანი სტრუქტურის, გამჭვირვალე, ყავისფერ ფირფიტებს.

მესამე მოდელური აპკწარმომქმნელის მისაღებად ჟელატინს ვწონი-
ზურ სასწორზე 3,5 გრამის რაოდენობით და ვამატებდით 40მლ ცივ გამობდილ წყალს,
ვტოვებდით 40წთ-ის განმავლობაში გასაჯირჯვებლად. დროის გასვლის შემდეგ ხსნარს
ვაცხელებდით წყლის აბაზანაზე და ვამატებდით დარჩენილ წყალს, ნარევს გულმოდ-
გინედ ვურევდით ერთგვაროვანი ხსნარის მიღებამდე. შემდეგ ფირფიტას ვამზადებ-
დით ქვემოთმოყვანილი მეთოდით. მიღებული ფირფიტები წარმოადგენდნენ მტკი-
ცე, ელასტიკურ, ერთგვაროვანი სტრუქტურის, გამჭვირვალე, ყავისფერ ფირფიტებს.

მეოთხე მოდელური აპკწარმომქმნელის მისაღებად პოლივინილის სპირტს
ვწონი-
დით ანალიზურ სასწორზე 3,5 გრამის რაოდენობით და ვამატებდით 40მლ ცივ
გამობდილ წყალს და ხსნარს ვაცხელებდით წყლის აბაზანაზე, შემდეგ ვამატებდით
დარჩენილ წყალს და ნარევს გულმოდგინედ ვურევდით ერთგვაროვანი ხსნარის მი-
ღებამდე. შემდეგ ფირფიტას ვამზადებდით ქვემოთმოყვანილი მეთოდით. მიღებუ-
ლი ფირფიტები წარმოადგენდნენ პლასტიკურ, ელასტიკურ, ერთგვაროვანი სტრუქ-
ტურის, გამჭვირვალე, ყავისფერ ფირფიტებს.

მეხუთე მოდელური აპკწარმომქმნელის მისაღებად ვამზადებდით აპკწარ-მომქმ-
ნელის ხსნარს: პოლივინილპიროლიდონს ვწონი-
დით ანალიზურ სასწორზე 3,5 გრამის
რაოდენობით და ვამატებდით 40მლ ცივ გამობდილ წყალს, ვტოვებდით 30 წთ-ის გან-
მავლობაში გასაჯირჯვებლად. შემდეგ ვამატებდით დარჩენილ წყალს, ნარევს გულმოდ-
გინედ ვურევდით ერთგვაროვანი ხსნარის მიღებამდე. შემდეგ ფირფიტას ვამზადებდით
ქვემოთმოყვანილი მეთოდით. მიღებული ფირფიტები წარმოადგენდნენ პლასტიკურ,
ელასტიკურ, ერთგვაროვანი სტრუქტურის, გამჭვირვალე, ყავისფერ ფირფიტებს.

მეექვსე მოდელური აპკწარმომქმნელის მისაღებად ვამზადებდით აპკწარ-მომ-
ქმნელის ხსნარს: ეთილვინილაცეტატის გრანულებს ვწონი-
დით ანალიზურ სასწორ-
ზე 3,5 გრამის რაოდენობით და ვამატებდით 84გ ქლოროფორმს, ვტოვებდით 4 სთ-ის

განმავლობაში გასახსნელად. შემდეგ ფირფიტას ვამზადებდით ქვემოთმოყვანილი მეთოდით. მიღებული ფირფიტები წარმოადგენდნენ პლასტიკურ, ელასტიკურ, ერთგვაროვანი სტრუქტურის, გამჭვირვალე, ყავისფერ ფირფიტებს.

შემდგომში ფოტოფირფიტის დამზადება წარმოებდა საერთო სქემით (გარდა მეექვსე მოდელური აპკწარმომქმნელისა): ნარევის ვფილტრავდით მინის ფილტრში და მიღებულ ხსნარში შეგვყავდა პლასტიფიკატორი-გლიცერინი, წინასწარ აწონილი 2,5 გ-ის რაოდენობით და 10გ პდგმ. მიღებულ ხსნარს ვურევდით ჰომოგენურ მდგომარეობამდე და გადაგვქონდა წინასწარ ეთილის სპირტით და შემდეგ მზესუმზირას ზეთით დამუშავებულ მინის ზედაპირზე რომლის ზომები შეადგენდა: სიგანე 20სმ, სიგრძე 25სმ.

მეექვსე მოდელურ ფოტოფირფიტას ვამზადებდით შემდეგნაირად: აპკწარმომქმნელში შეგვქონდა პლასტიფიკატორი-გლიცერინი, წინასწარ აწონილი 2,5 გ-ის რაოდენობით და 10გ პდგმ. ვურევდით ერთგვაროვანი მასის მიღებამდე და გადაგვქონდა წინასწარ ეთილის სპირტით დამუშავებულ, ამწოვში მოთავსებულ მინის ზედაპირზე. ქლოროფორმის აორთქლების შემდეგ მინის ზედაპირზე რჩება ყავისფერი, ერთგვაროვანი, მტკიცე, ელასტიკური ფირფიტა.

ფირფიტის მასის შრობას ვახორციელებდით ოთახის ტემპერატურაზე 8–10% ნარჩენ ტენიანობამდე. მიღებული ფირფიტები წარმოადგენდნენ მტკიცე, ელასტიკურ, ერთგვაროვან, ყავისფერ ფირფიტებს, $0,80 \pm 0,002$ მმ საშუალო სისქით.

აპკწარმომქმნელის – მატრიცის შერჩევა მოვახდინეთ შემდეგი ფუნქციონალური თვისებების მიხედვით: გარეგნული სახე, სისქე, წყლიანი ხსნარის pH-ის მნიშვნელობა, წონაში დანაკარგი გამოშრობისას, მექანიკური მედეგობა. ხარისხის მაჩვენებლების შესწავლის სტატისტიკურად დამუშავებული შედეგები მოყვანილია N 7.2 ცხრილში.

ცხრილი 7.2

ფირფიტის ტექნოლოგიურ თვისებებზე აპკწარმომქმნელის გავლენის შესწავლის შედეგები

შემადგენლობა	საშუალო მასა, გ	სისქე, მმ	pH	ტენიანობა, %	მექანიკური სიმტკიცე ფოტოფირფიტის მთლიანობის დარღვევაზე, $\times 10^{-3}$
პდგმ – 10,0 Na – კმც – 3,5 გლიცერინი – 2,5 წყალი – 85,0	$17,6 \pm 0,002$	$0,82 \pm 0,002$ მმ	6,2	$8,81 \pm 0,23$	$89,23 \pm 0,02$

პდფგმ – 10,0 Na-ის ალგინატი – 3,5 გლიცერინი – 2,5 წყალი – 85,0	17,3±0,003	0,82±0,002მმ	6,1	8,64±0,12	92,46±0,03
პდფგმ – 10,0 ჟელატინი –3,5 გლიცერინი–2,5 წყალი – 85,0	17,5±0,002	0,83±0,002მმ	6,6	9,14±0,13	98,15±0,02
პდფგმ – 10,0 პვს – 3,5 გლიცერინი–2,5 წყალი – 85,0	17,5±0,003	0,79±0,002მმ	6,4	8,72±0,44	82,41±0,01
პდფგმ – 10,0 პვპ – 3,5 გლიცერინი–2,5 წყალი – 85,0	17,6±0,002	0,79±0,002მმ	6,5	8,55±0,46	84,14±0,02
პდფგმ – 10,0 ევა – 3,5 გლიცერინი–2,5 ქლოროფორმი – 85,0	16,6±0,003	0,77±0,002მმ	6,0	3, 06±0,39	168,98±0,04

ამგვარად, ფიტოფირფიტების გარეგნული სახის მიხედვით შეიძლება დავასკვნათ, რომ Na-კმც (მოდელი 1), ნატრიუმის ალგინატი (მოდელი 2) და ჟელატინის (მოდელი 3) ბაზაზე მომზადებულ ფირფიტებს გააჩნიათ კარგი ფიზიკურ-ტექნოლოგიური მაჩვენებლები. პვს, პვპ და ევა-ის ბაზაზე დამზადებული ფირფიტების ხარისხი არადამაკმაყოფილებელია. ამიტომ შემდგომი კვლევები გაგრძელდა N1, 2, და 3 მოდელურ ფირფიტებზე.

საკვლევ ობიექტებში შვევისწავლეთ აპკწარმომქმნელისა და ნარჩენი ტენიანობის გავლენა ფირფიტის ადჰეზიაზე. სხვადასხვა შემადგენლობის ფოტოფირფიტების ადჰეზიის განსაზღვრა ტარდებოდა 2.2 ქვეთავში მოწოდებული მეთოდიკით. სტატისტიკურად დამუშავებული შედეგები მოყვანილია N7.3 ცხრილში

ფიტოფირფიტის ადჰეზიური თვისებების დამოკიდებულება აპკწარმომქმნელის ბუნებაზე და მის ტენშემცველობაზე

მოდელი ფირფიტის N	ფირფიტის ტექნოლოგიური მაჩვენებლების განსაზღვრის შედეგები									
1	ტენშემცველობა, %	51,6	43,4	35,2	31,9	28,7	25,7	16,2	10,5	6,2
	ზედაპირიდან მოცილების ძალა, ნ 10 ⁻³	152,5	189,6	236,5	247,6	204,1	168,9	146,3	85,3	68,6
2	ტენშემცველობა, %	50,6	47,2	45,1	37,5	30,4	27,65	22,8	10,2	6,6,4
	ზედაპირიდან მოცილების ძალა, ნ 10 ⁻³	156,9	168,7	164,1	194,7	263,6	207,4	173,6	88,2	72,2
3	ტენშემცველობა, %	52,3	48,4	43,2	38,2	33,5	30,2	22,5	10,4	6,3
	ზედაპირიდან მოცილების ძალა, ნ 10 ⁻³	93,9	147,6	158,3	163,4	196,9	140,8	118,8	78,6	65,5

N3 ცხრილში მოყვანილი მონაცემებიდან ჩანს რომ მე-2 მოდელურ ფიტოფირფიტას გააჩნია საუკეთესო ადჰეზიური თვისებები და შესაბამისად ყველაზე ოპტიმალური შემადგენლობა. გარდა ამისა ჩატარებული ექსპერიმენტის შედეგად დადგენილი იქნა ფიტოფირფიტის ოპტიმალური ტენიანობა (30,4%) რომელიც უზრუნველყოფს მოცემული ნიმუშის მაღალ ადჰეზიურ თვისებას.

აპკწარმომქმნელის გავლენა სამკურნალო ფირფიტის ტენშთანქმის უნარზე განვსაზღვრეთ 2.2 ქვეთავში აღწერილი მეთოდით. კვლევის შედეგები სტატისტიკურად დამუშავებულია და წარმოდგენილია N7.4 ცხრილში.


მოდელური ფიტოფირფიტების გაჯირჯვების შესწავლის შედეგები

მოდელური ფირფიტის N	ფირფიტის ტექნოლოგიური მაჩვენებლების განსაზღვრის შედეგები									
	10	20	30	40	50	60	70	80	90	100
	ტენშემცველობა, %									
1	1,865	1,87	2,23	2,89	2,65	2,38	2,12	1,23	ფირ-ტა გაიხსნა	–
2	1,92	2,41	2,77	2,94	3,37	2,82	2,12	1,44	ფირ-ტა გაიხსნა	–
3	1,15	1,53	1,61	2,28	2,66	3,09	3,34	3,64	3,87	4,11

N7.4 ცხრილიდან ჩანს, რომ მესამე მოდელური ფიტოფირფიტა დაკვირვების მთელ პერიოდში არ გაიხსნა და გააჩნია უმცირესი ტენშთანთქმის უნარი პირველ და მეორე მოდელურ ფიტოფირფიტთან შედარებით. ფიტოფირფიტას ნატრიუმის ალგინატზე შთანთქმული წყლის რაოდენობა უფრო მეტი აქვს ვიდრე პირველ და მესამე მოდელურ ფიტოფირფიტებს და მისი გახსნა მოხდა ექსპერიმენტის დაწყებიდან 90 წუთის შემდეგ. იგივე პერიოდში გაიხსნა Na-კმც-ზე დამზადებული ფირფიტა.

ჩატარებული ექსპერიმენტის შედეგებიდან ნათლად ჩანს, რომ მესამე მოდელური ფიტოფირფიტა მთელი დროის განმავლობაში არ გაიხსნა. ამგვარად ქელატინი არ შეიძლება იქნას გამოყენებული ბიოგახსნადი ფიტოფირფიტის საფუძვლად. შესწავლილი ფიზიკურ-ტექნოლოგიური მაჩვენებლების გათვალისწინებით, პროლონგირებული მოქმედების ბიოგახსნადი ფიტოფირფიტის შესაქმნელად, ოპტიმალური ვარიანტი შეიძლება იყოს მეორე მოდელური ფირფიტა.

ფიტოფირფიტის ოპტიმალური შემადგენლობის დასადგენად, მოწოდებული ფირფიტებიდან პდფგმ-ის გამოთავისუფლება შევისწავლეთ *in vitro* ცდაში დიფუზიის მეთოდით ფრანსის დიფუზური უჯრედების გამოყენებით, შემდგომი სპექტროფოტომეტრიით. შედეგები ასახულია N7.1 სურათებზე.



სურათი N7.1. ფიტოფირფიტის მატრიცებიდან პდფგმ-ის გამოთავისუფლების შესწავლის შედეგები.

ჩატარებული კვლევები გვიჩვენებს, რომ პდფგმ-ის გამოთავისუფლების მაღალი სიჩქარე შეიმჩნევა პოლიმერული მატრიციდან, რომელიც დამზადებულია Na-კმც და Na-ალგინატის ბაზაზე (190 წთ-ის შემდეგ 69,2 და 78,6% შესაბამისად), ქელატინის ბაზაზე მომზადებული კომპოზიციიდან კი პდფგმ-ის გამოთავისუფლება მითითებული დროის განმავლობაში შეადგენს მხოლოდ 60%-ს.

საბოლოო არჩევანი აპკწარმომქმნელზე გაკეთდა დამწვრობის მკურნალობის კლინიკური მოსაზრებიდან გამომდინარე. ჩატარებული კვლევები მოწმობენ, რომ აპკწარმომქმნელების: Na-კმც და Na-ალგინატის თვისებები პრაქტიკულად ერთნაირია. ამასთან უნდა აღინიშნოს, რომ ნატრიუმის ალგინატს გააჩნია სისხლის დენის შემაჩერებელი მოქმედება, რაც განსაკუთრებით მნიშვნელოვანია დამწვრობისა და ჭრილობის მკურნალობის დროს. გამომდინარე აქედან, უპირატესობა მივანიჭეთ ნატრიუმის ალგინატს.

ბიოხსნადი სამკურნალო ფირფიტების მომზადების დროს გამოვიყენეთ ჰიდროფობური ზედაპირის მინის ფირფიტაზე ე.წ. დასხმის, დატანის მეთოდი, შემდგომი შრომით მაშრობ კარადაში 40-50⁰ ტემპერატურაზე 22-24 სთ-ის განმავლობაში. პდფგმ-ის კონცენტრაციამ ფირფიტის მშრალ მასაზე გადაანგარიშებით შეადგინა 10%.

7.1. სამკურნალო ფიტოფირფიტის ტექნოლოგია.

ფიტოფირფიტების დამზადების ლაბორატორიული ტექნოლოგიების საფუძველზე, რომელიც აკმაყოფილებს ყველა მოთხოვნას, შეიძლება რეკომენდაცია გაკეთდეს ლაბორატორიული წარმოების სამრეწველო მასშტაბებში გადაყვანას და ფიტოფირფიტების დამზადებას 7.2 სურათზე მოცემული სქემის მიხედვით.

მოწოდებული ფიტოფირფიტის წარმოების ტექნოლოგია მოიცავს შემდეგ ეტაპებს:
დს. 1. ნედლეულის მომზადება;

მოქმედი ნივთიერების, გამხსნელების და პლასტიფიკატორის აწონვა ხდება სასწორზე.

ტპ. 1. აპკწარმომქმნელი ხსნარის მომზადება;

ტპ. 1.1. პოლიმერის ხსნარის მომზადება ხდება შემდეგნაირად: აპკწარმომქმნელს – პოლიმერს ამატებენ წინასწარ აზომილ განსაზღვრულ რაოდენობა გამოხდილ წყალს და ტოვებენ გასაჯირჯვებლად 4 სთ–ის განმავლობაში. ამ დროს პოლიმერი სველდება და ჯირჯვდება.

ტპ. 1.2. პოლიმერის ხსნარში პლასტიფიკატორის და პდფგმ–ის შეყვანა.

შეაქვთ წინასწარ აწონილი გლიცერინი (პლასტიფიკატორი). პდფგმ აპკწარმომქმნელის ხსნარში შეაქვთ წინასწარ მომზადებული წყლიანი ხსნარის სახით..

ტპ. 1.3. აპკწარმომქმნელის ხსნარის ჰომოგენიზაციას ახდენენ პროპელურ შემრევზე (1200ზრ/წთ). ნარევს გულმოდგინედ ურევენ ერთგვაროვანი მასის მიღებამდე.

ტპ. 2. ფირფიტების მომზადება.

ტპ. 2.1. პოლიმერული მატრიცა (აპკწარმომქმნელი ხსნარი) დაიტანება ეთილის სპირ–ტით დამუშავებულ მინის ზედაპირზე.

ტპ. 2.2. ფირფიტების შრობა. მიღებულ ფირფიტებს აშრობენ ოთახის ტემპერატურაზე 24 სთ–ის განმავლობაში 8–19% ნარჩენ ტენიანობამდე.

ტპ. 2.3. ფირფიტის მინის ზედაპირიდან მოხსნა და დოზირება. მიღებულ ფირფიტას ხსნიან ზედაპირიდან, ჭრიან ზოლებად და შტამპის საშუალებით ღებულობენ საჭირო ზომის სამკურნალო ფირფიტას.


ტპ. 2.4. სტერილიზაცია. სტერილიზაცია მიზანშეწონილია განხორციელდეს დასხივებით 20კვტ დოზით ან ეთილენოქსიდის და დიოქსიდის ნახშირბადის ნარევით დამუშავებით.

დშმ. 1. ხარისხის კონტროლი და მზა პროდუქციის გაფორმება.

დშმ.1.1. ფირფიტის ხარისხის კონტროლი. ფირფიტის ხარისხის შეფასება ხორციელდება ფიზიკურ-ტექნოლოგიური და ქიმიური მაჩვენებლების მიხედვით: ზედაპირის ხაოიანობა, ნაპრალების, ბზარების არსებობა, ელასტიკურობა, სიმტკიცე, ადჰეზია, ტენშ-თანთქმა, საშუალო მასა, სისქე, ხსნადობა და პდფგმ-ის რაოდენობ-რივი შემცველობა.

დშმ. 1.2 დოზების დაფასოება დოზატორის პენლებში. მზა სამკურნალო პრეპარატს აფასობენ 30 ცალად სპეციალურ პენალ-დოზატორებში, რომელიც უზრუნველყოფს ხმარებისას და შენახვისას მათ ჰერმატულობას და ასეპტიკის პირობებს. გამოიყენებენ აგრეთვე კონტურულ უჯრედოვან შეფუთვას ალუმინის ფოლგაში ან პოლიქლორვინილის ფირფიტაში 10-10 ფირფიტის რაოდენობით, რომელთაც ათავსებენ მუყაოს კოლოფში 20-100 ცალის რაოდენობით.

დშმ. 1.3 შეფუთვა და მარკირება. პენალ დოზატორებს ფუთავენ მუყაოს კოლოფებში შესაბამისი მარკირებით



სურათი N7.2. პდფგმ-ის ფირფიტის წარმოების ტექნოლოგიური სქემა.

მოწოდებული ფიტოფირფიტის სტანდარტიზაციისათვის (რომელიც უზრუნველყოფს პროდუქციის სასურველ ხარისხს და უსაფრთხოებას) გათვალისწინებულია ხარისხის შემდეგი მაჩვენებლები: აღწერა (ფირფიტის ფერი, სუნი, ზომები და ფორმა); სამკურნალწამლო ნივთიერების იგივეობა, საშუალო მასის განსაზღვრა; ხსნადობა; წყლიანი ხსნარის pH; წონაში დანაკარგი გამოშრობისას; მოქმედი ნივთიერების რაოდენობრივი შემცველობის განსაზღვრა, ასევე შეფუთვა; მარკირება; ტრანსპორტირება; ვარგისიანობის ვადა. გარდა აღნიშნულისა ბიოხსნადი ფიტოფირფიტის ხარისხის მაჩვენებლად მიჩნეულია ისეთი ტექნოლოგიური პარამეტრები, როგორცაა: მექანიკური სიმტკიცე მთლიანობის დარღვევაზე და ფირფიტის სისქე.

პდფგმ-ის ფირფიტაში მოქმედი ნივთიერების რაოდენობრივი შემცველობის განსაზღვრა მოვახდინეთ სფექტროფოტომეტრული მეთოდით (იხ.თავი 5. ქვეთავი 5.1), რომელიც მოდიფიცირებული იქნა საკვლევი ობიექტის (ფირფიტის) სპეციფიკიდან გამომდინარე. პდფგმ-ის რაოდენობრივი შემცველობა ფირფიტის საშუალო თერაპევტულ დოზაში (10X10სმ) შეადგენს $2,005 \pm 0,003$ გ-ს.

პდფგმ-ის ფირფიტების სტანდარტიზაცია.

აღწერა: 10×10 სმ ზომის, 0,7-0,8 მმ სისქის, ყავისფერი ფირფიტა.

ფირფიტის სისქე: ფირფიტის სისქე დგინდება მიკრომეტრის გამოყენებით (0.001 მმ-ის სიზუსტით). გამოითვლება ათი ფირფიტის საშუალო მაჩვენებელი.

დრეკადობა: ერთი და იგივე ადგილის მუდმივი გადაკეცვით ფირფიტამ უნდა შეინარჩუნოს მთლიანობა.

იგივეობა: პდფგმ-ის ფირფიტას ათავსებენ ქიმიურჭიქაში, ამატებენ 50მლ გამობდილ წყალს, დგამენ მაგნიტურ სარეველაზე 30 წთ-ის განმავლობაში. ხსნარს ფილტრავენ და საზღვრავენ მის ოპტიკურ სიმკვრივეს სპექტროფოტომეტრული მეთოდით 286 ნმ ტალღის სიგრძეზე.

რაოდენობრივი განსაზღვრა: წონიან 1 ცალ ფირფიტას (ზ.წ.) ათავსებენ ქიმიურჭიქაში, ამატებენ 80მლ გამობდილ წყალს და დგამენ მაგნიტურ სარეველაზე 30წთ-ის განმავლობაში. ხსნარს ფილტრავენ 100მლ-იან გამზომ კოლბში და ხსნარის მოცულობა გამობდილი წყლით აჰყავთ ჭდემდე. შემდეგ იხ.თავი 5. ქვეთავი 5.1.

საკონტროლო ხსნარად გამოყენებულია ხსნარი ნატრიუმის ალგინატის 3,5%-ის და გლიცერინის 2,5%-ის შემცველობით;

ფირფიტაში პდფგმ-ის რაოდენობრივ შემცველობას გამოითვლიან ფორმულით:

$$X=100 \frac{D a c f}{D_0 b d e}$$

X – ფენოლური პოლიმერის პროცენტული შემცველობა საანალიზო ნიმუშში;

D – საანალიზო ხსნარის ოპტიკური სიმკვრივე;

D₀ – სტანდარტული ხსნარის ოპტიკური სიმკვრივე;

a – სტანდარტული ნიმუშის მასა, გ;

b – საანალიზო ნიმუშის მასა, გ;

c – სტანდარტული ხსნარის საერთო მოცულობა, მლ;

d – საანალიზო ხსნარის საერთო მოცულობა, მლ;

e – სტანდარტული ხსნარის მოცულობა, მლ;

f – საანალიზო ხსნარის მოცულობა, მლ;

ფენოლური პოლიმერის პროცენტული შემცველობა არანაკლებ 4,5%

ტენიანობა: ნიმუშის 1 გრამი (ზ.წ.) შრება მაშრობ კარადაში (102,5±2,5)⁰C ტემპერატურაზე, 5 სთ-ის განმავლობაში, აციებენ ექსიკატორში და წონიან. ტენიანობა არაუმეტეს 10%

მძიმე ლითონები: იხ. თავი 5. ქვეთავი 5.1: სუბსტანციის- ფენოლური პოლიმერის – პდფგმ-ის სტანდარტიზაცია.

სპეციფიკური მინარევი: იხ. თავი 5. ქვეთავი 5.1: სუბსტანციის- ფენოლური პოლიმერის – პდფგმ-ის სტანდარტიზაცია.

შენიშვნა: პდფგმ-ის ფირფიტის ნდ-ში მოყვანილი სხვა მაჩვენებლების განსაზღვრა აღწერილია თავი 5. ქვეთავი 5.1.

შენახვის პროცესში პდფგმ-ის ბიოხსნადი ფირფიტის სტაბილურობა განვსაზღვრეთ ფიზიკურ-ქიმიური და ტექნოლოგიური მაჩვენებლების მიხედვით. დადგენილია, რომ ყველა ჩამოთვლილი პარამეტრი შენარჩუნდა ნდ-ით განსაზღვრული ნორმების ფარგლებში 2 წლის განმავლობაში (ცხრილი N7.5).

ცხრილი 7.5

ბიოხსნადი პდგმ-ის ფირფიტის ფიზიკურ-ქიმიური და ტექნოლოგიური მახასიათებლები (n=5)

ფიტოლოგიური ტის დასახელება	ს	აღწერა	საშუალო მასა, გ	სისქე, მმ	pH	გახსნის დრო, წთ	წონაში დანაკარგი გამოშრობისას, %	მექანიკური სიმტკიცე პდგმ-ის ფირფიტის მთლიანობის დარღვევაზე, $6 \cdot 10^{-3}$	პდგმ-ის რაოდენობრივი შემცველობა, (10X10სმ) შეადგენს არანაკლებ $2,005 \pm 0,003$ გ-ს
პდგმ-ის ფირფიტა	1	ყავისფერი, მართკუთხა	$17,4 \pm 0,002$	$0,80 \pm 0,02$	6,0	$90,49 \pm 1,00$	$8,69 \pm 0,60$	$92,95 \pm 0,01$	$2,005 \pm 0,003$
	2	“-----“	$17,2 \pm 0,003$	$0,78 \pm 0,02$	5,8	$89,36 \pm 0,17$	$8,60 \pm 0,10$	$93,28 \pm 0,03$	$2,005 \pm 0,003$
	3	“-----“	$17,5 \pm 0,002$	$0,82 \pm 0,02$	5,9	$91,46 \pm 0,09$	$9,09 \pm 0,10$	$91,10 \pm 0,01$	$2,005 \pm 0,003$
	4	“-----“	$17,5 \pm 0,002$	$0,79 \pm 0,01$	5,8	$90,86 \pm 0,13$	$8,93 \pm 0,50$	$92,08 \pm 0,01$	$2,005 \pm 0,003$
	5	“-----“	$17,6 \pm 0,002$	$0,80 \pm 0,01$	6,0	$91,58 \pm 0,16$	$9,18 \pm 0,09$	$91,02 \pm 0,01$	$2,005 \pm 0,003$

დასკვნები VII თავისთვის:

1. ბიოფარმაცევტული კვლევის შედეგად შერჩეულია დამწვრობის სამკურნალო ფიტოფირფიტის ოპტიმალური შენადგენლობა, %: პდფგმ – 10,0, ნატრიუმის ალგინატი – 3,5, გლიცერინი – 2,5, გამოხდილი წყალი – 84,0.

2. შესწავლილია აპკწარმომქმნელის გავლენა ფიტოფირფიტის ხარისხზე, ადჰეზიაზე და ტენშთანთქმაზე. დადგენილია ფიტოფირფიტის ტენიანობის ოპტიმალური ხარისხი, რომელიც უზრუნველყოფს მის მაღალ ადგეზიურ შესაძლებლობას. ადგეზიის ყველაზე დიდი ძალა გააჩნია ფირფიტას, რომელიც მომზადებულია ნატრიუმის ალგინატის ფუძე-მატარებელზე, ტენშემცველობით – 30,4%.

3. პდფგმ-ის გამოთავისუფლების შესწავლისას სხვადასხვა ფუძე-მატარებლებიდან ოპტიმალური აღმოჩნდა ჰიდროფილური ფუძეები: ნატრიუმის კარბოქსიმეთილცელულოზას (69,2%) და ნატრიუმის ალგინატის (78,65%) ბაზაზე. ამასთან ნატრიუმის კარბოქსიმეთილცელულოზას ფირფიტის ნაკლოვანი მხარეების (მომჭიმავი ეფექტი დამწვრობის ზედაპირზე, შედარებით დაბალი სტაბილურობა) გათვალისწინებით შერჩეული იქნა ფირფიტა ნატრიუმის ალგინატის ფუძეზე.

4. მოწოდებულია პდფგმ-ის ფირფიტების მიღების ტექნოლოგიური სქემა. ფიტოფირფიტების მომზადება წარმოებს ჩამოსხმის მეთოდით.

5. მოწოდებული პდფგმ-ის ფირფიტის სტანდარტიზაცია მოვახდინეთ შემდეგი მაჩვენებლების მიხედვით: ალწერა (ფირფიტის ფერი, სუნი, ზომები და ფორმა), სამკურნალწამლო ნივთიერების იგივეობა, საშუალო მასის განსაზღვრა, ხსნადობა, წყლიანი ხსნარის pH, წონაში დანაკარგი გამოშრობისას, მოქმედი ნივთიერების რაოდენობრივი შემცველობის განსაზღვრა, მექანიკური სიმტკიცე მთლიანობის დარღვევაზე და ფირფიტის სისქე. აღნიშნული მაჩვენებლები უზრუნველყოფს პროდუქციის სასურველ ხარისხს და უსაფრთხოებას.

6. მოწოდებული პდფგმ-ის ფირფიტა სტაბილურობას ინარჩუნებს 2 წლის განმავლობაში.

თავი VIII. აქტიური სუბსტანციის (პდგმ-ის), პდგმ-ის გელის და ფირფიტების წინაკლინიკური შესწავლა

8.1. სუბსტანციის ტოქსიკურობის განსაზღვრა მწვავე ექსპერიმენტში

სუბსტანციის ორმოცდაათ პროცენტის სისხვილი დოზის (LD_{50}) დადგენა ხდებოდა სტანდარტული სქემის მიხედვით უჯიშო თეთრ ლაბორატორიულ თაგვებსა ($n=24$) და ვირთაგვებზე ($n=15$). საკვლევი ნაერთები შეგვყავდა პერორალურად. დაკვირვება ცხოველებზე გრძელდებოდა 7 დღის განმავლობაში. დადგენილია, რომ საკვლევი სუბსტანციის LD_{50} ორივე სახეობისათვის ერთი რიგის ფარგლებშია (800 მგ/კგ თაგვებისათვის და 1200 მგ/კგ ვირთაგვებისათვის) და ამრიგად სუბსტანცია მიეკუთვნება ქიმიური ნაერთების ტოქსიკურობის საერთაშორისო სისტემის (GHS)მე-4 კლასს – და წარმოადგენს დაბალტოქსიკურ ნაერთს.

8.2. სუბსტანციის ტოქსიკურობის განსაზღვრა ქრონიკულ (90-დღიან) ექსპერიმენტში

ექსპერიმენტი ჩატარებულია მამრობითი სქესის უჯიშო თეთრ ლაბორატორიულ ვირთაგვებზე ($n=36$, სხეულისმასა 165-200 გ). ცხოველების შენახვა ხდებოდა ვივარეუმის პირობებში, კვების სტანდარტული რაციონის დაცვით.

ხანგრძლივი შეყვანისათვის შერჩეული იყო სუბსტანციის დოზა $1/10 LD_{50}$, – 120 მგ/კგ რომელიც შეგვყავდა პერორალურად 5%-იან გლუკოზის ხსნარში. საკონტროლო ჯგუფის ვირთაგვები იღებდნენ 5%-იან გლუკოზის ხსნარს. შეყვანა მიმდინარეობდა 90 დღის განმავლობაში.

სუბსტანციის შესაძლო ტოქსიკური მოქმედების გამოსავლენად თვეში ერთხელ ფასდებოდა შემდეგი პარამეტრები: ინტეგრალური მაჩვენებლები, მოძრაობითი აქტიურობა, სუნთქვისა და გულისცემის სიხშირე, ხოლო დაკვირვების ბოლო კვირის მანძილზე ჩატარებული იყო სისხლის და შარდის ანალიზი და ღვიძლის ფუნქციონირების შეფასება. ექსპერიმენტის დამთავრებისას ცხოველებს ვკლავდით სამედიცინო ეთერით ნარკოზის ქვეშ და შესაძლო პათოლოგიური ცვლილებების გამოსავლენად ვახდენდით შინაგანი ორგანოების მაკროსკოპულ დათვალიერებას (x5).

მიღებული მონაცემების სტატისტიკური დამუშავებისას (სტიუდენტის-კრიტერიუმის გამოყენებით) სარწმუნო განსხვავება საცდელ და საკონტროლო ცხოველების პარამეტრებს შორის არ გამოვლინდა.

შედეგები: სუბსტანციის ქრონიკული (90 დღიანი) პერორალური შეყვანა არ ახდენს არასასურველ მოქმედებას საცდელი ჯგუფის ცხოველებზე: საკვლევი ნაერთი არ ხასიათდება ჰეპატოტოქსიკურობით, არ იწვევს პათოლოგიურ ცვლილებებს შინაგან ორგანოებში, არ ცვლის სისხლის და შარდის ბიოქიმიურ მაჩვენებლებს და ცენტრალური ნერვული, სუნთქვის და გულსისხლძარღვთა სისტემების ძირითად ფუნქციურ პარამეტრებს.

8.3. სუბსტანციის ადგილობრივი გამაღიზიანებელი და მაალერგიზებელი მოქმედება

სუბსტანციის შესაძლო მაალერგიზებელი და ადგილობრივ გამაღიზიანებელი მოქმედება შესწავლილი იქნა ორივე სქესის უჯიშო თეთრ ვირთაგვებზე ($n=20$, სხეულის მასა 150-180გ).

ექსპერიმენტის დაწყებამდე 1 დღით ადრე ვახდენდით ცხოველების ზურგზე ბეჭებსშუა 2 სმ² კანის არის დეპილაციას. ცხოველებს რანდომიზებულად ვანაწილებდით ჯგუფებად ($n=10$) და ვათავსებდით ერთნაირ პირობებში.

ადგილობრივ გამაღიზიანებელი მოქმედების შესწავლისას 24 საათის შემდეგ ვახდენდით სუბსტანციის 0.02 გ/ცხოველზე (საცდელი ჯგუფი) ან გელის და ფირფიტების ფუძეს იგივე რაოდენობის (საკონტროლო ჯგუფი) შეხელვას. შემდეგ დაკვირვებას ვაწარმოებდით 3 დღის განმავლობაში. მე-4 დღეს ვახდენდით სუბსტანციის განმეორებით შეხელვას 10-ჯერ გაზრდილი დოზით (0.2 გ ცხოველზე) შემდგომი დაკვირვებით კვლავ 3 დღის განმავლობაში.

შედეგები: ყველა ცხოველის ზოგადი მდგომარეობა, მოძრაობითი აქტივობა საკვებისა და წყლის მოხმარება სუბსტანციის (დოზა 0.02 გ ცხოველზე) შეხელვის შემდეგ 3 მომდევნო დღის განმავლობაში უცვლელი აღმოჩნდა. არც აპლიკაციის დღეს და არც შემდგომ პერიოდში კანზე გაღიზიანების ნიშნები არ გამოვლენილა. ამავე ზედაპირის განმეორებითმა დამუშავებამ სუბსტანციის 10-ჯერ გაზრდილი დოზით (0.2 გ ცხოველზე) არ გამოავლინა ცვლილებები ქცევისა და ზოგად მდგომარეობაში. კანის ზედაპირზე არ დაფიქსირებულა გაღიზიანების ან კონტაქტური დერმატიტის ნიშნები

(მკვეთრიჰიპერემია, შეშუპება, ზედაპირული ნაპრალები, წერტილოვანი სისხლჩაქცევები ან ეპიდერმისის აქერცვლა).

მაალერგიზებული მოქმედების შესწავლისას მომდევნო 14 დღის განმავლობაში ყოველდღიურად ხდებოდა სუბსტანციის 0.02 გ შეზღვევა და დამუშავებული ზედაპირის დათვალიერება. ასევე ყოველდღიურად ფასდებოდა ცხოველების ზოგადი მდგომარეობა და ქცევა. პირველი აპლიკაციიდან მე-7 დღეს ყველა ცხოველზე მოვახდინეთ სიმეტრიულ – მარცხენა ბეჭის დეპილაცია და 24 საათის შემდეგ სუბსტანციის 10-ჯერ გაზრდილი (0.2 გ) ერთჯერადი დოზის შეზღვევა სენსიბილიზაციის გამოსავლენად. შესაძლო დაუყოვნებელი ალერგიული რეაქციების ან დაყოვნებული ჰიპერმგრძობელობის გამოვლენის მიზნით კანზე ზედაპირული დაკვირვება ვაწარმოეთ 10-ჯერ გაზრდილი დოზის აპლიკაციიდან 30 წუთის, 24, 48 და 72 საათის შემდეგ.

შედეგები: ვირთავის კანში სუბსტანციის 14-ჯერადი აპლიკაციის პროცესში ისევე, როგორც მისი შეწყვეტიდან 7 დღის განმავლობაში გაღიზიანების ან დერმატოზის მოვლენები არ იყო შემჩნეული; ბეჭის განახლება ინტენსიური იყო, რის გამოც აღნიშნული 14 დღიანი პერიოდის განმავლობაში განმეორებითი დეპილაცია გახდა საჭირო. დამუშავებულ კანზე სუბსტანციის 10-ჯერ გაზრდილი დოზის (0.2 გ) შეზღვევამ არ გამოიწვია არც დაუყოვნებელი ალერგიული რეაქციები 30 წუთის ფარგლებში, არც მოგვიანებით ვადებში დაყოვნებული ჰიპერმგრძობელობის ნიშნები, რომლებიც ზედაპირის გაწითლებით, შეშუპებით ან წვრილწერტილოვანი დესკვამაციით შეიძლებოდა ყოფილი ყოგამოხატული.

8.4 წამალთფორმების სპეციფიკური აქტიურობა მექანიკური ჭრილობის და დამწვრობის მოდელზე

პდფგმ-ის გელის და ფირფიტების სპეციფიკური აქტიურობა მექანიკური ჭრილობის და დამწვრობის მოდელზე ეთაგვებში


პდფგმ-ის ჭრილობის შემახორცებელი მოქმედება შესწავლილი იყო თაგვის კანის ჭრილობის მოდელზე, მამრობითი სქესის უჯიშო თეთრთაგვებს ($n=24$).

სხეულის მასა 22-28 გ რანდომიზებულად ვანაწილებდით 4 ჯგუფად ($n=6$). ცდის დაწყებამდე 24 სთ ადრე ვახდენდით ცხოველების ზურგზე ბეჭებს შუა $\sim 4\text{სმ}^2$ კანის არის დეპილაციას და ვათავსებდით ერთნაირ პირობებში.


დეპილაციიდან 24 საათის შემდეგ ეთ.ეთერის რაუმ-ნარკოზის ქვეშ მყოფ თაგ-
 ვებში კონქოტომით ვაკეთებდით 2 მექანიკურ ჭრილობას (1 სმ²) ან ვიწვევდით III-ა
 ხარისხის თერმულ დამწვრობას. სტანდარტული ფართობის და სიღრმის დამწვრობას
 ვიწვევდით სპეციალური მოწყობილობით, რომელიც აღჭურვილია ტემპერატურის
 მარეგულირებელით და კონტაქტური ელექტრო გამაცხელებლით (1 სმ² კვადრატული
 ფორმის სპილენძის ფირფიტა). ფირფიტის ტემპერატურა იყო 150°C, შეხების დრო – 10
 წმ. ცხოველების მკურნალობას იწყებენ დამწვრობისთანავე. პროცედურის დამთავრე-
 ბისთანავე ზემოქმედების ადგილს ვფარავდით პდფგმ-ის გელით (I ჯგუფი), პდფგმ-
 ის ფირფიტით (II ჯგუფი) ან გელის ფუძით (III ჯგუფი). საკონტროლო (IV ჯგუფი)
 ცხოველებს მკურნალობა არ უტარდებოდა. შემდგომში ყოველდღიურად დღეში ერ-
 თხელ ვაფასებდით ჭრილობის/დამწვრობის მდგომარეობას და ფართს ვამუშავებდით
 საკვლევი წამალთფორმებით. დაკვირვება გრძელდებოდა ჭრილობების სრულ შეხორ-
 ცებამდე. ჭრილობის/დამწვრობის მდგომარეობას აფასებენ (ინფექციის, ექსუდაციის,
 ფუფხისწარმოქმნის მიხედვით) და ჭრილობებს აფიქსირებენ ციფრულ ფოტოსურათ-
 ზე. ჭრილობის/დამწვრობის ფართობს ზომავენ კომპიუტერული პროგრამით ImageJ.
 ჭრილობის/დამწვრობის შეხორცების ეფექტურობას საზღვრავენ საწყისი დაზიანების
 ფართობის შემცირების მიხედვით და ითვლიან შემდეგი ფორმულით:

$$\Delta = (S_{eqs} / S_{saw}) \times 100\%$$

სადაც, S_{saw} არის ჭრილობის/დაწვრობის საწყისი ფართობი, S_{eqs} არის ჭრილობის/
 დაწვრობის ფართობი გაზომვის დროს. მიღებულ მონაცემებს სტატისტიკურად ამუშა-
 ვებენ Student-is t-ტესტით და ისინი წარმოდგენილია სურ 8.1 და 8.2-ზე.




სურ.8.1. ჭრილობის შეხორცების დინამიკა პდფგმ-ის სუბსტანციით შემცველი
 მალამოთი მკურნალობისას.




სურ. 8.2. ჭრილობის შეხორცების დინამიკა პდფგმ-ის სუბსტანციის შემცველი მალამოთი მკურნალობისას.

როგორც წარმოდგენილი მონაცემებიდან ჩანს საცდელი (II) ჯგუფის ცხოველებში დამწვრობის ფართობი მკურნალობის დაწყებისთანავე მცირდება საკონტროლო ჯგუფთან შედარებით ($p < 0,01$). ჭრილობის სრული შეხორცება მოხდა მე-18 დღეს.

შესწავლილია პდფგმ-ის მზა წამალთფორმების სპეციფიკური აქტიურობა. ჩატარდა წინაკლინიკური შესწავლის II ეტაპი – პდფგმ-ის გელის და ფირფიტების სპეციფიკური აქტიურობა თერმული დამწვრობის მოდელზე თავგებში. მიღებული კვლევის შედეგები მოცემულია სურ. 8.3- 8.7.




სურ. 8.3. დამწვრობის მკურნალობა პდფგმ-ის გელით




სურ. 8.4. დამწვრობის შეხორცების დინამიკა პდფგმ-ის გელით მკურნალობისას




სამკურნალო ფორმა



სურ 8.5. დამწვრობის მკურნალობა პდფგმ-ის ფირფიტით.



სურ. 8.6 წამალთფორმების სპეციფიკური აქტიურობა ჭრილობის მოდელზე



სურ. 8.7. წამალთფორმების სპეციფიკური აქტიურობა დამწვრობის მოდელზე

დასკვნები VIII თავზე:

1. წინასწარი ფარმაკოლოგიური კვლევებით დადგინდა, რომ გელში და ფირფიტაში პდფგმ-ის ოპტიმალური კონცენტრაცია 10%-ს უნდა შეადგენდეს.
2. ლაშქარას ბუნებრივი პოლიმერის შემცველი გელი და ფირფიტები ხელს უწყობს გრანულაციური ქსოვილის რეგენერაციას კანის უჯრედების პროლიფერაციის და რეპითელიზაციის პროცესის აჩქარების ხარჯზე.
3. პდფგმ-ის გელი უფრო ეფექტურია მექანიკური ჭრილობის, ხოლო ფირფიტა – დამწვრობის მკურნალობისათვის. პდფგმ-ის გელი და ფირფიტა შესაძლებელია გამოყენებული იქნას როგორც მექანიკური ჭრილობის, ასევე დამწვრობის სამკურნალოდ.
4. პდფგმ მიეკუთვნება ქიმიური ნაერთების ტოქსიკურობის საერთაშორისო სისტემის (GHS) მე-4 კლასს – და წარმოადგენს დაბალტოქსიკურ ნაერთს.

საერთო დასკვნები

1. მეთოდოლოგიურად დასაბუთებულია და დამუშავებულია ლაშქარას ზოგიერთი სახეობის *Symphytum asperum* Lep, *Symphytum caucasicum* M.B., *Symphytum grandiflorum* D.C. მიკროსკოპული აღწერის სისტემა. მოცემულია პდფგმ-ის მისაღებად გამოყენებული ნედლეულის – ღეროების ანატომიური სადიაგნოზო ნიშანთა ერთობლიობა, რომლის გათვალისწინებით ფარმაკოგნოსტულ ანალიზში უფრო სარწმუნო ხდება ნედლეულის ნამდვილობის დადგენა.

2. თეთრყვავილა ლაშქარას (*Symphytum grandiflorum* D.C.) ღეროებიდან გამოყოფილია ფენოლური პოლიმერი პოლი[3-(3,4-დიჰიდროქსიფენილ)-გლიცერინისმჟავა] (პდფგმ), რომელსაც გააჩნია მაღალი იმუნომოდულატორული, ანტიოქსიდანტური და ანთების საწინააღმდეგო მოქმედება.

3. ფიზიკურ-ქიმიური მეთოდების (იწ, ¹H ბმრ, COSY, gHSQC სპექტრები) გამოყენებით დადგენილია თეთრყვავილა ლაშქარას ღეროებიდან გამოყოფილი სუბსტანციის იდენტობა მაღალმოლეკულურ ფენოლურ ბიოპოლიმერთან – პდფგმ-თან.

4. ტექნოლოგიური კვლევების საფუძველზე დადგენილია ხაოიანი ლაშქარას (*Symphytum asperum* Lep.) ღეროებიდან პდფგმ-ის ექსტრაქციის კანონზომიერებანი, შერჩეულია ექსტრაქციის, გაწმენდისა და შრობის ოპტიმალური პირობები; შედეგად მოწოდებულია ხაოიანი ლაშქარას ღეროების გადამუშავების რესურსდამზოგავი, უნარჩენო ტექნოლოგია, რომელიც უზრუნველყოფს ჰეპატოტოქსიკური მოქმედების პიროლიზიდინის ალკალოიდებისგან გათავისუფლებულ ბიოლოგიურად აქტიური ნივთიერების (პდფგმ-ის) მაქსიმალურ გამოსავლიანობას.

5. ბიოფარმაცევტული კვლევების საფუძველზე შემუშავებულია პდფგმ-ის გელის ოპტიმალური შემადგენლობა და მომზადების ტექნოლოგია. გელი წარმოადგენს სტრუქტურირებულ დისპერსიულ სისტემას (ტიქსოტროპული თვისებებით), საკმარისად სტაბილურს და პლასტიკურს, რომელსაც აქვს კანზე წაცხების უნარი, გამოიღვენება ტუბიდან და ტექნოლოგიური ოპერაციების პროცესში უზრუნველყოფს სისტემის აუცილებელ სტაბილურობას. ამასთან გელი ოსმოსურად აქტიურია.

6. თეორიულად დასაბუთებულია და ბიოფარმაცევტული და ტექნოლოგიური კვლევების საფუძველზე შემუშავებულია ბიოხსნადი პდფგმ-ის ფირფიტების შემადგენლობა (%): პდფგმ – 10,0, Na-ის ალგინატი – 3,5, გლიცერინი – 2,5, გამოხდილი წყალი – 84,0.

7. შესწავლილია აპკწარმომქმნელის გავლენა ფიტოფირფიტის ხარისხზე, მოქმედი ნივთიერების გამოთავისუფლებაზე, ადჰეზიაზე და ტენშთანთქმაზე. დადგენილია ფიტოფირფიტის ტენიანობის ოპტიმალური ხარისხი, რომელიც უზრუნველყოფს მის მაღალ ადგეზიურ შესაძლებლობას. კვლევის შედეგების საფუძველზე მოწოდებულია პდფგმ-ის ფირფიტების მიღების ტექნოლოგიური სქემა. ფიტოფირფიტების მომზადება წარმოებს ჩამოსხმის მეთოდით.

8. ხაოიანი ლაშქარას ბუნებრივი პოლიმერის შემცველი წამალთფორმები – პდფგმ-ის გელი და ფირფიტა, ხელს უწყობს გრანულაციური ქსოვილის რეგენერაციას, კანის უჯრედების პროლიფერაციის და რეეპითელიზაციის პროცესის აჩქარების ხარჯზე. პდფგმ-ის გელის გამოყენება შესაძლებელია სხვადასხვა ეტიოლოგიის ჭრილობების პირველი და მეორე ფაზის სამკურნალოდ. გელი უფრო ეფექტურია მექანიკური ჭრილობის, ხოლო ფირფიტა – დამწვრობის მკურნალობისათვის. პდფგმ-ის გელი და ფირფიტა წარმატებით შესაძლებელია გამოყენებული იქნას როგორც მექანიკური ჭრილობის, ასევე დამწვრობის სამკურნალოდ. პდფგმ მიეკუთვნება ქიმიური ნაერთების ტოქსიკურობის საერთაშორისო სისტემის (GHS)მე-4 კლასს – და წარმოადგენს დაბალტოქსიკურ ნაერთს.

9. შემუშავებული ხარისხის მაჩვენებლების საფუძველზე მომზადდა ნორმატიული დოკუმენტაცია პდფგმ-ზე და სამკურნალწამლო ფორმებზე. შესწავლილია სუბსტანციის (პდფგმ-ის) და მისი შემცველი მზა წამალთფორმების (პდფგმ-ის გელი და ფირფიტა) სტაბილურობა. მათი ვარგისიანობის ვადა 2 წელია

დისერტაციის მე-7 და მე-8 თავის ნაწილი შესრულებულია სსიპ შოთა რუსთაველის ეროვნული სამეცნიერო ფონდის „დოქტურანტურის საგანმანათლებლო პროგრამის“ გრანტით დაფინანსების ფარგლებში PhD2016_46

ლიტერატურა

1. საქართველოს ფლორა ტ X. გვ. 240.
2. Абсадыков Н.А., Карибжанова А.З., Амзеева С.К. «Фортум» в комплексном лечении ожоговой болезни. Фармация Казахстана.-2007.-№4. с. 24-256.
3. Алексеева И.В. Разработка лекарственных форм для лечения ран. «Фармация», 2003.- С.43-45.
4. Анели Н.А. Атлас эпидермы листа. Изд. «Мецниереба», Тбилиси, 1975, 107с.
5. Анели Н.А. Химия и биология активных веществ лекарственных растений Грузии, Изд. «Мецниереба», Тбилиси, 1969, с.148-167
6. Аравийская Е.Р., Ковалева С.В. Космецевтика в аптеке. – М.; МЦФЭР, 2006. – 208 с.
7. Аравийская Е.В. Соколовский Е.И., Бахтина С.М., Пчелинцев М.В. Роль основы в глюкокортикостероидных препаратах: оптимальный состав и механизм действия. Вестник дерматологии и венерологии, 2010; 2: 64–70.
8. Аравийская Е.Р., Соколовский Е.В. Руководство по дерматокосметологии. С-Пб., Изд. «Фолиант», 2008, 656 с.
9. Ахтямов С.Н., Бутов Ю.С. Практическая дерматокосметология: Учебное пособие. – М.: Медицина, 2003. – 400 с., ил.
10. Барбакадзе В.В. Химическое строение и биологическая активность полисахаридов некоторых растений флоры Грузии. Дисс. на соиск. уч. ст. докт. биол. наук. Тбилиси, 1999, с. 156-170.
11. Ботоева Е.А., Бураева Л.Б., Цыренжапов А.В. Влияние сухого экстракта ортилии однобокой на течение воспалительной реакции в эксперименте // IX Российский национальный конгресс «Человек и лекарство»: Тез. докл. – М.: Минздрав. России, Общероссийский общественный фонд «Здоровье человека», 2002 . – С. 588
12. Варламов К.А. Ритм цветения *Symphytum asperum* Lepesch. на юге Украины. Растительные ресурсы, 1984, т.20, с.376-379.
13. Вилламо Х. Косметическая химия: Пер. С фин. – Мир, 1990. – 228 с.
14. Вичканова С.А., Колхир В.К., Крутикова Н.М. Доклиническое экспериментальное исследование 0,5% линимента сангвиритрина. X Российский национальный

конгресс «Человек и лекарство»: Тез. докл. – М.: Минздрав. России, Общероссийский фонд «Здоровье человека», 2003. – С. 590

15. Вичканова С.А., Колхир В.К, Сокольская Т.А. [и др.]. Лекарственные средства из растений (опыт ВИЛАР): научное издание /– М.:Адрис, 2009. – 432 с.

16. Володина Т. А. Разработка состава, технологии и норм качества фитогеля репаративного действия. Автореф. Дис.... Канд. Фарм. Наук.- 2014.- 23с.

17. Гвиниашвили Ц.К. Кавказские представители рода *Symphytum*L. Тбилиси Мецниереба 1976,145 с;

18. Гвиниашвили Ц.Н. Кавказские представители рода *Symphytum*. Тбилиси, «Мецниереба», 1976, с. 45-50.

19. Гольцева И. Зеркало здоровья и красоты. М.: Изд. Новости, 1993. 228 с.

20. Горячев С.Ф. Безопасность жизнедеятельности и медицина катастроф.- Ростов н/Д.: «Феникс», 2006.-576С.

21. Гужва Н.Н., Зайцев В.П., Гужва Л.Б., Науменко А.Г. Разработка гранул с сухим экстрактом астрагала серпоплодного, обладающих адаптогенным действием.. Научные труды 10 международного конгресса «Здоровье и образование в 21 веке» «Инновационные технологии в биологии и медицине». М.,2009. с. 708-709

22. Гужва Н.Н., Погорелов В.И., Зайцев В.П., Науменко А.Г. Разработка состава и технологии эмульсионной мази с экстрактом астрагала серпоплодного. Сборник научных трудов «Разработка, исследование и маркетинг новой фармацевтической продукции». М.,2005. с. 179-183

23. Гюльбякова Х.Н., Казуб В.Т., Маринина Т.Ф. Разработка технологии и норм качества стоматологического геля на основе биологически активных веществ чаги. Сборник научных трудов «Разработка, исследование и маркетинг новой фармацевтической продукции». М.,2005. с. 306-308

24. Денисюк Н.А., Дудкин М.С. Строение глюкуроноксила на стеблях *Symphytumasperum*. Хим. природ. соедин., 1985, №4, с.478-481.

25. Денисюк Н.А., Дудкин М.С. Углеводы *Symphytumasperum*. Хим. природ. соедин., 1984, №1, с.15-20.

26. Денисюк Н.А., Дудкин М.С. Химический состав листьев и стеблей окопника шершавого. Растительные ресурсы, 1979, т.15, с.443-446.

27. Джавахян М. А. разработка составов и технологии мягких лекарственных форм гипорамина: Автореф. дис. на соиск. учен. степ. Канд. фармацевт. наук. – М.,-2006
28. Джумабеков. С.А., Сарбанова К.С., Фозилов Р.Х. Актовегин гель в терапии обширных ожоговых ран. Фармация Казахстана.-2005.-№9.- С. 33-35.
29. Жезняковская Л.Ф., Долинина Д.Г., Оконенко Л.Б. Стоматологические пленки на основе растительных экстрактов. Фармация.-2012.-№7. с.35-37.
30. Жубанов. Б.А., Батырбеков Е.О., Искаков Р.М. Полимерные материалы с лечебным действием.-Алматы: «Комплекс», 2000.-220С.
31. ЗагоруйкоЕ.Ю.Разработка технологии фитогеля на основе плодов брусники обыкновенной (*Vaccinium vitis-idaea*) и клюквы обыкновенной (*Oxycoccus palustris pers*). Сборник материалов III Всероссийская научная конференция студентов и аспирантов с международным участием «Молодая фармация – потенциал будущего» 2013.- С. 92–93
32. Зиямухамедова М.М. К вопросу изучения реологических параметров. Сборник материалов III Всероссийская научная конференция студентов и аспирантов с международным участием «Молодая фармация – потенциал будущего» 2013.- С. 94
33. Имамалиев Б.А. Разработка технологии фитоэмульгеля «фитодерм», рекомендуемого для лечения атопического дерматита. Сборник материалов III Всероссийская научная конференция студентов и аспирантов с международным участием «Молодая фармация – потенциал будущего» 2013.- С. 96–97
34. Инагамов С.Я., Мухамеджанова М.Ю., Мухамедов Г.И. Поликомплексные гели на основе натрий карбоксиметилцеллюлозы – новые пролонгаторы лекарственных препаратов. Химия растительного сырья. 2011. №2. С. 51–56.
35. Компанцева Е.В., Маринина Т.Ф., Ващенко Е.С. Изучение реологических свойств геля стоматологического.. Научные труды 10 международного конгресса «Здоровье и образование в 21 веке» «Инновационные технологии в биологии и медицине». М., 2009.- С. 721-722
36. Костина А., А. Биофармацевтические исследования по выбору вспомогательных компонентов для геля с экстрактом левзеи. Фармация и фармакология. - 2014.- №3 С. 3-6.
37. Красносельских Т.В., Михеев Г.Н. Основы наружной терапии болезней кожи.. в. Кн. Основы наружной терапии болезней кожи. Васкулиты кожи / Под ред. Е.В.

Соколовского. – СПб.: Сотис, 1999. – 191 с.

38. Крутикова Н.М., Вичканова С.А. Клинические исследования пассифлоры экстракта жидкого. Сборник материалов Российского Национального Конгресса «Человек и лекарство». Вып.16. , М.2009, с. 683

39. Кулатаева А.К., Снопкова В.А., Пак Р.Н. Изучение антимикробных и регенераторных свойств фитокомпозиции. IX Российский национальный конгресс «Человек и лекарство»: Тез. докл. – М.: Минздрав. России, Общероссийский общественный фонд «Здоровье человека», 2002 – С. 645-646

40. Кульгав Е.А. Изучение реологических характеристик геля «Дентолипт». Сборник научных трудов «Разработка, исследование и маркетинг новой фармацевтической продукции». М., 2005. с. 204-205

41. Къосев П.А. Полный справочник лекарственных растений.- М.: «Эксмо», 2002.- 992 С.

42. Малкин А. Я., Исаев А. И. Реология: концепции, методы, приложения. СПб: Профессия.- 2010.- 163-180.

43. Манько И.В., Короткова М.П., Шевцова Н.М. Исследование алкалоидов некоторых видов рода *Symphytum*L. Растительные ресурсы, 1969, т.5, с.508-512.

44. Манько И.В., Котовский Б.К., Денисов Ю.Г. Накопление алкалоидов в *Symphytum asperum* Lepesch. в зависимости от фазы развития растения. Растительные ресурсы, 1970, т.6, с.582-583.

45. Манько И.В., Мелькумова З.В., Малышева В.Ф. Накопление алкалоидов в различных органах *Symphytum caucasicum* Bieb. Растительные ресурсы, 1972, т.8, с.538-541.

46. Медведев Н.Ф. Продолжительность хозяйственного использования и урожайность пяти видов окопника. Растительные ресурсы, 1974, т.10, с.598-605.

47. Мизина П. Г., Быков В. А., Настина Ю. И., Фоменко Е. А. Введение лекарственных веществ через кожу – достижения и перспективы (Обзор). Вестник ВГУ. Серия: Химия. Биология. Фармация. 2004, №1, с. 176-183.

48. Мизина П.Г. Фитопленки в фармации и медицине. Фармация -2000.-№5.-6. с.38-40.

49. Мизина П.Г., Куркин В.А., Быков В.А, Авдеева О.И.. Влияние вспомогательных веществ на влагопоглощение и адгезию фитопленок. Фармация.-2000.-№2. с.12-14.

50. Мизина П.Г., Куркин В.А., Куравель Л.В, Быков В.А.. Взаимосвязь структуры поверхности фитопленок и их адгезивных свойств. Фармация.-2001.-№6.- С. 26 – 27.
51. Мичник О.В., Мичник Л.А., Колпак А.М. Разработка технологии лекарственных форм обладающих противовоспалительным и ранозаживляющим действием.Х Российский национальный конгресс «Человек и лекарство»: Тез. докл. – М.: Минздрав-России, Общероссийский общественный фонд «Здоровье человека», 2003, с. 636
52. Молчанова Ю. Н., Толстова А. П. Полиэтиленгликоли различных молекулярных масс в производстве мягких лекарственных форм. Сб. Матер. IV Всеросс. научн. Конф. Студ. и асп. с международ. Участием: Молодая фармация – потенциал будущего С-Пб, 2014, с.310-314.
53. Молчанова Ю. Н., Трубников А. А. Реологические свойства гидрофильных основ мягких лекарственных форм. Фармация. 2015, №7, с. 39-42.
54. Молчанова Ю. Н., Трубников А. А. Изучение реологических параметров гелевых основ изготовленных из производных целлюлозы. Разработка исследование и маркетинг новой фармацевтической продукции: сборник научных трудов.- 2014.- вып 69.- 139-142.
55. Мустафин Р. А., Насыбуллина Н. М., Поцудуева Л., А. Исследование реологических свойств лекарственных форм мелоксикама для наружного применения.Успехи современного естествознания.- 2010.- 11-14.
56. Насыбуллина Н.М., Астраханова М.М., Алексеев К.В. Реологические свойства гелей противовоспалительного действия на полимерных основах / Сб. науч. тр. НИИ фармации: «Фармацевтическая наука в решении вопросов лекарственного обеспечения». – М., 1998. – т. 37. – ч.1. – С.253 – 259.
57. Нижарадзе Н.О, Чипашвили Н.Ш., Кемертелидзе Э.П Ранозаживляющая эффективность антигерпетического препарата Родопес/. Аллергология и иммунология.- 2010.- Т.11,№2.- С.117-118.
58. Никитина Н.В., Беловолова Е.А., Степанюк С.Н., Клишина И.И., Арчинова Т.Ю., Дуккардт Л.Н., Макарова А.Н. Технология и анализ мазей противовоспалительно-го и антимикробного действия , содержащих фитокомплексы . Сборник материалов Российского Национального Конгресса «Человек и лекарство». Выпуск 16. –М.2009. с. 708
59. Никитина Н.В., Степанюк С.Н., Эфимова-Филипчик В.И. Моделирование

липосомалиной мази с метронидазолом и облепиховым маслом. Сборник научных трудов «Разработка, исследование и маркетинг новой фармацевтической продукции». М., 2005. с. 218-220

60. Орехова Е.А., Ивашев М.Н., Сергиенко А.В. Лекарственная форма эмульгель. Международный журнал экспериментального образования. 2014, №12, с.51-52.

61. Пантюхина А. В., Краснюк И. И. Реологические модели в упруго-вязких лекарственных формах. Современные проблемы науки и образования. 2013, 1.

62. Пельменев В.К, Корженевская Н.И., Харитонов Л.Ф. Медоносная и кормовая ценность видов *Symphytum L.* интродуцированных в Ленинградскую область. Растительные ресурсы, 1984, т.20, с.167-176.

63. Путырский И., Прохоров В. –.: Махаон М Растительная косметика и уход за кожей. Авт. –сост.;; Мн.: Книжный дом, 200. – 192 с.

64. Пучкова Е.М., Сименко М.В., Буракова М.А. Разработка состава и технологии геля на основе яснотки белой. Сборник научных трудов «Разработка, исследование и маркетинг новой фармацевтической продукции». М., 2005. с. 223-225

65. Сагиндыкова Б.А., Анарбаев Р.М., Исабекова Д.С. Разработка пролонгированной формы экстракта сухого виноградных косточек. Сборник научных трудов «Разработка, исследование и маркетинг новой фармацевтической продукции». М., 2005. с. 229-232

66. Сагиндыкова Б.А., Анарбаева Р.М., Сагинбазарова А.Б. Изучение кинетики высвобождения масла виноградного из мази. Сборник материалов Российского Национального Конгресса «Человек и лекарство». Выпуск 16. –М.2009. с. 731

67. Сакович Г.С., Колхир В.А., Лескова Т.Е. Фармакологические свойства линимента, содержащего экстракты лекарственных растений. VI Российский национальный конгресс «Человек и лекарство» 19-23 апреля 1999 года: Тез. докл. – М.: Российский фонд «Здоровье человека» ГЭОТАР Медицина, 2001. – С. 466

68. Сампиев А. М., Никифорова Е. Б., Соповская А. В. Современное состояние исследований в области создания стоматологических пленок. Международный журнал прикладных и фундаментальных исследований. - 2016.- №3.- С. 293-297.

69. Семкина О. А., Джавахян М. А, Левчук Т. А., Гагулашвили Л. И. Охотникова, В. Ф. Вспомогательные вещества используемые в технологии мягких лекарственных форм (мазей, линиментов, кремов) (обзор) Хим.-фармац.Журн.-2005.- Т. 39, N8, С. 45-48.

70. Синявский Ю.А., Кошимбеков М.К., Цой И.Г, Бекмуратов А.Я.. Применение бальзама «Возрождение» при лечении ожоговых ран. Фармация Казахстана.- 2005.-№2. с. 17-19.
71. Степанова Э.Ф., Музалёва Н.В., Домунян А.М. Мази противовоспалительного действия, содержащие различные фитокомплексы. IX Российский национальный конгресс «Человек и лекарство»: Тез. докл. – М.: Минздрав. России, Общероссийский общественный фонд «Здоровье человека», 2002. – С. 703
72. Тенцова А.И., Алюшина М.Т. Полимеры в фармации. М.: «Медицина», 1985.-256 С.
73. Теунова Е.А., Хаджиева З.Д. Технологические исследования по обоснованию состава геля хлорофиллипта. Сборник научных трудов «Разработка, исследование и маркетинг новой фармацевтической продукции». М., 2005. с. 232-233
74. Тихонова Е.В., Итжанова Х.И. , Адекенов С.М. Реологические и биофармацевтические исследования арглабина гелевой липосомальной формы. Сборник научных трудов «Разработка, исследование и маркетинг новой фармацевтической продукции». М., 2005. с. 234-236
75. Ушбаев К.У., Абдрахманов С.А., Токешова Л.Е. Лекарственные и пищевые растения Казахстана в терапии некоторых заболеваний.- Алматы.-2005.- 158С.
